


150  
150

99. ჯავახიშვილის წარმობის თარიღის სამეცნიერო კულტურული მდგრადი განვითარების უნივერსიტეტის სამსახური

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА ИМ. И.В.  
ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY



340

ISSN-1512-1445

ლიტერატურული კვლეულები  
ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ  
LITERARY RESEARCH



ЗОЛОНИЦКИЙ АЛЕКСАНДР НИКОЛАЕВИЧ  
ВЕЛИКОУСОВА ЕКАТЕРИНА НИКОЛАЕВНА  
ЦИГАНОВА ЕЛЕНА ГОДОВОГО  
УТИКИНА ИТАЛІЯ

988

ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО  
ГЕРМАНИИ



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Издательство Тбилисского университета  
Tbilisi University Press



ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI  
STATE UNIVERSITY

340

ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ  
LITERARY RESEARCH

Тбилиси 2002 Tbilisi



ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ  
PROCEEDINGS OF TBILISI I. JAVAKHISHVILI  
STATE UNIVERSITY

340

ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ  
LITERARY RESEARCH

Тбилиси 2002 Tbilisi

03. პარასკევის სახელის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გენერალი

340

## ლიტერატურაზე დაცვის დანერგვის გენერალური

თბილისი 2002

## სარედაქციო ბოლობა

ნოდარ კაკაბაძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ლია ლორია,  
მანანა პაიჭაძე, მარია იანიშვილი, არიან ჭავჭავაძე, ელგუჯა ხინტიბიძე  
(რედაქტორი).

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Какабадзе Н. М., Кикачеишвили Т. А., Лория Л., Одзели  
М. В. (секретарь), Пайчадзе М. Г., Поракишвили Н. Л.,  
Хинтибидзе Э. Г. (редактор), Чантuria A. A.

## EDITORIAL BOARD

Nodar Kakabadze, Elguja Khintibidze (editor), Tengiz  
Kikacheishvili, Lia Loria, Marika Odzeli (secretary), Manana  
Paichadze, Nodar Porakishvili, Arrian Chanturia.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

კრ 4601000000  
608(06) - 02

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მომზები  
Труды Тбилисского государственного университета  
им. Ив. Джавахишвили

340, 2002

ვახტაძე ივანე გვილაშვილი

კიბეჭვი ერთხელ ხანის დაქციონის შესახებ

1883 წელს სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ცაგარელმა ოლწერა სინამ მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის 92 ქართული ხელნაწერი. 1902 წელს ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს ზოგიერთი მათგანი აღიღილჲე აღარ დახვდათ. ჩანს, ისინი მაღულად გაიტანეს ქართული წიგნთას ცავიდან.

XIX საუკუნის მიწურული ქართული ხელნაწერები უნაში მოხვდა, სადაც ისინი გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი, სახელგანთქმულმა ლინგვისტმა, პუგო შუხართმა შეიძინა მხატვარ ალფონს ლეოპოლდ მილისისაგან, რომელიც ხელნაწერების ყიდვა-გაყიდვით ითბობდა ხელს [1,138; 2,187]. მოგვიანებით სსენებული ხელნაწერები გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საკუთრება შეიქნა, მას შემდეგ, რაც პ. შუხართმა სიკედილის წინ უანდერდა მას. დღეს გრაცის ქართულ ხელნაწერებს შორის ყველაზე ძირითადი ეწ. ხანმეტი ლექციონარია, რომელსაც მკელევრები VII საუკუნით ათარიღებენ.

ეს უძველესი ხელნაწერი მწარე ბედისა გამოდგა. ჯერ იყო და, ა. ცაგარელმა იგი თითქმის განახევრებული ნახა, ხოლო შემდეგ მას კიდევ მოაკლდა ერთი თუ ორი ფურცელი. დღესდღეობით ითვლება, რომ ა. ცაგარელის მიერ ალწერილ ხელნაწერს ამჟამად გრაცის ფილია თავთურცელი, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოხვედრილა [3], ხოლო უკანასკნელი ფურცელი, რომელზეც იოვანე ზოსიმეს მიერ დაწერილი ანდერძი ყოფილა, ბირმინგჰემის Selly Oak College-ის საკუთრება გამხდარია [4,180].

თითქოს ყველაფერი გაიჩინა: ძველისძველი ხელნაწერის პი-  
რველი ფურცელი პარიზშია, ძირითადი ნაწილი – გრაცში, მოლო  
ფურცელი კი ბირმინგემში. მაგრამ აქ ერთი წინააღმდეგობა იჩენს  
თავს. ა. ცაგარელს მითითებული აქვს, რომ №9 სინური ხელნაწერი  
(ანუ, რაც იგივეა, გრაცში დაცული ხანძეტი ლექციონარი) 28 ფუ-  
რცლისაგან შედგებოდა [5,179], სინამდვილეში კი 29 გამოის:  
 $1+27+1=29$ . მაგრამ ფიქრობენ, რომ ა. ცაგარელს ფურცლების  
სათვალია, უმრავლოდ, შეეშალა. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ  
ა. ცაგარელმა კარგად ვერ დათვალი ხელნაწერის პირველ გვერდზე  
სტრიქონების რაოდენობა და 10-ის ნაცვლად 9 მიუთითო (უნდა  
აღინიშვნოს, რომ პირველი სტრიქონი დაზიანებულია და ნაწერი  
ცუდად ჩანს). ამის გამო არ გამორიცხავენ, რომ იგი შეიძლება ფუ-  
რცლების დათველაშიც შემცდარიყო და სწორედ ამიტომაა 29-ის  
ნაცვლად 28 მითითებული. მაგრამ, თუ კაცს ერთხელ შეეშალა  
თვლა, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მას სხვა დროსაც აუცილებლად  
ერთოდა ანგარიში!

მე ვფიქრობ, რომ ა. ცაგარლის მიერ მითითებული ფურც-  
ლების რაოდენობა ზუსტია და აღნიშნული შესაბამობის საფუ-  
ძველი სხვაგან უნდა ვეძებოთ. მაგრამ, სანამ ამის თაობაზე სიტყვას  
გავაგრძელებდე, მოკლად გავვცნოთ ხელნაწერის ერთგვარ გარეგ-  
ნულ მონაცემებს ხანძეტი ლექციონარის შესახებ არსებული აღ-  
წერილობებიდან.

პირველი იმ მკლევართაგან, კისაც ლექციონარი ხელში ეჭი-  
რა, ა. ცაგარელი იყო. მან ხელნაწერის აღწერილობას დაურთო  
983 წელს დაწერილი ანდერძიც. ა. ცაგარლის აღწერილობიდან  
საინტერესოა მისი ცნობა, რომ ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულია,  
ხოლო ფურცლები არეული [5,200].

შემდეგ გამოჭვეულდა პ. შუხართისეული შენიშვნები ლექციო-  
ნარის ენის შესახებ, სადაც მის გარეგნულ მხარეებზე არათერია ნა-  
თქვამი [6]. ა. შანიძემ ისარგებლა პ. შუხართის სხვა, გამოუვეუ-  
ნებელი, შენიშვნებით ძეგლის თავისებურებათა შესახებ, რომლე-  
ბიც ამ უკანასკნელს ორ ჩვეულში პქონია ჩანიშნული და აეტორის  
სიკვდილის შემდეგ გრაცის უნივერსიტეტიდან დროებითი სარგე-



ბლობისათვის გამოუგზავნეს ა. შანიძეს. ხელნაწერის გარეგნული მარტინ მხარის შესახებ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლექციონარის პირველი ფურაცელი მოვარდილი ჰქონია. აյ მოვიშველიებ ა. შანიძის დაკარგებას 3. შუხარის შენიშვნების შესახებ: „როგორც ჩანს, შუხარის სათვალავში არ მიუღია წიგნის თავში ერთი მოხეული ფურაცელი, ამიტომ მისი გვერდების აღნიშვნა ორითი ნაცლებია. მისი გვერდების ჩვენება რომ ჩვენი გამოცემისას შევუფარდოთ, ორი-ორი უნდა წაეუმატოთ ხოლმე; მისი სამი უდრის ჩვენს 5-ს, მისი 16 ჩვენს 18-ს, მისი 39 ჩვენს 41-ს და ასე ბოლომდის ... როცა შემდეგში შეცდომა შეუნიშვავს, ერთხელვა დასმული ციფრები არ გადაუსწორებია (ჩაც სურათზეც კარგად ჩანს აქა-იქ) და სამავისეროდ პირველი ფურაცელის გვერდები ასე აღუნიშვავს: 1a და 1 b. როცა 3. შუხარის შენიშვნები მოვცვავს, სათვალავს ესასწორებთ და გვერდებს ისე კუნჯვნებთ, როგორც ეს საქმის ნამდვილ ვითარებას შეეფერება, მით უმეტეს, რომ თვითვე გაუსწორებია დასაბეჭდად გამზადებულ ნარკვევში, რომელიც ამ ძეგლს შეეხება“ [7, 010].

1928 წლის იანვარში ა. შანიძის თხოვნით გ. ჩუბინაშვილი, რომელსაც კუნაში საქმე ჰქონდა, ჩაიდა გრაცში და რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაზე. ა. მისი ზოგიერთი ცნობა ლექციონარის შესახებ: „ხელნაწერი შეიცავს 54 გვერდს. მას აკლია: როგორც თავში ჩანს ჩამოვჭრილი ფურაცელები, ისე განსაკუთრებით ბოლოს მოხეულებიც. ასე რომ ორი-სამი ფურაცელისაგან ნაფლეთებილაა დარჩენილი... ბოლოში მოიპოვება დამაგრებული ტილის ნაცერი წიგნის ზურგისა, ისეთივე, როგორიცაა ის, რომელზედაც მიწებებულია ხელნაწერის ნაშთი (ე. ი. დიდი ხანი არ იქნება). შედარებით, მას შემდეგ, რაც ის ორჯერ მსხვილი ყოფილა!“. ეს ტილი, როგორც ჩანს, ორსავე მხარეს ჩამოუჭრიათ მას შემდეგ, რაც ხელნაწერს ეხლანდელი მდგომარეობა მიუღია. ორჯერ დიდი ხელნაწერი გაუკერავთ (დამატებითი?) არა რვეულების მიხედვით, არამედ მთლიანად, ერთი მხრიდან მეორემდე, ჩის გამოც წიგნი მთლიანად და აღვილად ვერ გადაიშლება. ხელნაწერი დაზიანებულია კიდევ ხმა-



რებისაგან – გვერდების ზემოთ ჩანს კვალი, თითქოს შეტუსკისა და წყლის ნაწილებისა. ამის გამო (?) ის ზემოთ წაუჭრიათ და ზემო სტრიქონი ნაწილობრივ დაზიანებულია” [7,012]. იქვე გ. ჩუბი-ნაშეოლი შენიშვნას: „მხოლოდ გვერდები 7-8 შეცდომით ორგერაა დასმული. რომ უფრო მოხერხებული იყოს, მე აღნიშვნავ მათ შემდეგში ასე: 7-8 და 7a-8a. ა. შანიძის დაკვირვებით, „ჩუბინაშვილი მისდევს ხელნაწერზე დასმულ პაგინაცის, რომელიც შუხა-რთის ხელით უნდა იყოს გაეკვებული” [7,012].

1929 წელს ა. შანიძემ გამოაქვეყნა გამოკელევა „ქართული ხე-ლნაწერები გრაციში”, სადაც დიდი ნაწილი სწორედ ხანმეტ ლე-ქციონარს ეძლება [8]. 1944 წელს კი მანვე გამოსცა მონოგრაფია „ხანმეტი ლექციონარი”, რომელსაც ძეგლის ფოტოტიპიური რეპ-როდუქციაც დაუტოო [7]. ა. ზოგიერთი საინტერესო ცნობაა ამ გამოკელევიდან ჩვენთვის საინტერესო საქითხის შესახებ: „ჩვენს ძეგლს, როგორც ჰგავს, ბევრი აკლია როგორც თვეში, ისე ბოლო-ში. იმის თქმა ძნელია, თუ როგორი მოცულობისა უნდა ყოფი-ლიყო წიგნი თავდაპირველად... ეს კია, რომ ასც შენახულა და რასაც ჩვენამდე მოულწევია, მთლიან ნაწყვეტს წარმოადგენს. მიღწეულ ნაწილში ფურცლები ყველა მოიპოვება, დაზიანება მხო-ლოდ ფურცლის აშეებს ეხება; განსაკუთრებით ზემო აშიას, რომ-ელიც ხმირად პირველ სტრიქონზეა გაეკვითილი ისე, როგო ასოს უმთავრესი ნაწილი თან გაძყოლია ჩამონაქერას. მაგრამ მაინც პირველი სტრიქონების წარითხვა, ასოთა გადარჩენილი ნაწილების მიხედვით, სიძნელეს არ წარმოადგენს” [7,021].

1942 წელს მ. თარხნიშვილმა გამოაქვეყნა გამოკელევა „ორი ქართული ლექციონარის ფრაგმენტები V და VIII საუკუნეებიდან” [9]. მ. თარხნიშვილის გრაცის უნივერსიტეტის ბიბლი-ოთვეის ლირექტორისაგან, ლოქტორ გოშისაგან, ხანმეტი ლექციონარის ფოტოსალები. მ. თარხნიშვილის ცნობით, ხელ-ნაწერის შემორჩენილ ნაწილს არაფერი აკლია, ხელნაწერი დაზი-ანებულია და არა აქვს არც დასაწყისი და არც ბოლო; ლექცი-ონარი მოიცავს 54 გვერდს [9,2].

ჩემდა თავიდ, რაკი მეც მომეცა ამ ძერძვისი ხელნაწერის ჟე-  
ლში დაჭრის საშუალება, დავუმატებ, რომ ზემოთ მოყვანილ აღ-  
წერილობებში თითქმის ყველაფერი სწორია. „თითქმის“ იმიტომ,  
რომ გ. ჩუბინაშეილის მიერ ნახსენები 7a - 8a და ა. შანიძის მიერ  
მითითებული 1a - 1b გვერდები ერთმანეთს ვერ უთანხმდება. ამაზე  
კვემოთ მოგახსენებთ. ხელნაწერის ზედა ნაწილი უფრო დაზი-  
ანებულია, ეიღრე კვედა. ფურცლების პირველი სტრიქონი ნაწი-  
ლობრივ ჩამოვრილია და ასოთა მოხაზულობის მხოლოდ კვედა  
ნაწილები ჩანს. წიგნი რამდენჯერმე აიინდული და, აღბათ, ამან გა-  
მოიწვია ის, რომ ჩვეტოს კვედა ნაწილში პირველი ასოები ზოგჯერ  
ნახევრად ჩამოვრილია თუ გადაკერებული. თავდაპირველად სტრი-  
ქონების დასაწყისი ასე აღლოს არ იქნებოდა წიგნის ყუასთან. 48-ე  
გვერდზე წითლად დაწერილი სათაური გადასულა მომდევნო 49-ე  
გვერდზე. მაგრამ იმის გამო, რომ უკანასკნელი აკინძევისას 49-ე  
გვერდი ცოტა ზემოთ აუწევიათ წინა ფურცელთან შედარებით,  
წითელი მელანი ამ გვერდზე დღეს უკვე სხვადასხვა დონეზეა.  
ხელნაწერს რაც შემოუნახავს, სრულია, მას არაფერი აქლია. მე სა-  
განვებოდ დავაკეირდი, ხომ არ შეიძლებოდა, რომ ლექციონნარიდან  
რამე ფურცელი ამოვარდნილი იყოს. ტექსტს არაფერი აქლია.  
ამას ა. შანიძეც აღნიშნავს და მ. თაჩიხიშვილიც. ხელნაწერი ნაკ-  
ლულია თავსა და ბოლოში. მე პირადად დასაწყისში დაახლოებით  
ათი ჩამოვრილი ფურცლის ნარჩენი თუ ნაშთი დავთვალე. ეს -  
რაც მე მოვახერხე, რომ დამეთვალა. ზოგის კვალი რომ აღარ  
დაჩიხნილა?! ფურცლები მოვარდა თუ მოხიეს, მაგრამ წიგნის  
ყუამ ხომ შეინარჩინა თავისი სისქე (დაახლოებით მაინც)! სწორედ  
ამის საფუძველზე ფიქრობენ, რომ ლექციონნარი თავდაპირველად  
ორჯერ სქელი მაინც უნდა ყოფილიყო.

ამა კი ზემოთ ნახსენები შეუსაბამობის შესახებ. სადაა ის 7a-  
8a გვერდები, გ. ჩუბინაშეილი რომ მიუთითებს? - არსაღ! აკი აღი-  
ნიშა, რომ ხელნაწერის შემორჩენილ ნაწილს გრაცში არაფერი  
აქლია! საფიქრებელია, რომ ეს ის ფურცელია, რომელიც, ა.  
შანიძის თქმით, პ. შესაჩითმა გადანომრა და 1a - 1b დააწერა  
გვერდების ზემოთ კიდეში. რაკი ეს ფურცელი მოვარდნილია,

მოცილებულია ხელნაწერს, ალბათ, ის ჩადებული იყო მექანიკური შეკრისე ანდა მეოთხე-მეხუთე ფურცელებს შორის (რომ არ დაკარგულიყო. ამა ცალ-ცალკე ხომ არ შეინახავდნენ მთლიან ხელნაწერსა და მის ერთურთ ფურცელს?!). გ. ჩუბინაშვილს მოუჩენა, რომ მოვარდნილი ფურცელი სწორედაც თავის აღვილას იყო მოთავსებული, და ამიტომაც მისცა მას ჩადების აღვილის შესაბამისად 7a-8a ნომერი.

ა. შანიძის აზრით, 7a გვერდი დღევანდველი მე-9 გვერდია, 8 ა კი მე-10 (როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ა. შანიძეს პ. შუბარითისა და გ. ჩუბინაშვილის პაგინაციები დღევანდველი კოორიენტის შესატყვისად შეუსწორებია და გამოკვლევაში ჯელგან ამგვარად მიუთითებს, თვითონ კი საკუთრივ ხელნაწერისეულ პაგინაციას უარყოფს და, როგორც ითქვა, ყოველ გვერდს სათვალიავში ოჩის უძარებებს). სამწუხარიდ, გ. ჩუბინაშვილის შენიშვნებში, რომელიც ტეგლის თავისებურებებს ეხება, ამ 7a -8a გვერდების შესახებ არაუკრია ნათქვამი, რადგან შენიშვნები, ფაქტობრივად, მეორეზომეტე გვერდებიდან იწყება და, ამდენად, რომელია ეს 7a-8a-ოი დანომრილი ფურცელი, ძნელი გასარკვევია.

ჩემი ვარაუდით, ეს ფურცელი დღევანდველი პირველი ფურცელია, მოხეული, რომელსაც ჩეკტოზე 1 ა აწერია, კურსოზე კი - 1 b. გ. ჩუბინაშვილი, ეტყობა, ჩქარობდა, რაღვან, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ამდღნიმე საათის განმავლობაში მუშაობდა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თანაც ზამთარში, 3 იანვარს) და, ალბათ, ამის გამო შეეშალა, აერია რაღაც, კარგად ვერ ამოიკითხა სიჩქარეში. თუმც შეიძლებოდა ა. ცაგარელს შეშლოდა, ჩატომ უნდა იყოს გამორჩიული გ. ჩუბინაშვილის შეცდომა? ამასთან, გ. ჩუბინაშვილმა ნახა, რომ შეკინძული ხელნაწერის პირველ გვერდზე 1-იანი ეწერია და, საერთოდ, ნორმალური პაგინაცია იყო ბოლომდე, მოვარდნილი ფურცელი მან, სადაც ჩადებული ნახა, იქ მიათვალა. მას ხომ ტექსტი არ უკალევია და ვერც გაითვალისწინა, რომ ის ცალკეული ფურცელი თავის აღვილას არ იდო, თანაც 1-იანი მოვარდნილი ფურცელის ზემო კიდეზე, რომელიც, სხვათი შორის, ძალზე მკრთალად წერია და ძლიერ ჩანს, მან 7-იანად

ამოიყოთხა. ეტრუსკები 1-იანის ზემო ნაწილთან ხაზივით ჩანს რაღაც  
და, თუ ჩქარობს კაცი, შეიძლება 7-იანად აღიჭვას, მაგრამ როგორიც  
არ მოხვდა მას თვალში ვერსიზე უფრო გამოკვეთილად წაწერილი  
1b, რომლის სხვა რამეში არევა არ შეიძლება? რანაირად ამოიყოთ-  
ხა მან 8, ძნელი საოქმელია. იქნებ შექანიერად მიაწერი. 7-ის შე-  
მდეგ შეორე გვერდს 8? შეხარომა კი ტექსტი შეისწიელა, გამოკ-  
ვლია და მოვარდნილ ფურცელს თავისი კუთვნილი ადგილი მიუ-  
ჩინა. ალბათ, მისი დაწერილი უნდა იყოს I a და I b. მაგრამ კინ ვა-  
დანომრა, საერთოდ, მოელი ხელნაწერი? — ა. შანიძის ფიქრით.  
3. შეხარომა. მ. თარხნიშვილის აზრითაც, „ნუმერაცია მომღინა-  
რებს შეხაროთისაგან, ხელნაწერის პირველი მფლობელისაგან“  
[9,2]. შეეძლება, ეს ასე იყოს. კ. შეხარომი მაშინ ნუმერაციას I a გვი-  
რდიდან დაიწყებდა და, ვთქვათ, ნამდევილ მე-18 გვერდს 18-ს და-  
აწერდა და არა 16-ს. როგორც დღეს აწერია და რაც, სხვათა  
შორის, ძალზე კარგად იყოთხება. ვითომ იჩქარა, სასწრავოდ  
გადანომრა ხელნაწერი თავისი ხელით და მხოლოდ ბოლო მომენ-  
ტში იფიქრა მოვარდნილ ფურცელზე? არა მგონია. კ. შეხარომი  
ლინგი და დაქვირვებული მკვლევარი იყო, მას ეს ლაფსუსი არ მო-  
უგილოდა. მე ვფიქრობ, გვერდები უკვე გადანომრილი იყო, როცა  
ხელნაწერი კ. შეხარომის ხელში მოხვდა. მან ნუმერაცია არ შეც-  
ვალა და მისთვის სიინტერესო ფორმები ხელნაწერისეული პაგი-  
ნაციით ამოწერა (ასე უფრო მოხერხებული იქნებოდა, წამდაუწუმ  
რომ არ მოეხდინა გადაანგარიშება), მოვარდნილ ფურცელს კი  
ნომრად Ia - Ic დააწერა. მაგრამ, როცა გამოკვლევა დასაბეჭდად  
გაამზიადა და საბოლოო სახე მისცა, ა. მაშინ მოახდინა შესწორება  
და კოველ გვერდს ორი ნომერი წაუმატა. თუმცა, როგორც ჩანს,  
კ. შეხაროს ორიოდე შეცდომა მიინც მოსვლია. გადაყვანისას ორ

\* ეს ფრაცელი თავის დროზე თავურებული იყო, მაგრამ უკვე მოერთოდა. ხელნაწერი  
მოუიღებულა. ასიტომ კ. შეხარომის ის შესამეცნიერებული ან შეითხმებული ფურცელის  
პოზის ჩაცირ. რომ არ დაურგებულიყო, ხელნაწერის პირველი ფურცელი იყო და დასწოლ  
ფურცელებს შორის მოათვარი. ეს ფრაცელი ხელნაწერის ბოლოდან რომ ყოფილია  
მოვარდნილია, გვმნის მას, აღნათ, საღლაც ბოლო ჩაწილში. კუმარიკ  
ფურცელებს შორის, საღებდა, ამ ფურცელის ნამდგრალი, კუაწილი, აღვილის სატანი.

ადგილას ძელებური ნუმერაცია გაპპარვია: უნდა იყოს 12, არის კი 10, სხვაგან 14-ის ნაცვლად უწერია 12. ეს იოლი შესამჩნევია, თუ შეხარითი შენიშვნებს ხელნაწერისეული ამა თუ იმ სიტყვის შესახებ [6,366-368] შევუდარებთ ლექციონარის ტექსტს. მე მინდა შეგახსნოთ, რომ პუგ შეხარითი დიდი მეცნიერი, მეტად პრო-დუქტიული მკვლევარი იყო, 770 მეცნიერული ნაშრომის ავტორი და, ეტუმა, ზოგჯერ ისიც ჩერობდა, რის გამოც კლარ შეუმო-წმებია დამოწმებული ადგილების სისწორე.

მაში, ვის მიერ უნდა იყოს დანომრილი ლექციონარი? გადაჭ-რით ამის თქმა ჭირს. გადამნომრავი კურც ა. ცაგარელი იქნებოდა. მართალია, შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ მან თავისი ხელით გა-დათვალა ფურცლები და 26 გამოუვიდა შეცდომით. სწორედ ამი-ტომაც, თუ მივუმატებთ პარიზულ და ბირმინგემულ ფურცლებს, ჯაში, მართლაც, 28 გამოვიდოდა. მაგრამ ასე არაა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ა. ცაგარელის დროს ხელნაწერი შეკრული იყო და მისეული ნუმერაცია არ შეიძლება დღევანდელს დაემთხვეს. ვთქვათ, იმავე დღევანდელ მე-16 გვერდს მაშინ მე-20 უნდა ეწეროს (პარიზული ფურცლისა და Ia-Ib გვერდების გათვალისწინებით). ა. შანიძის მიერ შემოთავაზებული ნუმერაცია ამ შემთხვევაში უვა-რგის იქნებოდა. პ. შეხარითმა უკვე გადანომრილი ხელნაწერი ჩაი-გდო ხელში. ჩანს, 1883 – 1897 წლებს შორის კოლაციმ დააწერა გვერდებს ნომრები. იქნებ გადამყიდველი ალფონს მილიხი იყო ის? ყოველ შემთხვევაში, ეს ისეთი პიროვნების გაკეთებული ჩანს, ეინც კურ მიხედებოდა, სად იყო მოვარდნილი ფურცლის ნამდვილი ად-გილი. საფუქრებელია, იგი ძველი ქართულის უცოდინარი იყო. ფრიდრიხ მიულერი, რომელსაც თავდაპირებულად შესთავაზეს ხელ-ნაწერი, ამას არ გააკეთებდა, რადგან ის არც პირებდა ხელნა-წერის შეძენას და სწორედ ამიტომაც მიაგზავნა ა. მილიხი პ. შე-ხარითთან, ხოლო მოგვიანებით ამ უკანასკნელს თავისი კუთვნილი ერთი ქართული ხელნაწერიც დაუთმო. ერთი სიტყვით, დღეს ძნე-ლია დაბეჭითებით თქმა, თუ ვინ გადანომრა ხანმეტი ლექციონარი.

ახლა მივაღექით მთავარს: არის თუ არა ბირმინგემში დაცული ფურცელი ხანმეტი ლექციონარის კუთვნილება?

მეცნიერებს, რომელთაც ხანმეტი ლექციონართან ჰქონიათ საქ-  
მე, მიაჩნიათ, რომ ა. ცაგარელის აღწერილობაში შესული ფურცელი  
ლი, რომელზეც 983 წლით დათარილებული იოვანე-ზოსიმეს  
ანდერძია მოთავსებული, 1883 წელს ლექციონარს ეკუთვნოდა.  
უფრო სწორად, ლექციონარის ნაწილი გამხდარა შემოსის დროს  
– 983 წელს. თავდაპირველად, ცხადია, ეს ანდერძიანი ფურცელი  
ხელნაწერის ორგანული ნაწილი არ ყოფილია. ამ ვარაუდის ერთ-  
ერთ საბუთად, აღმართ, ისიც გამოდგება. რომ ეს ფურცელი ბე-  
რძნულ-ქართული პალიტესტიკია (ბერძნულ ნაწერს ე. გარიტი V-  
VI საუკუნეებით ათარილებს [4,181], ხანმეტი ლექციონარი კი არაა  
პალიტესტი).

ა. ცაგარელმა ეს ფურცელი №9 სინური ხელნაწერის აღწერი-  
ლობაში შეიტანა და არასრულად გამოაქვეყნა კილეც-ასევე, აღნი-  
შნულ ფურცელს ხანმეტი ლექციონარის კუთვნილებად თვლიან  
ე. გარიტი [4,180], ბ. უტიე [3,173], ზ. სარჯველაძე [10,34],  
ზ. ჭუმბურიძე [11,73; 12,89,94]...

კ. დანელია და ზ. სარჯველაძე თავიათ მონოგრაფიაში „აკაკი  
შანიძე (ცხოვერება და მოღვაწეობა)“ წერენ: „ხანმეტი ლექციონარი  
27 ფურცელს შეიცავს. თავის დროზე ა. ცაგარელმა 29 ფურცელი  
ნახა. ბოლო ფურცელზე მოთავსებული იყო ანდერძი, რომლის  
თანაბმადაც, იოვანე-ზოსიმეს მიქელ კათამონელის ბრძანებით 983  
წელს შეუმოსავს ხანმეტი ლექციონარი. ეს ბოლო ფურცელი 1928  
წელს არ აღმოჩნდა, ისე როგორც ველად ძეგლს პირველი  
ფურცელიც“ [13, 187]. პირველი და ბოლო ფურცელები არათუ  
1928 წელს, არამედ უკვე 1896 წლის შემოღვიმისათვის ჰქონდა  
მოვარდნილი ხელნაწერს და სხვა მფლობელების ხელში იყო  
მოხვედრილი, ხოლო ჩაც შეეხება ა. ცაგარელს, იგი გარკვევით  
წერს, ხელნაწერი 28 ფურცლისაგან შედგებაო. 29 ჩვენი  
არითმეტიკით გამოდის.

ამის თაობაზე ა. შანიძე კოტა უფრო ფრთხილად წერს: „ცაგა-  
რელის დროს ხელნაწერში უნდა ყოფილიყო 29 ფურცელი (და არა  
28). ხანმეტი ლექციონარში ამვამად 27 ფურცელია სულ. მაშასა-  
დამე, იმასთან შედარებით, ჩაც ცაგარელის დროს სინაზე უნდა

ყოფილიყო, ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი თავში და ერთიც  
ბოლოში... ჩაც შექმება უკანასკნელ ფურცელს, მასზე მარტო  
ანდერძი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემოყლებულად მოპყავს  
ცაგარელს: „შეიმოსა... წმიდა ესე წიგნი სინა-წმიდას კულითა იოვა-  
ნე ფრიიად ცოდვილისათა...“ თუ ცაგარელი ამ შემთხვევაში რო-  
გორმე არ შეცდა და ის ფურცელი, რომელზედაც იოანე-ზოსიმეს  
ეს ანდერძი იყო, უკველად ამ ხელნაწერის კუთვნილებაა და არ  
არის რომელიმე სხვა ხელნაწერის აღწერილობიდან აქ შემთხვევით  
გადმოსული, მაშინ ხანმეტი ლექციონარის შედგენილობა ცაგარ-  
ლის სინას მთაზე ყოფნის დროს (1883 წელს, თებერვალში) ასე  
გამოიხატებოდა:  $1+27+1$ , ანუ 29 ფურცელი. ის მცირედენი  
განსხვავება, რომელიც მოიპოვება ცაგარლის ჩვენებასა და საქმის  
ნამდვილ ვითარებას შორის (სტრიქონებისა და ფურცლების რი-  
ცხვი, აგრეთვე წიგნის შინაარსი), უკველია თხსნება იმ სიჩქარით,  
რომლითაც ცაგარელი აწარმოებდა სინას მთის ხელნაწერების  
აღწერას მეტად მძიმე პირობებში“ [7,015].

მ. თარხნიშვილიც აღნიშნავს, რომ აღარსად ჩანს ანდერძიანი  
ფურცელი, რომელიც ხელნაწერს ახლდა, თუკი იგი ნამდვილად  
ლექციონარს მიეკუთვნება და ა. ცაგარლის აღწერილობაში შეც-  
დომით სხვა აღვილიდან არ არის გადმოსული [9,3], თუმცა იქვე  
კატეგორიული ტონით წერის: „მტკიცება იმისა, რომ ხელნაწერი 28  
ფურცელს შეიცავდა, აშეარად მცდარია“.

მიუხედავად ყველათრისა, ორ მკვლევარს მაინც გასჩენია ეჭვი  
ანდერძის თაობაზე და, ჩანს, არცთუ უსაფუძვლოდ:

ახლა ვნახოთ, რა პირობებში უხდებოდა ა. ცაგარელს ხელნა-  
წერების აღწერა სინაზე 1883 წლის თებერვალში. მოვალემინოთ  
თვითონ მის: „ზამთარი სინაზე საზოგადოდ მეაცრია და არ არის  
ხელსაყრელი დრო მონასტერში მეცადინეობისათვის. ჩემი იქ ყოფ-  
ნის დროსაც ძალიან ციოდა: გარეთ და ოთახებში ტემპერატურა  
თითქმის ყოველთვის ნოლს ქვევით იყო, რაღაც არ მოიპოვება არც  
შეში, არც ბუხარი, კარები და ფანჯრები ცუდად იხურება, იატეკ  
ჭიისაა და თანაც სამი დღის განმავლობაში ქარბუქი იყო და თოვლი  
მოდიოდა, ყველაფერი იჩყოდა და შხიოდა მონასტერში, ქარი

ზუსტენებდა, ზარებს აქეთიქით ძლიერ აქანებდა და ჩეკავდა: „თავდაპირულად გმუშაობდი ხელნაწერების აღგილსამყოფელში, მაგრამ სიციის, სინესტისა და ხელის შემშლელი პირობების გამო მე უარი განვატხადე იქ მუშაობაზე და ბოლოს ხელნაწერები ჩემთვის ოთახში მოპქონდათ“ [5,18-19]. მყითხეველისთვის მიმინდევია განსასწელად, ასეთ პირობებში ა. ცაგარელს ჩაღაც არომ არეოდა ან შემლოდა, გასაკეირი იქნებოდა? ისიც გაეთვალისწინოთ, რომ ა. ცაგარელი ჩქარობდა, მან სამ დღეში 92 ხელნაწერი აღწერა და უნდა ეიტიქჩოთ, რომ ამ სიჩქარეში მან ანდერძიანი ფურცელი შეცდომით თუ შემთხვევით მიაუთვინა ლექციონარს; სიჩქარეში დაავიწყდა შენიშვნის გაეთვება ან აერია ჩაღაც და ამ უნებლივ დადასანამა შეცდომამ თუ უყურადებობამ შემდგომში არაერთ შევლევარს გაუჩინა თვესატეხი. კიდევ კომერჩებ: თუ მან შეცდომით მიუთითა ლექციონარის პირველ გვერდზე სტრიქონთა ჩაღალებობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ყოველთვის აერეოდა ანგარიში. გ. ჩუბინაშვილი გაცილებით ცეკვის პირობებში იმყოფებოდა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მაგრამ მასაც ხომ მოუვიდა შეცდომა?

ახლა ლექციონარისა და ანდერძის ზომებსაც გადაჭედოთ. ლექციონარის ზომები აიღეს ა. ცაგარელმა [5,199], გ. ჩუბინაშვილმა [7,012], მ. თარხნიშვილმა [9,2], ა. კერნმა [14,410] და იგი დახლოებით  $188 \times 161$  მმ-ია. მეც აიღე ანათვლები და  $188 \times 160$  მმ გამოივიდა. ბ. უტიეს ცნობით, ლექციონარის ზომებია  $188 \times 161$  მმ, მის მიერ მოძიებული პარიზული ფურცელისა კი –  $189 \times 150$  მმ [2,174].

ჩა უპირისპირდება ამ ანათვლებს ბირჩინგემული ფურცელის სახით? ფურცელის აღმწერის, ე. გარიტის, ცნობით, ანდერძიანი ფურცელის ზომაა  $185 \times 122$  მმ [4,179]. აღბათ, ე. გარიტზე დაყრდნობით, ამავეს იმეორებს ბ. უტიეს [3,174]. თუკი გრაცის ხელნაწერისა და პარიზული ფურცელის ზომები, ასე თუ ისე, ერთმანეთს მიესადაგება (სიმაღლე ერთი აქეთ, ოლონდ თავფურცელი  $10$  მილიმეტრით ვიწროა ლექციონარის ფურცელებზე, ჩაც ასარინია), ამას ვუ კიტუვით ანდერძიანი ფურცელის შესახებ. მართა-



ლია. ფურულის სიმაღლე აქაც იგივეა<sup>\*</sup>. ჩაც ღვეტიონარისაც, შემდეგ ამ სიგანგმი სხვაობა 40 მილიმეტრს აღწევს. ეს ღიღი სხვაობაა. ერთი ხელნაწერის სხვადასხვა ფურული ასე მკეთრად არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან სიგანგმი.

1929 წელს ა. შანიძე წერდა: „მინაწერითი ფურული დღეს-დღეობით არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში გრაცი არ არის და არცა მგონია, რომ მას საზოგადოდ შეუხარითად მიეღწიოს... აღმოჩნდება იგი ოდესმე საღმე თუ არა, არ ვიცით; შეიძლება იგი ისევ სინას მთაზე იყოს დამრჩალი, ან წამოლებული იყოს იქტან და კისმე ჰქონდეს და შეიძლება, რომ სრულებითაც დალუპული იყოს“ [8,319].

ა. შანიძის აზრით, ანდრეძიანი ფურული „წარმოშობით, აღმართ, ძველს, ხანმეტ ხელნაწერს კი არ ეკუთხნოდა, არამედ იმ-ანე-ზოსიმეს მიერ იყო დაჩატული წიგნის შემოსის დროს. ეს შემოსა კი არც პირველი უნდა ყოფილიყო და არც უკანასკნელი: პირველი იმიტომ, რომ ძნელი საფიქრებელია, რომ VII საუკუნეში დაწერილი წიგნი X-მდე შეუმოსელი დაჩატენილიყო და მაშინდა დაეწყოთ ფიქრი მის შემოსაზე, უკანასკნელი კი იმიტომ, რომ ის ნუსხური მინაწერები, რომლებიც 42-43 და 50-51 გვერდების შემო არმიებზე მოიპოვება და რომლებიც ერთი ხელითაა შესრულებული (დაახლოებით მეთორმეტე საუკუნეში), ჩამოჭრილია ასალი შემოსის დროს“ [7,017].

შესაძლებელია ლეპტიონარის შემოსის საკითხშიც შევიტანოთ ერთგვარი სინათლე. ა. შანიძე იღეანე-ზოსიმეს ანდრეძის ა. ცაგარელის აღწერილობის მიხედვით იმოწმებს. ანდრეძი კი აღწერილობაში არაზუსტადაა გაღმოწერილი. კერძოდ, ანდრეძის ეულ ფრაზაში „შეიმოსა მესამედ ესე წიგნი სინა-წმიდას ჭრითა იღვანე ფრიად ცოდვილისა მთა“ ა. ცაგარელს სიტყვა „მესამედ“ (ეს ამ კონტექსტში ფრიად მნიშვნელოვანი სიტყვაა!) შეცდომით ამოუკითხას, როგორც „წმიდა“ (შდრ. [5,200] და [4,179]). ასე რომ, ა. შანიძე

<sup>\*</sup> შეიძლება ის ადრე უფრო დაღიც იყო. მაგრამ შემდგომ, ხელნაწერის მოჩეკი შემოიტანა. იგი სხვ უცარცების ზომიდევ დაფუძნდა.

შარითალი იყო, როცა ივარაუდა, იოვანე-ზოსიმე ლექციონარის პირველი შემოსული არ იწერდოდა.

ერთი წუთით დაუკავშირო, რომ ანდერძიანი ფურცელი, მართლაც, ამ ლექციონარის დაურთო იოვანე-ზოსიმეზე შესამედ შემოსვის დროს. როგორც ა. შანიძე ფიქრობს, ხელნაწერი მეოთხედაც შეუმოსვეთ XII საუკუნის შემდეგ, ეს – რაც თითქოს ნაღდია. არ არის გამოჩიტული, რომ მოგვიანებით კვლავ ჩვეარდა ამყინველის მზრუნველ ხელებში ეს ძეირფასი ხელნაწერი და უკვე მერამდენედ შეიმოსა. ზ. ჭუმბურიძე ხანმეტი ლექციონარისადმი მიძღვნილ ნარკვეში წერს: „შემდგომში, დაახლოებით XIII საუკუნეში, ერთ-ხელ კიდევ საჭირო გამხდარია ამ წიგნის ხელახლა შეკინძეა და ყდის გამოცელა. კვლავ ჩოდის დაზიანდა იგი და ჩოდის დავიარგა ახალი ყდა, ან რა მოუკიდა მისგან ჩამოჭრილ-ჩამოხეულ ფურცლებს, ჩვენ არ ეიცით“ [12,92]. მაგრამ ოთხვერ მაინც ხომ ნაღდად უნდა იყოს შემოსილი ჩვენი ხელნაწერი! ეს კი უთუოდ გამოიწვევდა წიგნის ფურცლების ერთ ზომაზე დაყვანას, დაზიანებული ნაწილების ჩამოჭრას, ფურცლების გადაადგილებას ერთმანეთის მიმართ (მე რ ვეულისხმობ სიმაღლეში აწევ-დაწევას – შრტ., მაგალითად, 48-ე და 49-ე გვერდები). ასეთ შემთხვევაში ყველა ფურცელი დაახლოდებით ერთნაირ ფორმატზე უნდა დამდგარიყო. კიდეც რომ მოძრაობის ზოგიერთი ფურცელი ან ამოვარდნილიყო კრებულიდან, ფურცლებს შორის სხვაობა ზომებში მეტისმეტად დიდი, შესამჩნევი და მკვეთრად განსხვავებული არ უნდა იყოს. შეუდარეთ ლექციონარის ნაღდად მისი მოვარდნილი თავფურცელი, რომელიც ძირითად ტექსტთან სიგანეში სხვაობს 10 მილიმეტრით, გაშინ როდესაც ანდერძიანი ფურცელი 40 მილიმეტრით ვიწროა გრაცის ხელნაწერზე. ეს 40 მილიმეტრი კი ფურცლის სიგანის 1/4-ია!! ეს შაფიჭიებინებს, რომ იოვანე-ზოსიმეს ანდერძიანი ფურცელი არ უნდა იყოს ხანმეტი ლექციონარის ოჩვანული ნაწილი ანც X საუკუნის დასასრულისათვის და არც მას შემდეგ. იგო, ჩანს, ლექციონარში შემთხვევით, დასანანი გაუვებრიბის შედეგადაა მოხვედრილი და ა. ცაგარელმა შეცდომით მიაკუთვნა №9 სინურ ხელნაწერს. ამიტომ მე საჩრმუნოდ მიმაჩინა ა. ცაგარლის ცნობა,

რომ 1883 წლის ოქტომბერში ხანჩეტი ლექციონარი მხოლოდ 28-ით ფურცლისაგან შედგებოდა, და მეცნიერის მდგრად ფურცლების სათვალი არ არევება. ეტყობა, ეს ფურცელი სხვა ხელნაწერის კუთხისილება იყო, მოვარდა ძირითად ტექსტს, რომელსაც ის შემოსეის ღრმის დაურთო X საუკუნის ბოლოს ითვანებ-ზოსიმებ, და ა. ცაგარელის სინაზე ყოფნისას შემთხვევით ლექციონარის მიატმასნება. რაჯე სიღიღით დაახლოებით მისი ზომისა იყო: სიგრძე თოთმშის იგივე პქონდა, რაც ლექციონარის ფურცლებს, სიგანეში კი უფრო ვიწრო იყო, რის გამოც იგი იოლად და უმტკიცნეულოდ ჩაიდო ლექციონარის ფურცლებს შორის. ეს უნებლივ დაუდევ-რობა ან თეთო ა. ცაგარელს მოვუდია, ან იმ ბერებს, რომლებსაც მონასტრის საცეკვიდან ხელნაწერები ა. ცაგარელის ოთახში მიჰქონდათ, ანდა უფრო ადრე ვინჩე სხვას.

## ლიტერატურა

1. ე. იმაიშვილი. ერთ კილომეტრი ჭრითულ ხელნაწერებს „კუნძული“. № 8. 1979
2. W. Immaishvili. Die altgeorgischen Handschriften in der Universitätsbibliothek Graz. Die Universität Graz. Jubiläumsband. Graz. 1977
3. 6. ვარე. ქართული ხანჩეტი ლექციონარის ერთ ფურცლი ქართველი „მაცნე“. № 1. 1973
4. ე. გრიგორი. მანგნის კოლექციის ჭრითული ფურცელი „მაცნე“. № 3. 1973
5. A. Цагарели. Памятники грузинской старине в Святой Земле и на Синае. Православный палестинский сборник. т. V. вып. I. С-Пб., 1888
6. H. Schuchardt. Mitteilungen aus georgischen Handschriften: ტფილის ერთა სტრიტი. მომბგ. VII. 1928
7. ა. მანება. ხელნაწერი ლექციონარი. 1944
8. ა. მანება. ქართული ხელნაწერები გრაფშ. რეილის უნივერსიტეტის მომბგ. IX. 1929
9. M. Tarchnishvili. Zwei georgische Lektionsfragmente aus 5. und 6. Jahrhundert. Kynos (Vierteljahrsschrift für Kirchen- und Geistesgeschichte Osteuropas). 6. Königsberg/Berlin. 1942-43
10. ბ. საჩქველაძე. ქართული სალატინო-ტერთ ერთ სატექსტო შესავალი. 1984
11. ბ. კუმბურიძე. ტერთ ქართული ხელნაწერების თავადასავალი. 1975
12. ბ. კუმბურიძე. ქართული ხელნაწერების ტალავერი. 1983
13. კ. დანდა. ბ. საჩქველაძე, ვაკე მანება (უსოფრება და მოლექტურა). 1987
14. Die Handschriften der Universitätsbibliothek Graz, bearbeitet von A. Kren. Band 2. Wien. 1956

ИМНАИШВИЛИ В. И.

## ЕЩЕ РАЗ О ХАНМЕТНОМ ЛЕКЦИОНАРИИ

### РЕЗЮМЕ

Один из древнейших памятников грузинской письменности, т. н. Ханметный лекционарий (VII век), хранился на Синайской горе. В 1883 году А. Цагарели описал рукопись, которая в конце прошлого столетия была вывезена из Синая, и главная её часть попала в Грац (Австрия), первый лист – в Париж, а последний, с завещанием переплётчика, был обнаружен в Бирмингеме (Англия). В статье дана попытка доказать, что найденный в Бирмингеме лист не является оригинальной частью рукописи, он попал в неё случайно.

V. IMNAISHVILI

## ONCE MORE ABOUT «KHANMET LEKTIONARY»

### SUMMARY

One of the most important monuments of the old Georgian Language so called «Khanmet Lektionary» (VII century) had been kept on Mount Sinai. A. Tsagareli described it in 1883. Afterwards the manuscript was taken away from the mountain. The main part of its was taken to Graz (Austria), top papers – to Paris (France) and the last pages that include the will of the binder of this book – to Birmingham (England). In my work I try to prove that papers, found in Birmingham, are not the real, organic part of the «Khanmet Lektionary» and was put there by chance.



340, 2002

## ელგუჯა ხილიძეები

### ეთერი ბერძნული ლიტერატურულ-ისტორიული მეცნიერების ინტერპრეტაცია)

უძველესი ქართული წერილობითი დოკუმენტები საბერძნე-  
თოს მოსახლეობას, რომელთაც თანამედროვე ეგრძელი ხალხები  
უპირატესად გრიკების (ლათ. Graecia, ონგლ. Greeks, ესპ. Griegos,  
რუს. Греки) სახელით მოიხსენიებენ, უწოდებს ბერძნებს (სახა-  
რების ძველი რედაქციები, „პაბოს მარტივობა“ და სხვა).

ბერძნებ ეთნონიმის წარმომავლობაზე ქართულ მეცნიერებაში  
ერთიანი განზიარებული თვალსაზრისი არ ასევებობს. ხალხური  
ეტიმოლოგია ზოგვერ მას სიტყვა ბერძნებს უკავშირებს\*. თუმცა ეს  
თვალსაზრისი მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული ფორმით ჩამო-  
ყალიბებული არიად ჩანს. ერთადერთი ცდა ბერძნებ ეთნონიმის  
ასწინისა ეკუთვნის მიხაკო წერეთელს. 1958 წელს ეურნალ „ბერ-  
ძნითლისამ“ 30-31 ნომერში (გვ. 83-86) გერმანულ ენაზე გამოქვე-  
ყნებულ სტატიაში „Berdseni“ მან ეს ეთნონიმი სტრაბონის „გეოგ-  
რაფიის“ XII წიგნში მოხსენიებული ტომის „ბიძერების“ – Bucūpes  
სახელს დაუკავშირა და ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელწო-  
დებად მიიჩნია. მისი აზრით, სატომო სახელი ბიძერი ქართულ ბერ-  
ძნის ბერძნულ ენაზე გადატანილი ფორმაა. სიტყვა ბერძნებს იგი  
ამსგავსებს სვანურად ჩეინის სახელწოდებას და ქართულ სპილენძს  
და მიაჩნია, რომ იგი (ბერძნი), როგორც ჩეინის დამამუშავებელი

\* ეს უანაცხელი სიტყვა (ბერძნი) კი მონეცულია. ჩოტ ისანული ძირიდან უნდა  
მომდინარეობდეს: faszán – ჰუნობა, გავება (იხ. ვ. ანდრიაშვილი, ნაჩვევანი ისანულ-  
ქართული ენობრივი ურთიერთობებისამ, თბ., 1966, გვ. 185, 189, 295, 296)



ხალხის აღმნიშვნელი სახელი, ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელი ბერძნებმა თარგმნეს და ამავე ტომს მოიხსენიებენ ხალიბების სახელით. ხოლო სხვა შემთხვევაში ქართველური ტომის თვითსახელწოდება ბერძნი ბერძნულად ბიძე-რად გადაიტანეს. შემდეგ ქართველთა წარმოდგენაში მოხდა ამ სახელის ელიტიზება და იგი სხვა ეთნოსის აღმნიშვნელად გადააზრდა.

უფიქრობ, ამ აზრის განვითარებაა გიორგი მელიქიშვილის მიერ 1961 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში – „აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიების შესწოვლისათვის“ წარმოდგენილი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტერმინი ბერძნი მომდინარეობს ტელი ბერძნი ავტორებიდან (ფსევდო სეილაქს კარიანდელი, „აზია“, 81-82; პოლონიოს როდოსელი, „არგონავტები“ II, 124.2; ლიონისიოსი, „დედამიწის აღწერილობა“, 76.1; სტეფანე ბიზანტიელი, სტაბონი) (I, 92). ქართველურ ტომთა შორის დასახელებული ერთ-ერთი ტომის ბიძერების სახელიდან ფუძეში მომხდარი მეტათეზისით ანუ ბერძათვადასმით: ბიძრ>ბიჩდ>ბიჩდენ>ბერძნ. (I, 97).

გ. მელიქიშვილის კარაულით, „ბიძერ“ სახელის თავდაპირეული მნიშვნელობა იყო მეგრულ-ქანური ტომების აღნიშვნა, (I, 99). მისი აზრით, ქართველთა წარმოდგენაში „ბიძერების ქვეყნის გარდაქმნა მოხდა ბერძნების ქვეყნად“ (I, 97). „ასეთი ქვეყნა, – გ. მელიქიშვილის კარაულით, – იყო სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზლეისპირეთი, სადაც გაჩინდნენ ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებიდან დიდი ბერძნული ახალშენები (სინოპი, ამისო, ტრაპეზუნტი და სხვ.), სადაც შემდეგში ჩამოყალიბდა პონტის ძველი ელინისტური სახელმწიფო“ (I, 97).

ამ ჰიპოთეტური კონცეფციის გაზიარებას, ჩემი აზრით, ასდენიმე არსებოთი გარემოება ეწინაღმდეგება:

1. დებულება იმის თაობაზე, რომ „ბიძერ“ სახელის თავდაპირეული მნიშვნელობა მეგრულ-ქანური ტომების აღნიშვნაა, პირველწყაროების მონაცემებით არ დასტურდება. ქართული წყაროები საერთოდ არ იცნობს ამ სახელწოდების ტომს, არა თუ ტომთა გაერთიანებას. ბერძნული წყაროებით კი ბიძერები მხოლოდ ერთ-ერთი ქართველური ტომია (2, 33) და არა ტომთა გაერთიანება.

2. ქართული წყაროები არა თუ არ იცნობენ სატომო სახელში „ბიძერი“, არამედ არცაა საკარაულო, რომ აქეთი სახელი ოდესამე ქართულში ყოფილიყო გაერტყელებული. რაღაცანაც, თვით გ. მელიქიშვილის ვარაუდით იმ სატომო სახელს, რომელსაც ბერძნები საკუ-ად იცნობენ, ქართულად შეესატყისება ოძრა კუ. მკელევრის აზრით, ორივე ეს სახელი უკავშირდება ურარტული წყაროების ეიტერიუსის ტომის სახელს *uiteru(hi)* (1,94). იგი ასკენის: ბიძერი ბერძნად არ გარდაიქმნებოდა თანამეტროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართების ტომში. „ეს შეუძლებელად გვეჩვნება იმიტომ, რომ ბიძერების ნაკალევი ამ გზაზე თავს იჩინს განსხვავებული ფორმით (ოძრა კუ), სიიდანაც „ბერძნები“ ტერმინის გაჩენა ნაცლებ მოსალოდნელია (1,99), ამიტომ ვარაულობს გ. მელიქიშვილი, რომ ბიძერებიდან ტერმინი ბერძნი უნდა ეწოდოს არმოებით ქართის ტომებს, რომლებიც ალბათ ცხოვრობდნენ ძველი სპერის ტერიტორიაზე (1, 98). ეს უკანასკნელი ვარაუდი კი იმდენად ჰიპოთეტურია, რომ შესზე რაიმე დასკრინის დაუუძნება მეცნიერული არგუმენტირების ფარგლებიდან გამოდის.

3. ბიძერის ბერძნად გარდაქმნა ქართული ენის ბაზაზე იმიტომაცა მოულოდნელი, რომ ბიძერის „ერ“ დაბოლოება ქართულისათვის ბუნებრივია სატომო სახელებისათვის (შავ. ჰერი). ამიტომაც მეტათეზისი ამ სიტყვაში (ბიძერ>ბირ) მოულოდნელია. აჩც ისაა დასაშვები, რომ ძველმა ბერძნმა ისტორიისებმა ქართული სატომო სახელი ბერძნ ბიძერად გაღავეთეს. „ერ“ ძირი ბერძნებისათვის (შეადარე: იბერები, ბერანები, ბრიტანები და სხვ.).

ჩვენის შხრივ შეგვიძლია მიეუთითოთ, რომ ერთადერთი საკუთარი სახელი, რომელიც ბერძნულ საისტორიო წყაროებში გვხვდება და რომელიც ყველაზე მეტად წააგავს ქართულ ბერძნს. აჩის დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I საუკუნე), „ისტორიული ბიბლიოთეკის“ II წიგნში (1,8) მოხსენიებული აჩმენის მეღვე ბარძანების (ვარჭანის), რომელიც დაიმორჩილა და შემდეგ დაიმეგობრა ნინოს ასორიელმა თავისი დიდი ლაშქრობების დასაწყისშივე (3,76).

\* მკელევრი ამ შემთხვევაში ემარტება პ. უშეულის გამოკლვევის „საქართველოს უძველეს ხალხები და უკანასკნელი წლების ღმოსინები არქეოლოგიის დაზღვა“ („საქართველოს საქართველო მუზეუმის მუსამბე“, X-B, 1940, გვ. 258).

მ ფუქტზე ჩვენ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დაცა-  
სკვნათ ბერძენ თუ ბარიან ფუქტ ძველი ბერძნული წყაროებით  
მცირე აზის რნომასტიკაში ჩანს და თანაც საქმაოდ აღრე, ჩვენს  
წელთაღრიცხვებიდა.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ვამხილული თეალსაზრისი თავისი  
არაარგუმენტირებული პიძოთეტურიობის გამო მიუღებელია. მაგ-  
რამ ერთი გარემოება კი, რომელიც ამ კულევა-ძიებით ვამოჩნდა, ძა-  
ლზე მნიშვნელოვანია. ბერძენ ეთნონიმის ფორმირება დაუკავში-  
რდა რეალურად აჩისებულ სატომო სახელს. ამასთანავე როგორც  
მ.წერეთელის, ასევე გ. მელიქიშვილის მიერ ჩათვლილ იქნა, რომ ეს  
სატომო სახელი ქართველთათვის რალაც ახლობელი უნდა ყოფი-  
ლიყო. უფრო მეტიც, გ. მელიქიშვილმა შენიშნა, რომ ეს სატომო  
სახელი ქართველთა წარმოდგენაში მათ მეზობლად, მცირე აზიაში  
ლოკალიზებული ხალხის სახელია. ეს წანამძღვრები, ფასეულია  
ჩვენი თეალსაზრისისათვის, რომლის ჩამოყალიბებასაც ეძღვნება  
წინამდებარე ნაჩეკვეთი.

ჩვენი აზრით, ბერძენ ეთნონიმში დაცული უნდა იყოს ეგეოსის  
ზღეის აუზში მცხოვრები რომელიდაც ძველი ხალხის სახელი. ამას,  
უპირველეს ყოელისა, ის გვაფიქრებინებს, რომ ბერძ ძირის ბერ  
სეგმენტს ბრ თუ მისი ფონეტიკურად მონაცელე ფორმებით არაე-  
რთ პარალელი ექვნება ეკრობის ხალხთა უძველეს რნომასტიკაში  
(ი-ბერ-ები, ბრ-იტანები, ფრ-ანკები, ბერ-ლინი, ბერ-ნი და სხვა).

ვფიქრობთ, რომ ბერძენ ეთნონიმი მიშართებას უნდა ამყარე-  
ბდეს უძველეს ბერძნულ საისტორიო წყაროებში დადასტურებულ  
წინაბერძნული მოსახლეობის უმთავრესი ეთნიური ერთეულის  
სახელთან – პელასგები. ამ შესაძლებლობის დაშვებისათვის საკმა-  
რისად მიგვაჩინია შემდეგ გარემოებებზე მითითება:

1) ბერ და პელ ძირები ერთმანეთის მიმართ ფონეტიკურად  
მონაცელენი არიან.\* ბ-უ-პ პომორგანული ხშული თანხმოვნების

\* ჩვენ ას ვვრდისმობთ. რომ ბერ (ბერძნი) ძირისან უნდა წარმოშობილიყ პელ-  
სკები რომ, ანდა პირიქით. პელასგი და ბერძენ სხვადასხვა წევბში დაცული დაჭმიური  
ერთეულებია. თანაც სხვადასხვა ქართველოფებრ საბარტვები. რომელია შორის სულ მცირე  
15 საცურნე (ცერაისმინდან პამერისმინდან „სასაჩქოს“ უძველეს ქართული რეაცენების  
ჩამოყალიბებძელი). მაგალითად მათ პირიქით, ჩვენი აზრით, შეიძლება დავგანიც იქნას  
გარეული რნომასტიკური ერთეულის ამ კონკრეტული სეგმენტის არ ფანჯრუარ  
ნიასასხვამდე.

სამეულია, რომლის თითოეული წევრი ერთმანეთს ადგილად ენა-  
ცელება. არც ჩ და ლ სონორული თანხმოვნების ერთმანეთის ში-  
შირთ მონაცელებას სკირდება საგანგებო მტკიცება. ბერძენის  
„δ” ჰელას-ფის „ს” ა მონაცელე უნდა იყოს. „ს/ზ” ადგილი შესაძ-  
ლებელია, ქართულ ნიადაგზედაც გადასულიყო „δ”-ში (ჩუქაბძე-  
ლი). ამას გვათვიქმნებინებს ბერძენ ფუძის გვერდით ქართულ გვა-  
ჩებში „ბერძენ” ფუძის დადასტურება (ბერძენაძე). გარდა ამისა,  
სხვა შემთხვევაშიც დასტურდება, რომ უცხოური ეთნონიმის „ზ”  
ქართულ ენაზე „δ” თანხმოვანის სახითაა დაცული (ხუნზიაზუნი).  
ბერძენის „ენ”. წარმოშობით დეტერმინანტი (4), სატომო  
სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი უნდა იყოს (5).

2) უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები ბერძენებს  
იონის სახელითაც მოიხსენიებენ (დანიელის წინაშიარმეტყველება,  
8.21). ამიტომაა, რომ სულხან-საბას „ქართული ლექსიონით”  
ბერძენი იონად განიმარტება და იონი – ბერძენად (6, 106, 336).  
იოანე საბანისძე ჭერ კიდევ VIII საუკუნეში ამ ეთნონიმებს ერთ-  
მანეთის მონაცელედ მოიხსენიებს: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარ-  
წმუნოება ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუქნუა, მორი-  
ელთა ამათ მეუღართა;” „და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრ-  
ძანებლად ქრისტის მსახურისა იოანთა შეფისა, რომელი მოსაყრე-  
არს ღიღსა შას ქალაქა კრისტანტინეპოვლისასა” (7, 55, 59). მოგ-  
ვიანებით, XII საუკუნეში ქართულ წერილობით ძეგლებში ბერ-  
ძენთა ალსანიშნავად ბერძენთა თვითსახელწოლებასაც გამოიყენე-  
ბენ და საბერძნეთს ელაზის სახელით მოიხსენიებენ: იოანე პეტ-  
რიში: „ანუ თუ ვინ იყო ეგეოდენ ლრამმტიქიოსობასა შინა, რომელი  
ესე მიმხურებელ არს ენისაგან ყოველსავე ბარბაროზებრობასა და  
თანამებრძოლ და შემწე და გუარიიან-მყოფელ ექმნების ელადელთა

\* საგანგებოდ ეკუთხოვთ თავს ეთნონის მომართის მორცელოფაურ ანალიზე. იგი  
ცულდება როგორც ჩვენი უშეალი ინტერესის, ასევე სკონი კომპეტენციის ფარგლებში.  
მაგვ დროს, ებრაულის ჩა პელ და ზერ მოჩებას მომართებასე, ვეულისბობას, რომ  
მომართის მოსახლი, მარტივი მოხა იქ. შეადგე, ერთ მხრივ, მე-ამ-ზის და ელ-ა-  
პეტრის მხრივ, მელა-უ-ია და მატა-უ-ია, აბა-უ-ია, ლო-უ-ია. გარდა ისე ლექსიშეთი.  
რომ პესავ ფუძის პარალელურად ბერძენული ქრისტონი ლექსიონებში მოიხილებულია  
Πελაργικის ლექსი (H. G. Liddell and R. Scott, A Greek-English Lexicon, Oxford, 1983, p. 1356).

ქრისტიანული 8 (8, 223), იოანე შავთელი „კრისტიანი ელადსა, თვით მას გვლათსა“ (9, 151).

აქედან ერთი სინტერესო დასკვნის გამოტანა შეიძლება. ქართველები ბერძნებს მათ მიერ შემთხვევით ან რამე ნიშნით შერმეულ სახელებს კი არ უწოდებენ, არამედ იმ სახელით მოიხსენიებენ. რომელითაც ეს უკანასკნელნი თავიანთ თავს იცნობენ. სახელი ელადა ჩენში ელინოფილური მიმართულების ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრეებში შემოყვიდა ბერძნებთა თეოთსახელწოდების Hellas გავლენით. უფრო სინტერესო ბერძნებთა იონის სახელით მოხსენიება. ამ ტრადიციის იცავს ომოსავლური წყაროების ფართო აზეალი, კერძოდ სომხური, სირიული და სპარსული (I, 99). იონი (Iones) ერთ-ერთი უძველესი ბერძნული ტომის სახელია. მაგრავ ჩენ უყრადღება გვინდა გავამახეილოთ იმ გარემოებაზე, რომ იონები, რომელთა სახელს ქართული წერილობითი წყაროები ეთნონიმ ბერძნის მონაცელედ იყენებს, ბერძნული სისტემით მწერლობის მოწმობით, პელასგური მოდგმის ხალხია. პერიოდორეს „ისტორიის“ მითითებით, დორიელები და იონელები იყვნენ ჯველაზე უფრო გამოჩინებული ელინური ტომები. მათგან იონელები თავდაპირელებად პელასგური წარმოშობისა იყვნენ, დორიელები კი – ელინურისა. (ისტორია, I, 56)\*. პერიოდორეს სხეული ადგილასაც აღსატურებს თავის ნათქვამს („ისტორია“, VII, 94); „როგორც ელინები მბობენ, იონელებს, სანამ ისინი პელაპონესის იმ ნაწილში ცხოვრობდნენ, რომელსაც ამჟამად აქამა ეწოდება, დანაისისა და ქსუთოსის პელაპონესში მოსვლამდე ეწოდებოდათ პელაზე – ამგიალები, ხოლო იონიელები ეწოდებოდათ

\* „...Προερχονται τους μην του Διορίου γενικοι τους δε του Ιονικου. πιστα γηρ η τη προκεκριμενη. κοντα το αρχαιον τα μεν Πελασγικον τα δε Ελληνικον ethnos... (Herodotos, B. I (Erklärt von Heinrich Stacius), Berlin, 1901, s. 63.) პელაზე ამ პასივი ქართული და ჩურული იმპერიანები: „პელაზე ლინიულ ტომში, ხოლო მეორე – იონებში, ქსუნი არიან გამოჩინელი, რადგან ერთი არის უძველესი პელასგური ტომი, ხოლო მეორე – ელინური ტომი“ (სეროფორე, ისტორია, II, ყველამეტის თარგმანი, ტ. I, თმ. 1975, გვ. 54) „Первые – среди дорийского племени, а вторые – среди ионийского. Это были ава наимболее значительных тогда иллиинских племен. Так, ионians первоначально были пеласгийского происхождения, а дорийцы – эллинистического“ (Геродот. История; перевод Г. А. Стратановского. Лен., 1972, стр. 26.).

შეუთოსის ძის, იონის მიხედვით"; („ისტორია”, VII, 95); „ისინი იყენებენ შეიარაღებულნი, როგორც ელინები. ესეც პელაზგური ტომი იყო. შემდეგში მათ იონური ეწოდათ იმავე საფუძველზე, რომლის მიხედვითაც იმ იონიელებსაც, რომლებიც ათენიდან არიან გამოსული" (10, 438).

აქედან გამომდინარე, კინჩებით ასეთი ვარაულისაცენ: რადგანაც უძველესი ქართული წყაროები საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ბერძნების და იონების სახელით იცნობს, საფიქრებელია, ქართული სახელწოდება ბერძნენ შეესატყვისებოდეს სწორედ იმ ტომის სახელს, რომელთა მემკვიდრებიც იონები იყვნენ, ე. ი. პალასგ ეთნონიმს.

3) ეიდევ ერთ საინტერესო გარემოებაზე გვინდა გვიამახეილოთ ყურადღება. „ქართლის ცხოვრების”, უფრო სწორად ლეონტი მრაველისეული „მეფეთა ცხოვრების” იმ ნაწილში, რომელიც ყველაზე არქაული ტრადიციების მატარებელი უნდა იყოს, ეთნონიმი ბერძნენ და შესაბამისად საბერძნეთი ეწოდება არა მხოლოდ იმ ხალხს და იმ კეყანას, რომელსაც დღეს ჩვენ ამ სახელით ვაცნობთ, არამედ მცირე აზიის ტერიტორიაზე არსებულ რომელილაც კეყანას და შესაბამისად მის მკვიდრ ხალხს, რომელიც დაპირისპირებულია რომელებთან და რომის იმპერიასთან, რომელშიაც მაშინ დღევანდელი საბერძნეთი იყო გერითიანებული. კურძოდ ე. წ. „ფარნავაზის ცხოვრებაში” (11, 20-26), რომელიც დღეს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული აზრის მიხედვით აშერად უძველესი ტრადიციების მატარებელი თხზულება (12, 3-35), საბერძნეთი პონტოს ელინისტურ სამეფოს გულისხმობს.

ლეონტი მრაველის „ქართველთა მეფეთა ცხოვრების” მიხედვით ფარნავაზი განუდგა ქართლის ერისთავს აზონ პატრიკს, რომელიც დიდი ალექსანდრეს ანდერძის თანახმად მსახურებდა ბიზანტის, რომელსაც ალექსანდრემ მისცა „საბერძნეთი და ქართლი”. აზონი თავის დესპოტურ მმართველობას კეყანაში ატარებდა უცხოელი ჯარისეაცების მხარდაჭერით, რომლებსაც ლეონტი „პარმის” სახელით მოიხსენიებს: აზონშა ბრძანა: „კოველმან ქართველთაგანმან” რომელიან პოვოს საკურაველი, მოკალთ იგი”.

და ჰყოფდეს პრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა... და ეს აზონი მათ პრომთაცა ზედა იყო მესისხლე, და მოქსანეს მრავალნი მათგანი" (გვ. 20). ფარნავაზს მიემბრო ეგრისის ერისთავი ქუჩი და „ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს“ და ოკით მისი შაბურნი – „პრომნი“: „მაშინ ათასი ჩემი მეტე მეტე მეტე მეტე მათგანი, რომელთა ბორიტი წაპერებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მიყოდეს წინაშე ფარნავაზისა“. აზონი წავიდა მცხეოლიდან და „მივიღდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისასა“ (გვ. 23). „ხოლო წელსა მეორესა აზონ მოიჩონა სპანი საბერძნეოთ, განძლიერდა ტრიად და მომართა ფარნავაზს“. ფარნავაზი „მიეგება ნაქალაჭევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჭთა ქალაქი, რომელ არს ჰური“. „და იქნა ბრძოლა დილძალი“. „ხოლო იძლიერებს ბერძენი ფარნავაზისაგან: ივლტკოდა ბანაეთ მათი და მოელეს აზონი“. „და წარეგიდა ფარნავაზ და მოტყუუნა საზღვარი საბერძნეოთისა ანძიანძორა და ექლეციო შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიკურა კლარჯეთი და წარმოეიდა მცხეთად...“ (გვ. 23); „ხოლო ეგრის წყალს ქუმოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მეკურთა მის აღვილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა“ (გვ. 24). ფარნავაზმა განაწესა ქვეყანაში ერისთავნი, დააღვინა სპასპერი, განაჩინნა სპასალარნი... „ესრეთ განაწესა ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ (გვ. 25). „ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველი ქალაქი და ციხენი ქართლისანი, მოო ქრებულნი ალექსანდრესაგან, ამან ალაშენა“.. „და ეკრარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს ბერძენი ბრძოლისაგან პრომთასა“ (გვ. 25).

„მეგარად, „ფარნავაზიანის“ მიხედვით, ბერძენი, – რომელთა მახლობლად კლარჯეთში გამაგრდა აზონი; რომლებთანც სასაზღვრო მხარე – ანძიანძორა დალაშეჩრა ფარნავაზმა; რომლებსაც დარჩათ ეგრის წყალს ქვემოთ, რაღვანაც ამ აღვილთა მეკუდრნი ბერძენებს არ განუდგნენ; რომელნიც ფარნავაზის მეფობის წლებში ებრძოდნენ, „პრომთასა“, – უნდა იყოს მცირე აზიის ელინისტური სამეფოს, ანუ პონტის სამეფოს, მოსახლეობა (1, 97; 13, 282).

ეს გარემოებაც, ვფიქრობთ, ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ ბერძენ ეთნონიმი პელაგთა ტომის სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. როგორც ცხობილია, პელასგთა ტომი ჭვლი

წელთაღრიცხვის XIV-XIII საუკუნეების შემდეგ გადმოსახლდა მცირე აზიის დასავლეთში. პომერანისის „ილიადას“ მიხედვით, პელასგები უკვ ტროელების ანატოლიელი მოქავშირენი არიან. ელინებმა შესძლეს პელასგთა ასომილირება. ისტორიაში ისინი წინაბერძნული მოსახლეობის სახელით შევიდნენ. ქართულმა ტრადიციამ კი, ჩვენი აზრით, სწორედ ამ წინაბერძნული მოსახლეობის სატომო სახელი შეუნარჩუნა ბერძნულ ეთნოსს.

4) და ბოლოს, ყურადღება გვინდა შევაჩეროთ კიდევ ერთ გარემოებაზე, რომელსაც ჩვენი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. საჭმელი ის არის, რომ ქართული ტრადიცია მოიხსენიებს რა „ელინთა“ ეთნოსს წინაბერძნული მოსახლეობის სახელით (პელასგი/ზერძენი), ამითაც თანხმობაშია იმ კანონზომიერებასთან, რომელიც ბერძენი ხალხის ფორმირების ისტორიაში ჩანს. წინაბერძნული ტრმის სახელი პელასგი, როგორც ირკვევა გარკვეულ პერიოდში ბერძენთა (ანუ „ელინთა“) საერთო სახელწოდებადაც გამოიყენებოდა. ყოველ შემთხვევაში ამგვარად განიმარტება იგი ზოგიერთ უძველეს ბერძნულ წერილობით ძეგლში. კერძოდ, როგორც მიჩნეულია, კვრიპილეს ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ფრაგმენტსა და სიტყვაში ი Πελασიος და ი Πελაσιωται გამოიყენება საზოგადოდ ბერძნებზე მითითებად; ხოლო პერიოდტეს „ისტორიის“ ერთ მონაკვეთში η Πελασიη ელადის (Ελλας) ძველ სახელწოდებადა მიჩნეული (14, 1357).

ამ უკანასკნელ შემთხვევაზე უფრო დაწერილებით უნდა შევჩერდეთ. პერიოდტე თავისი „ისტორიის“ მეორე წიგნში (მონაკვეთი 56) ლაპარაკობს ფინიკიულების მიერ ერთი წმინდა ქალის ელადის თესპროტიაში გაყიდვაზე და იქვე აზუსტებს, ელადის მაშინ ჯერ კიდევ პელასგია ერქვაო: „... η γυναικαυτή της νυν Ελλαδος. Προτέρον δε πελασιης καλευμενης της αυτης ταυτης. πρηθηναι ες θεσπρωτους...“

\* Herodotos, B. I. s. 68-69. შეადგი ამ პისავის ქართული და ჩუაულა თარგმნები: „მე ეფუძნობ, რომ ეს ქალი გაიფერა დოკანდელ ელადის სწორედ იმ ნიწილში, რომელსაც უწინ პელასგე ეწოდებოდა, სახელით იტაპროტებით დასაცავებულ ნიწილში“ (პერიოდტე, ისტორია, თ. ყაზბეგის თარგმანი, ტ. I. გვ. 140); ...По-моему, эта последняя прибыла в Фессалию в Элладе (тогда Эллада называлась еще Паласией) (Геродот. История, перевод Г. А. Стратановского, стр. 98).

ასე რომ, ეჭვი არაა, ეთნონიმი პელასგი ოდესალაც ელიტურა ქვეყანაზე მითითებადაც გამოიყენებოდა ოვით ამ ხალხის (ბერძნების) მიერ. ქართული ტრადიცია, ჩორელიც ამ ეთნოსს ბერძენ სახელს უნარჩინებს, რაც ჩვენ პელასგის ფონეტიკურ ნაირხა-ხეობად მიგვაჩინა, ასახავს იმ უძველესი ეპოქის ეთარებას და ისტორიულ რეალობას შეესაბამება. ქართულ ენაში დაცულ ეთნონიმი ბერძენი უფრო ძველი ეთარების ამსახველია, ვიდრე მცირე აზიის სხვა ხალხთა ტრადიციაში დაცული ბერძენთა სახელ-წოდება იონი (ჩორელსაც თავის მხრივ ასახვა ქართულ სინა-მდელეშიც უპოვა), რაღაც აც, ჩოროჩც ზემოთ აღვინიშვნეთ. იონები პელასგური მოდგმის ტოშია, ჩორელთა დაწინაურებას უფრო შემდგომ ეპოქაში მოხდა.

### ლიტერატურა

1. გ. ბერძენშეკლა. აღმოსავლეთ მიკრო აზის უძველესი ეთნონიმი. შესწავლისათვის. - „საზოგადოებრივ შეცნობებათა განყოფილების მომბეჭდი“. 1961. № 3.
2. მ. ყავხიშვილი. ბერძენი შეცნობების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ.. 1962.
3. იბ. ი. ყავხიშვილი. ბერძენი შეცნობების ცნობები საქართველოს შესახებ. III. თბ.. 1977.
4. ა. ნ. ჩეჭიძეა. სახლის ფუნქციების ეფექტურება ქართული ენგბში. თბ.. 1942.
5. ვ. დ. ს. განაშოა, თემატიკამაც, ტიბაჩენი, ი. ი. კო. - „შრომები“. III. თბ.. 1959.
6. სულხან სამა აზებელობითი, თბ. ზეცხვანი, IV. თბ.. 1965.
7. იოანე სამხისძე. მარტივობათ პაბო ტრადიციათ. - აჭარი ქართული ეთოგრაფიული ლიტერატურის შეცვენა“, წ. 1. თბ.. 1964.
8. იოანე პეტრიშვილი. განმარტება პროექტების დასახლებისა და ქართველი ფილოსოფისათვე. - „იოანე პეტრიშვილი შრომები“. ტ. II. თბ.. 1937.
9. იოანე პეტრიშვილი. მარტივობათ. - ფ. ღორე. შეცხ. ძველი ქართული ტერმინები. II. თბ.. 1964.
10. ქართველები. ისტორია (თ. ყავხიშვილის თანამახა). ტ. II. თბ.. 1976.
11. „ქართლი ცხოვება“. ტ. I. მ. ყავხიშვილის გამოცემა. თბ.. 1955.
12. ტ. ბარაშვილი. ქართული შეცნობების შემწეველისათვის. თბ.. 1986.
13. Г. Меликвишвили. К истории древней Грузии. Тб.. 1959.
ბრალდე, რომ ეგებ მით გული განგრილდეს!?" სწერდა ჭირ კიდევ აღრე პოეტი საყვარელ დას ეფემიას, ეს გრჩნობა განსაუკუნობით სიცოცხლის ბოლო წლებში მოეძალა, მაგრამ მისი სიძლიერე სწორედ ის იყო, რომ ეს მელანქოლია, სასოწიანულოთა მხოლოდ ღროვებით იპყრობდა ხოლმე და მაშინვე ცდილობდა თავს მოჩერდა და ხეალინდელ დღეზე ეზრუნა, გულის სიღრმეში მანც აჩასოდეს კარგავდა იმედს, რომ თუ დღეეანდელი დღე არა, ხეალინდელი მანც იქნებოდა მისთვის და საქართველოსათვის ბერნიერების მომტანი: „...მარტოობამ და უსასიებამ რაც უნდა ღრუბელი მოპფინონ, სიმართლე მით არ დაიმაღება და გაბრწყინდება ნათელი მისი: ასეა ღვთისაგან დადგენილი და შეურყუცელი ძალი სიმართლისა"!<sup>27</sup>

ამგვარი განწყობილება, შინაგანი მხნეობა და ოპტიმიზმი შთაგონებდა პოეტს განეცხადებინა: „მინამ ხარ ცოცხალ უნდა იზრუნო სიცოცხლისათვის, ასეა ბრძანება ღვთისა, რომელსაცა ვერავინ გარდაეალს დაუსჯელად..”<sup>28</sup>

### ღვთისათვის

გრიგოლ ორბელიანის ამ ბარათთა უმეტესობა დაცულია ქ. კაკულიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის გრიგოლ ორბელიანის ფონდში.

1. წერილი ვ. დალანისადმი, ფონდი 50 № 80/48
2. წერილი ვ. დალანისადმი 1879 წ. 17 იანვრი ფ. 50 № 77/48
3. წერილი ვ. დალანისადმი, 1879 წ. 17 იანვრი ფ. 50 № 77/48
4. წერილი სოფია რაბელიანისადმი 1874 წ. 17 მარტი ფ. 50 № 487/56
5. წერილი ქათარე რაბელიანისადმი 1875 წ. 15 აგვისტო ფ. 50 № 381/20
6. წერილი რევაზ ქრისტოფორი, 1877 წ. 28 დეკემბერი ფ. 50 № 86/57
7. წერილი ანასტასია რელიმბერისადმი, 1882 წ. 23 აგვისტო ფ. 50 № 143/63
8. წერილი ანასტასია რელიმბერისადმი, 1882 წ. 23 აგვისტო, ფ. 50 № 143/63
9. წერილი ელისაბედ რაბელიანისადმი, 1878წ. 24 აგვისტო, ფ. 50 № 175/25
10. წერილი სოფია რაბელიანისადმი, 1874 წ. 17 მარტი, ფ. 50 № 487/56
11. წერილი ივანე რაბელიანისადმი, 1878 წ. 7 ოქტომბერი ფ. 50 № 192/68
12. წერილი სალომე მარტიანისადმი, 1877 წ. 12 აგვისტო ფ. 50 № 116/66
13. წერილი ალექსანდრე სავანაშვილისადმი 1878 წ. 29 აგვისტო, ფ. 50 № 422 Hd-
14. წერილი ლევან მელიქშვილისადმი, 1878 წ. 5 სექტემბერი, ფ. 50 № 114

15. წერილი ნიკო ჭავჭავაძისადმი 1881 წ. 7 აგვისტუ, ფ. 50 № 523/30
16. წერილი იუსტინ არჩევილისადმი 1878 წ. 7 ოქტომბერი ფ. 50 № 192/68
17. წერილი იუსტინ არჩევილისადმი, 1880 წ. 4 ოქტომბერი, ფ. 50, № 195/64
18. წერილი ალექსანდრე ცაგარელისადმი, 1880 წ. ღვევენები, ფ. 50 № 248/76
19. წერილი ლევან შეიძინასადმი, ფ. 50, № 115/76
20. წერილი სოფია იანიშვილისადმი 1872 წ. ფ. 50, № 485/56
21. წერილი სოფია იანიშვილისადმი, 1873 წ. 16 სექტემბერი, ფ. 50 № 485/56
22. წერილი ვარაუბინე დავითისადმი 1869 წ. 27 ივნისი ზედაპირის შემოსის მიზანის უფლების გზ. არჩევილის ფონდი
23. წერილი სალომე მიურატისადმი ფ. 50, № 117/66
24. წერილი ბაბალე საფინანსერისადმი ფ. 50, № 455/24
25. წერილი სალომე მიურატისადმი ფ. 50 № 117/66
26. წერილი ნიკო ჭავჭავაძისადმი, 1880 წ. ტაბახელა ფ. 50 № 523/30
27. წერილი ვარაუბინე დავითისადმი 1879 წ. 1 ივნისი ზედაპირის შემოსის უფლების უფლების დადგინდნების არქივი.
28. წერილი ელისაბედ იანიშვილისადმი, 1878წ., 28 აგვისტი ფ.50, № 175 25

გრიგორ იანიშვილის ბარიოგინის აღზესატები:

1. ვარაუბინე დავითი - ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული. შემდგომში სამეცნიერო მოუკირის, დავითი დავითის შეულა.
2. სოფია იანიშვილი - სოფია იანიშვილი ასული იანიშვილის მიმსახურებულ-მისახურებულ შეულა.
3. ქორეკ იანიშვილი - გრიგორ იანიშვილის ძმის, ზევირის, შეულა.
4. რევაზ ქორეკი - გრიგორ იანიშვილის დისცილი - ვარაუბინე შეულა.
5. ანატოლი იანიშვილი - გრიგორ იანიშვილის ძე იანიშვილის შეულა.
6. ვლადიმერ იანიშვილი - შემამულე სამარგლო იანიშვილის შეულა. დაბა საფინანსერის ფფე.
7. იანი იანიშვილი - მანანა იანიშვილის ვაჟი. აიმედი 1846-1848 წლებში მასალებიდან დალექტურში გრიგორ იანიშვილისთვის.
8. სალომე მიურატი - ვარაუბინე დადგინდნების ასული
9. ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929) - ფილოლოგი, ისტორიკოსი, 1865 წ. ლამა-თავრია თბილისის სასულიერო სემინარის, 1867 წლიდან სწავლობდა პეტერბურგში, 1871 წლიდან განაცხდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქარისული ქადაგში კათედრას.
10. ლევან შედიქვერი (1817-1892) - ნიკოლა ბარიოგინის მახმადი ვარმაზიანი, შემდგომში კავკასიონის გვერბალი, 1880 წ. მასარიშათებლის მოადგილი, 1882 წ. სახელშეიქმნა საბჭოს წევრი.
11. ბაბალე საგინა შედიქვერი - მარია ალექსანდრე დომიტრის ძე საგინა შედიქვერის შეულა. სამარგლო იანიშვილის ასული.
12. ნიკო ჭავჭავაძე (1830-1897) - აუსკულის ამინის კავკასიონის გვერბალი.

Н. Е. ИМЕДАЗЕ

## СВОЕОБРАЗИЕ ТВОРЧЕСТВА И ЭПИСТОЛЯРНОГО НАСЛЕДИЯ ГРИГОЛА ОРБЕЛИАНИ

### РЕЗЮМЕ

Многие ученые изучили биографию и творчество Григола Орбелиани, многими интересными деталями и штрихами пополнился его жизненный путь, но для оценки поэта недостаточно знакомство только с его творчеством. В этом отношении весьма значительно и заслуживает внимания его эпистолярное наследие. В этих письмах полностью отражена его поэтическая натура, порой полная тоски и печали, а порой полная юмора и жизнерадости.

Эти письма необычайно перекликаются с творчеством поэта, иногда даже идентичны с последним. Всё это было утверждением того, что Григол Орбелиани - поэт и личность - единое неделимое целое.

Представленные в работе письма, в основном, относятся ко второму периоду его жизни, к периоду, когда романтический энтузиазм поэта потерпел поражение.

Если он хотя бы временами смотрел на будущее с надеждой, то в последнюю пору эта надежда угасла, проходили годы, а положение Грузии не радовало его ничем.

Утомленный военными приключениями и жизненными бурями, поэт в пору уединения задумывался о суете человеческой жизни, о превратностях судьбы, и в нем все более углублялась меланхолия, которая так характерна была для последнего периода его жизни. Утрате независимости сопутствовала и трагедия социальных сдвигов.

Григол Орбелиани надеялся, вернее, хотел надеяться, что единоверная христианская страна не допустит вырождения Грузии. Он взывал к императору России с просьбой простереть свою «заботливую ладонь» на нашу Родину. К несчастью, поэт верил в это до конца жизни. На протяжении многих лет он верил, что Грузия вспрянет во всем величии и могуществе.

Эти письма Григола Орбелиани ничем не отставали от его стихов, полных боли, в них отчетливо видна безграничная любовь и уважение поэта-романтика к своей Родине, невыразимая языком сердечная боль, вызванная существующим положением. Мы чувствуем и понимаем, что составляло суть его жизни.

N. IMEDADZE

### PECULIARITIES OF CREATIVE WORKS AND EPISTOLARY HERITAGE OF GRIGOL ORBELIANI

Biography and creative works of Grigol Orbeliani have been studied and reviewed by many scientists; his life path was filled in by many details and touches, but for the evaluation of the significance of a poet, only familiarization with his work is not enough. With this in view, the epistolary heritage of Grigol Orbeliani is extremely interesting and important. In his letters the poetic nature of Grigol Orbeliani is expressed rather vividly; his mood, sometimes full of sorrow and remorse and sometimes impregnated with humour and love for life, is mirrored there.

These letters splendidly comply with the creative work of the poet; sometimes they expose absolute identity. This fact strengthened our belief that the personality of Grigol Orbeliani and that of a poet represents one integral, inseparable whole.

The letters presented in the work, principally belong to the second period of the life of Grigol Orbeliani, that is to the time when the heroic mood of a romantic poet suffered defeat.

If earlier, he at least sometimes looked with hope and bravery to the future, later he had lost even this hope. Years went on and the state of Georgia left no reason for hope and joy.

The poet, tired by military adventures and stormy life at leisure pondered deeply over the essence of the life, the vicissitudes of the life and the melancholy, so characteristic to the last period of his life, was overwhelming him.

Changes conditioned by losing of freedom national independence was accompanied by tragedy induced by social displacements.

Grigol Orbéliani hoped, that is he wanted to have a hope that a state of the same Christian religion would not permit the degeneration of Georgia. And it was because of it that he appealed the Emperor of Russia to lay its "patronizing" hand over our country. Unfortunately the poet retained this belief to the end of his life. He believed and waited for the time when Georgia would revive in all its glory and might.

The letters of Grigol Orbéliani were not inferior to his verses, which were full of pain. They reveal immense love, adoration, respect of our romantic poet to his motherland; the pain that could not be uttered by a man, compassion conditioned by the existing situation. We understand and feel the essence of his life.

მარიამ ეგნატეს ძე ეპისკოპოსი და ლუკა მარების ვაჟი, გელათის მამები იყენებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები, რაც უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს. მაგრა უკავშირდებოდნენ მდგრად მიმდევაცხოველი რიტუალები უკავშირდებოდა ვერტულურ და ვიტალურ სამსახურებს.

თ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მრომები

Труды Тбилисского государственного университета  
им. Ив. Джавахишвили

340, 2002

ღ 2012 გ 2012 მ 2012

0. ჯავახიშვილი და ქართველი მუსიკის  
ისტორიის საპირისო

წარსულის კულტურული ცხოვრების აღსადგენად ეროვნული მუსიკის ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ცნობები მუსიკალური საკრავებისა და ტერმინების შესახებ უფრო გვიანდელ საუკუნეებში გვხვდება, რაც გარკვეულ სიძნეებს უქმნის ქართული მუსიკის მკვდევართ. მიუხედავად ამისა, ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებით არაერთი მუსიკისმცოდნე დაინტერესებულა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დ. არაყიშვილის (1), (2), ბ. ფალიშვილის (7), გრ. ჩხილეგაძის (11(12) (13), ა. მსხილაძის (6), შ. ასლანიშვილის (3), ნ. მაისურაძის (5), გ. შილაკაძის (9) და სხვათა ნაშრომები.

ხალხური სიმღერების ყოველმხრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება საინტერესო იყო როგორც ესთეტიკური, ისე შემცნებითი თვალსაზრისითაც.

ქართული მუსიკის ისტორიის კელვეის საქმეში დიდი წელილი ი. ჯავახიშვილმა გაიღო თავისი კაპიტალური ნაშრომით „ქართული მუსიკის ისტორიის მიზათადი საკითხები“ (14). მეცნიერმა ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებასა და ზეპირ გადმოცემებში დაცული ცნობების საფუძველზე შეისწავლა როგორც ხმიერი, ისე საკრავეერი მუსიკა.

მუსიკის ისტორიის კვლევისას მას დიდად დაქმარი-ალური კულტურის, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ქონ-ბრივი მასალის შესწავლა.

ი. ჯავახიშვილმა გაითვალისწინა წინამორბედ მქოლევართა კვლევის შედეგები. მაგრამ უნდა შევიშნოთ, რომ მას აღნიშნულ

მონოგრაფიაში გამოქვეყნებულ ნაშრომებში გამოყენებული არ იყო ძეველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში მცმობრივილი ცნობები ხმიერი და საქართველო მუსიკის შესახებ, ამიტომ მათი მსჯელობა ხშირად სათურ მასალაზე იყო დაფუძნებული.

ამ მხრივ ი. ჭავახიშვილმა სხვა გზა აირჩია, თავისი მოსაზრებები წერილობით წყაროებსა და ფოლკლორული მასალის განაღლიზების საფუძველზე ჩამოაყალიბა, ამიტომ ეროვნული მუსიკის ისტორიის საკითხების კედევა უშესალოდ მის სახელთანაა დაკავშირებული. მისი მონოგრაფია ერთ-ურთი საინტერესო მეცნიერებული გამოკვლევაა, სადაც წარმომადგენლი ძეველი საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები.

ი. ჭავახიშვილმა საფუძველიანად შეისწავლა ქართული მრავალ-ხშირობის წარმოშობისა და ვანეკითარების საკითხები, მეცნიერებული სიზუსტით დაასაბუთა ამა თუ იმ მუსიკალური ტერმინის არსებობა როგორც ხმიერი, ისე საქართველო მუსიკის დარგში; ის შეეცადა ისტორიული ხანის ქართული მუსიკის ვანეკითარების მთლიანი სურათის აღდგენას, რადგან ქართული მუსიკის დასაწყისის მთავარი საფეხურების გამორჩევა მასალის უქონლობის გამო დად სინერგესტან იყო დაკავშირებული.

ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებზე ი. ჭავახიშვილის მონოგრაფიაში წამოყენებულ მოსაზრებებს რომ გარეკულ ანგარიშს უწეველნეს ეროვნული მუსიკის მკვლევარნი, ეს შემდგომი დროის კვლევა-ძიებაშაც დაიდასტურა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის საერთო სიმღერების ანალიზმა ნათელი მოპფინა ბერი ისეთ საკითხს, რომლის შესახებ მეცნიერს მხოლოდ ვარაუდი ჰქონდა გამოთქმული, კვლევის თანამედროვე ეტაპზე დავას აღარ იწვევს ქართული მრავალხშირობის ორიგინალობის სფეროს (3), (4), (5), (9), (10).

ძეველ ქართულ მწერლობაში არსებული მუსიკალური ტერმინოლოგიის დადგენის საფუძველზე ი. ჭავახიშვილმა საქართველოში მრავალხშირობის წარმოშობის შესახებ ფრიიად მნიშვნელოვანი მოსაზრება გამოთქმა: „ძეველ ქართულ ლიტერატურაში არ მოიპო-



კუბა დასავლეთ ეკროპის მუსიკალური მეცნიერებიდან გადმოღვავა  
ბული არც ერთი მუსიკალური ტერმინი”, ამიტომ მრავალშემინარევა  
ბა მას ერთეული მუსიკის საკუთრებად მიაჩნდა. ეს თვალსაზრისი  
კი ქრისტენთა ყველაზე დამაჯერებელი საბუთი იყო იმის უარსაყო-  
ფად, რომ მრავალშემინარება საქართველოში დასავლეთ ეკროპიდან  
არ იყო გადმოტანილი. მეცნიერის აზრით, „მრავალშემინარება ქრი-  
სტელი მუსიკის შინაგანი განვითარების წარმატების ნაყოფია” (14.  
303).

ქართული მრავალშემინარების შინაგანი განვითარების კვალს  
იგი ხმათა სახელებში და თვით სიმღერებშიც ხელივდა.

ქართული ხალხური სიმღერის მკვლევარი ზ. ნაღელი თავისი  
შრომის ერთ-ერთ ნაწილში საქართველოს კულტურული ურთიე-  
რობის შესახებ მრავალშემინარების წარმოშობის საკითხთან დაკი-  
შირებით იმ დასკვნამდე მოვიდა, რომ შესაძლებელია მრავალშემი-  
ნობის კერა საქართველოში იყოს (14. 26-32).

ქართული მრავალშემინარების განვითარების საფეხურთა დად-  
გენაში მნიშვნელოვანი როლი სხვა ავტორებთან ერთად (დ. არა-  
ყიშეილი, ზ. ნაღელი, გრ. ჩხიფაძე, შ. ასლანიშვილი) ი. გვამიშვი-  
ლის მონოგრაფიამც შეასრულა. იგი გაეცნო საქართველოს სხვა-  
დასხვა კუთხეში შემორჩენილ ცნობებს ხმების სახელებისა და  
მღერის წესის შესახებ.

განხილულმა მასალამ მეცნიერი დაარწმუნა იმაში, რომ მე-  
17-ე საუკუნეზე აღმრეული ძეგლები არ მოგვეპოვება, რომელშიც  
გვხელება სიმღერა-გალობის სახელები.

ი. გვამიშვილი არ იზიარებდა იმ აზრს, რომ მრავალშემინარება  
საეკლესიო და საერთო მუსიკაში დამოუკიდებლად გამოიყო. მისი ვარ-  
აუდიოთ, ერთი მათვანი უნდა ყოფილიყო მრავალშემინარების დამწ-  
ყები და შემწევლი, მეორე კი – შემთვისებელი.

მრავალშემინარება, მისი აზრით, საერთო მუსიკის დამახსინეთ-  
ებლი თვისება უნდა იყოს, იგი ქართულ მუსიკის წარმართულ ხანა-  
შიც უნდა ჰქონოდა (14. 301-302).

ი. გვამიშვილი ხმათა სახელწოდების ფუნქციათა გამოყენების  
საფუძველზე შეეცადა მრავალშემინარების განვითარების საფუძველ-



ბის დაფენის. სამხმიან სიმღერაში ბანის ოქტავური გაორნიშვება მას მიაჩნდა პირველად ფორმად ორხმიანობიდან სამხმიანობაზე გადასცლისა. ამის მაფალითად იგი ასახელებდა ზ. ნადელის მიერ მიკვლეულ სამხმიანობის უძველეს ნიმუშს – „თებრონე მიდის წყალზედა“.

ი. გავახიშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამხმიანობის წარმოშობა და განვითარება ემყარება ორა საერთოერ, ასამედ სმიერ ფუძეს, – ემთხვევა ზ. ნადელის, <sup>1</sup> გრ. ჩხილეაძის (11), დ. არაყიშვილის (2) მოსაზრებებს.

ი. გავახიშვილი სამხმიანობის წარმოშობის საეთხის კელევოსას, სწავლობს ხმათა შეწყობის გაჩენისა და მისი თანდათანობით განვითარების ისტორიას. მისი შეხედულებით, ხმიერი მუსიკა თვიდაპირველად ერთხმიანი იყო. ყველაზე პირველად უმარტივესი პანგის სიტყვების მთმმელი ანუ მომძანელი უნდა გაიწენილიყო, რაღაც ბანი თავისთვის შესაბანებლის არსებობას გულისხმობდა (14, 80).

საინტერესო დაკირვება აქვს მეცნიერს ბანის შესახებ. მისი სიტყვით, თავდაპირველად ბანი გარევეული ხმის სახელი არ უნდა ყოფილიყო. ის ზოგადად შებანების, ხმათა შეწყობის გამომხატველი იყო. ხოლო შემდეგში, როდესაც ორხმიანი სიმღერების გარდა 3-ხმიანი სიმღერაც გაჩნდა, ბანი თანდათანობით დაბალი ხმის სახელად იქცა.

ძველი აღთქმის გაღმოთაჩვენის ხანაში, ი. გავახიშვილის აზრით, ბანი უკვე არსებობდა როგორც მუსიკალური ტერმინი, რამაც სიტყვა „შებანებული“ ამტკიცებს.

ი. გავახიშვილი ბაქარის გამოცემაში, კერძოდ „მეღეთა წიგნში“ ორ ტერმინს – („შებანებული“ და „შეხმობილი“) გამოყოფს „ეს ორივე ტერმინი ხმათა პარმონიულად შეწყობასა და შეხამებას, შეთანხმებით აყოლებულს ნიშნავდა“ (14, 282).

ხმების სახელების შესწავლისას ი. გავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიღდა, რომ ტერმინები „შებანებული“ და „შეხმობილი“ საქმიანდ

<sup>1</sup> 3. ნადელის მოსაზრებები წარმოდგენილია ი. ჯავახიშვილის ნაშროვის მიხედვით (14).

ქველია. ისინი უკვე XI საუკუნეში ყოფილა ცნობილი. მდ დართული ქართველებს ბანიც სცოდნიათ.

ი. გავახიშვილის ვარაუდით, ტერმინები: „შებანება“ და „შეწყობა“ საუკლესიო მუსიკის მონაპოვარი არ უნდა იყოს, არამედ ისინი საერთოდანაა შეთვისებული” (14, 300).

ბანის ფორმაშ საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა საფეხური გაიარა. ბანის ანალიზის დროს შ. ასლანიშვილი დარწმუნდა, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში იგი წმინდა ჰარმონიული ფუნქციის მატარებელია, სხვა შემთხვევაში ბანში უპირატესობა მელოდიურ საწყის ენიჭება“.

შ. ასლანიშვილის დაკარგებით, „ბანს რომ მიეღო წმინდა ჰარმონიული ფუნქცია, ე. შედა ორ ხმასთან შედარებით ხარისხობრივად განსხვავებული გამსდარიყო, აუცილებლი იყო გაჩეზეული ევოლუცია“.

ი. გავახიშვილისაგან განსხვავებით, შ. ასლანიშვილს მიაჩნია, რომ ცნება „შებანება“ შეუძლებელია გაჩენილიყო მრავალხმიანობის განვითარების პირველ საფეხურზე. მისი ვარაუდით, „მრავალხმიანობის თეორიული შეგრძება გარეული ცნების სახით უნდა წარმოქმნილიყო მრავალხმიანობის რთული განვითარებული და ფართოდ გავრცელებული სახეობის არსებობის პირობებში. ე. როდესაც ცნება „შებანება“ წარმოიშვა მრავალხმიანობა, რთული და განვითარებული ფორმების სტადიაში უნდა ყოფილიყო“ (4,160).

ი. გავახიშვილმა ისტორიულ წყაროებსა და ხალხში დაცულ ხმათა სახელწოდებების თანმიმდევრული განხილვის შედეგად დადგინა ხმათა რაოდენობა ხალხურ სიმღერაში. მან განმარტა, როგორც 3 ხმიანი სიმღერის ხმის სახელები, ისე 5 და 6 ხმიან გუნდში არსებული ახალი ტერმინები: კრინი, ზილი, დერინი.

ამრიგად, ქართული მრავალხმიანობის გაჩენისა და მისი თანდათანობით განვითარების განხილვამ ი. გავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყავანა, რომ ქართულ მუსიკაში მრავალხმიანობის გაჩენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ბანის ანუ შებანების გაჩენა და მის გორმავებას ჰქონდა.



ბანისა და 1 ხმის ოქტავური სელა სამხმიანობის ჩანასახისა და კუთხის  
მრავალხმიანობის, ერთ-ურთ უძველეს ფორმას წარმოადგენს.

ი. გვახიშვილი სიმღერის წარმოშობის ეპოქის გამოსარეცვალ  
სიტყვიერ ტექსტს ან მის ზოგიერთ სიტყვას დიდ მნიშვნელობას  
ანიჭებდა. ამ თვალსაზრისით მან განიხილა დ. მაჩაბლისა და პ. კარ-  
ბელაშვილის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ მათ საერთო სიმ-  
ღერები („ბერზე დაგნატრი, ბარათო“, „ვაი შენ, ჩემო თეორია ბა-  
ტო“, „ვინცა კაცია არნანო, ჩოხა გაჭირო თარნანო“) ზოგიერთი  
საექლესიო საგალობლის დედან პანგად მიაჩნდათ და ამ სიმღერე-  
ბის საგალობლებზე უწინარესობას ამტკიცებდნენ (14, 9).

ი. გვახიშვილის აზრით, კი ეს სიმღერები საექლესიო საგალო-  
ბლის დედან პანგად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან ტექსტის ზო-  
გიერთი სიტყვა მაგ. ჩოხა, ბატი, ბარათი IX საუკუნის აღრინდელ  
ქეგლებში არ გვხვდება.

ხალხური სიმღერის წარმოშობის ეპოქის განსაზღვრისას, მუ-  
სიკალური მეცნიერება განსაკუთრებით რთულ პირობებში იმყო-  
ფება. ძველ ქართულ წყაროებში ამა თუ იმ სიმღერის წარმოშობის  
შესახებ თითქმის არაფერი მოგვეპოვება. მ. ასლანიშვილის აზრით,  
მარტო სიტყვიერი ტექსტის ანალიზი საქმიანის არ არის სიმღერის  
ხმოვანების გამოსარეცვალ, არამედ ყურადღება უნდა გამოხვილდეს  
როგორც ლიტერატურულ ცნობებზე, ასევე იმ ყოფა-ცხოვრებით  
პირობებზე, რომელშიც ხდება სიმღერის შესრულება, კულტურის  
მონათესავე დარგების სტილისტიკურ თავისებურებებზე, განსა-  
კუთრებით კი მუსიკალური გამომსახველობის ფორმალურ ხერხე-  
ბზე (4, 148).

ი. გვახიშვილი სიმღერის წარმოშობის ეპოქის განსაზღვრისას  
მოითხოვდა სიმღერის ყოველმხრივ ანალიზს, განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას კი სიტყვიერ ტექსტს ანიჭებდა. ნაკლებ ყურადღებას  
აქცევდა მუსიკალური ტექსტის ანალიზს.

შ. ასლანიშვილი კი ქართლ-კახური სიმღერების პარმონიის  
შესწავლის საფუძველზე ამ სიკითხთან დაკავშირებით განსხვავე-  
ბულ თვალსაზრისს გამოითქვამს. „ქართლ-კახურ სიმღერებში პარ-  
მონია იმდენად ცხადიდ და ფართოდაა გაშლილი და იმდენად

მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რომ უმეტეს შემთხვევაში აღებული სიმღერის ან სიმღერათა გეოგრაფიული თავისებულებანი შეიძლება მიეკოლოთ სიმღერის წარმომობის ეპოქის განსაზღვრის წამყვან საწყისად” (4, 150).

ი. გავახიშვილი წერილობითი წყაროებიდან ამოკრეფილი ცნობების საფუძველზე აღვნის ზოგიერთი სიმღერის სახელწოდებასა და სიმღერათა ეანრების არსებობის ხანას. ქართული სიმღერის შესახებ ცნობებს მან მიაკვლია მე-12-ე, მე-17-ე და მე-19-ე საუკუნეების ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ძველ საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ლექსითან ერთად სიმღერაც გაჩნდა, მაშინ ჩვენამდე მოლწეული ცნობები ჰალზე არასრულია.

საუკუნეის მუსიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მეცნიერი თავის მონოგრაფიაში საგანგებოდ ჩიტადება. იგი განმარტავს საგალობლის ისეთ ტერმინებს, როგორიცაა კილო, მუხლი, კვევა, საჭკევი, მნიშვნელი და სხვ. გამოთქვაში ვარაუდს იმის თაობაზე, რომ საგალობლის წყარო წარმართული სიმღერა უნდა ყოფილიყო. გალობა, როგორიც მუსიკალური ტერმინი, უფრო გვაიძ უნდა გაჩინილიყო. მანამდე იგი ზოგადი მნიშვნელობით იხმარებოდა და „სიმღერას“ ნიშავდა (14, 226).

ი. გავახიშვილი დიდ ინტერესს საქართველოზე მუსიკისადმი იქნება. თავისი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე ქართველ ხალხს მრავალი სახის საქართველო კქონია, მაგრამ დიდი უმრავლესობა სამუსიკ საქართვებისა ამჯამად სრულიად უცნობია. მათ სახელებს მხოლოდ წერილობით წყაროებში თუ ამოკითხვეთ. ესენია: ებანი, ქარი, ნესტერი, იობელისანი, ტაბლავი, გოლი, ქარახსი, ყვირასტვირი და სხვ. (12).

ი. გავახიშვილი თითოეული მათგანის სახელის მნიშვნელობას, არსებობის ხანასა და საქართველოს საღაურობას ძეგლების მიხედვით იკვლევდა.

ძალებითი საქართვების შესახებ არსებული ცნობების შესწავლისას მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ძალებით საქართვებს სხვადასხვა სახელი აქვთ, მაგრამ მათ მაინც ერთი საქართო თვისება

ერთიანებით. ეს თვისება კი ის არის, რომ თითოეული მათგანი ძალიანია, მაგრამ საყრავებს ერთმანეთისაგან განასხვავებს ძალია ანუ სიმთა რაოდენობა. ამ განმასხვავებელი თვისებების შესახებ ი. გავახიშვილი წერდა: „განსხვავება მათ შორის მარტო ძალია რიცხვზე არ იყო ღამისარებული, მაგრამ საყრავების სახელდების დროს, უმთავრესი ყურადღება სწორედ ამ გარემოებას ჰქონია მიპყრიბილი და საყრავთა ამ გვუფის უმთავრეს განმასხვავებელ და ნიშანდობლივ თვისებად სწორედ ეს ყოფილა მიჩნეული” (14, 91).

ერთი უმთავრესი ნიშანთაგანი, რომელიც საყრავებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა, მეცნიერის აზრით, იყო დიაპაზონი, ანუ საბას განმარტებით – მზახელობა, ხმის მაღალ-დაბლობა.

საყრავს სხვა თვისებაც გააჩნდა. საბა მას სიტყბოს უწოდებდა, ი. ჯავახიშვილი კი – საყრავის ტემპრის.

ი. გავახიშვილმა მოგვეა სიმებიანი საყრავების ნაწილების აღწერილობა, გაარკვია მათი დანიშნულება, აღადგინა საყრავთა ნაწილთა ქართული ტერმინოლოგია, გაამახვილა ყურადღება ზოგიერთი საყრავის ნაწილთა ურთიერთშეფარდებაზე.

ი. გავახიშვილი ნაშრომში ძალებიანი საყრავების შემზადების წესსა და ტექნიკას ცეკვით, ამისათვის მან გამოიყენა სხვადასხვა თემში ჩაწერილი მოქმედების ნაამბობი. დაინტერესდა სიმებიანი საყრავების აღლერების წესითაც. მან ნემესიონ ემსესლის „ბუნებისათვის კაცისა“ პეტრიშვილისეულ თარგმანში მიაკვლია ტერმინს „ძალასაცემელს“. რომელსაც სიმებიანი საყრავების ასახმაურებლად კუნებდნენ.

ი. გავახიშვილი საონტერესო ცნობებს იძლევა მოზიდვისა და ძალისაცემლიანი საყრავების შესახებ. სავანგებოდ ჩერდება თითოეული საყრავის ავებულებასა და წარმოშობაზე.

ებანი მას ქართულ სახელად მიაჩნდა, მაგრამ რაც შექება თვითონ საყრავს, იყო თუ არა იყო ქართული, ამის თობაზე თავს იკავებდა. ფიქრობდა, რომ ეს საკითხი დასადგენი იყო.

ებანის ქარის ქართულ შესატყვისად მიჩნევა ი. გავახიშვილს უფლებას აღსაყდა, ევარაუდა, რომ ებანიც გალობასიმღერის შე-

ბანებისათვის განკუთვნილი საერთო იყო. მისი ვარაუდით, ეშანი, როგორც გარეული საერთოს ქართული სახელწოდება, ბანიდან უნდა ყოფილიყო წარმოქმნილი.

ი. გვახიშვილი ქართული მუსიკის ისტორიის ერთ მთავარ საკითხად თვლიდა ძალთა ანუ სიმთა სახელების დადგენის, რაღაც, მისი აზრით, საერთოს სიმთა სახელწოდებანი მრავალხმიანობის წარმოშობა-განვითარების ერთ-ერთი წყარო იყო.

მეცნიერი აჩვევს ჩა საერთოერ მუსიკაში ხმათა თანდათანობით გაჩენის პროცესს, იმ დასკვნამდე მიღის, რომ „საერთოერ მუსიკაში პირველად ბანი (ზოთი ხმის გამომღები ძალი) უნდა გაჩენილიყო, შემდეგ კი მღერით წარმოთქმული პანგის დასაერთოდ განკუთვნილი ძალი“ (14, 309).

მიუხედავიდ იმისა, რომ ქართული მრავალხმიანობის ჩანასახი საერთოერში კი არა, ხმიერ მუსიკაში უნდა ვეძიოთ, ი. გვახიშვილი მართებულად აფასებს საერთოერი მუსიკის როლს ქართული მრავალხმიანობის განვითარებაში, როდესაც წერს: „ქართული შებანების გაჩენა-ჩამონაკვთილობისათვის საერთოს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“.

პარალელური კვარტეტებისა და კვინტეტების დაკანონებას ხმიერ მუსიკაში იგი უკავშირებს „ძალებიანი ჩამოსაერთო შემბანებელი საერთოს (ფანდური, ჩონგური) ხმარებას“. მეცნიერის დასკვნით, ხმიერ მუსიკაში უნდა ვეძიოთ მრავალხმიანობის ჩანასახი, საერთოერ მუსიკაში კი ჩამონაკვთულია ქართული პარმონის თავისებურება (14, 312).

საერთოერი მუსიკის ერთ-ერთი მკელევარი მ. შილავაძე ი. გვახიშვილის აღნიშნულ მონოგრაფიას, რომელშიც დიდი აღვილი საერთოერ მუსიკის ეთმობა, ასეთ შეფასებას აძლევს: „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ წარმოადგენს სამაგიდო წიგნს, რომელსაც გვერდს ვერ აუკლის ქართული მუსიკის ისტორიის ვერცერთი მკელევარი. იგი მოიცავს მნიშვნელოვან დებულებებსა და მოსაზრებებს. გარდა ამისა, აქ თავმოყრილია უძლილესი მასალა საერთოების შესახებ, რასაც ხშირ შემთხვევაში წყაროს მნიშვნელობა ენიჭება“.

მრჩიგად, ი. ჯავახიშვილის მიერ ქართული მუსიკალური კულტურის საყითხების კვლევა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ნაწილია. იგი მაჩვენებელია ქართველი ხალხის ღიღი მუსიკალური ტრადიციებისა.

### ლიტერატურა

1. დ. არაყიშვილი. ხალხური სამუსიკო საქანცების აღწერა და გაზიმვა. თბ., 1946.
2. დ. არაყიშვილი. ქართული მუსიკა. ქუთაისი, 1925.
3. ვ. ა. ლანიშვილი. ნარიკელი ქართული ხალხური სიმღერის შესახებ. თბ., 1934.
4. ვ. ა. ლანიშვილი. ქართლ-კახეთის ხალხური საგურით. სიმღერების პირველი. თბ., 1950.
5. ვ. ა. ლანიშვილი. აღმოსავალის საქართველოს მუსიკალური კულტური. თბ., 1971.
6. ვ. ა. ლანიშვილი. ხალხური საქანცების მუსიკის ისტორიულობა. თბ., 1969.
7. ხ. ფალად შევილი. ქართული ხალხური სიმღერების კრებული. თბ., 1919.
8. გ. გ. ვალეკვარე. ქართული ხალხური შესაკადი ტრადიციები და თანამედროვება. თბ., 1938.
9. გ. გ. ვალეკვარე. ქართული ხალხური საქანცები და საქანცების მუსიკა. თბ., 1970.
10. ი. ჩხეივაძე. ქართული მრავალნარის ზოგიერთი სკოლა. სამცხოვრის ციფრები. თბ., 1955. №2
11. გ. გ. ჩხეივაძე. ქართული ხალხური სიმღერა. თბ., 1960.
12. გ. გ. ჩხეივაძე. სამუსიკო საერთო ებრი და მისი ჩათვა. საქართველოს კულტურული ფონდები. VII. თბ., 1955.
13. გ. გ. ჩხეივაძე. ქართული მუსიკალური ფოლკლორის ისტორიული მუსიკა. სარგებლის საქართველოს ისტორიული მუსიკა. VII. თბ., 1955.
14. ი. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ძირითადი საკონცები. თბ., 1990.

Л. ЧУМБУРИДЗЕ

## И. ДЖАВАХИШВИЛИ И ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОЙ МУЗЫКИ

### РЕЗЮМЕ

И. Джавахишвили на основании письменных источников и сведений, сохранившихся в устном творчестве, выявил древность грузинской музыки, ее высокий уровень. Выяснил полную картину развития грузинской музыки исторического периода.

Автор статьи пытается показать вклад И. Джавахишвили в дело изучения истории национальной музыки.

L. CHUMBURIDZE

## I. JAVAKHISHVILI AND QUESTION OF HISTORY OF GEORGIAN MUSIC

### SUMMARY

I. Javakhishvili studied the antiquity of Georgian music and its high level on the basis of the evidence of the written sources and folklore.

He reconstructed a comprehensive picture of the development of the Georgian music of historical period.

An attempt is made in the paper to highlight I. Javakhishvili's contribution to the study of national music.

თ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მრომები  
Труды Тбилисского государственного университета  
им. И.В. Джавахишвили

340, 2002

## 00121 საპარაზი

### სამართლის კინეთიდი პარამეტრების საკითხისათვის 068400ს ერთ გრიფირების მასალაზე

სათაური ყოველი ტექსტის მნიშვნელოვანი ინფორმაციული ნაწილია. სათაურის თავისებურებების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, ლ. ა. ლებედევის აზრით (1,91) სათაურს, რომელიც ზუსტად შეესაბამება იმ შინაარსს, რაც ტექსტშია ჩატებული, შეუძლია გაამდიდროს ტექსტი და იგი უფრო გამომსახველობითი გახდოს. გარდა ამისა, ავტორის აზრით, სათაური ისეთი უნდა იყოს, რომ შეძლოს მკითხველის ყურადღება შეაჩეროს. სწორედ ამიტომ, ნაწარმოების ავტორი ფრთხილად უნდა იჩინედეს სათაურს და ცდილობდეს იგი მოულოდნელობით და ექსპრესიულობით დატვირთოს.

ტექსტის სათაურის რეკლამურ ხასიათზე ხაზგასმით მიუთითებს დ. გოცირიძე (2,206) თავის სტატიაში. ავტორი მოითხოვს, რომ მთელ რიგ მეცნიერთა შრომებში გამოყოფილი ნომინატორი, ინფორმაციული, ყურადღების მიპყრობის, მკითხველის დაინტერესების, მოვლენათა შეფასების ფუნქციები გაერთიანდეს ერთ რეკლამურ ფუნქციაში, რომელიც, ავტორის აზრით, ყველა ზემო დასახელებულ პარამეტრს მოიცავს.

ჩვენი აზრით, სათაურის რეკლამურობასთან მჭიდრო კავშირშია მისი მაიცენტუიტიცირებელი ფუნქცია, რომელსაც ხაზგასმით გამოყოფთ იმის გამო, რომ სათაური ნაწარმოების თავისებური სახელია და იგი სხვა მხატვრული ტექსტისაგან ფორმალური გამიჯვნის ერთ-ერთი საფუძვლო თავია.

სათაურს მეოთხეული განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით უნდა მოეპყროს და ეცალოს ამოიკითხოს მასში და-მუხტული ინფორმაცია, რათა სწორი ინტერპრეტაცია მისცეს ტექსტისადმი სათაურის მიმართებას; ტექსტის სათაური ხომ ის ორივენტორია, რომელიც ტექსტის ინფორმაციისადმი აეტორის პოზიციას ჰქონს ნათელს.

აეტორისეული პოზიცია სათაურში აისახება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მოქმედებს „აჩევნითობის“ პრინციპის (3,366) შესაბამისად. უამრავი ვარიანტიდან აეტორი სათაურიად იჩინებს იმას, რაც სრულიად შესაბამება ტექსტის დედაბის და მიზანდასახულობას. ამიტომ, სათაურის თავისებურებაზე სწორედ ტექსტიან მიმართებაში უნდა ვეძებოთ.

სათაური თავისი შინაარსით შეიძლება იყოს ემოციონალურად ნეიტრალური და ემოციონალურად დამუხტული. ემოციის საჩეკლიზაციოდ სათაურში ობიექტურადა მოცემული სპეციალური ენობრივი სიგნალები. მაგალითად, ემოციონალურად დატეირთულია მ. სპარსის მოთხრობის სათაური You should have seen the mess (6,147), სადაც მოდალური ზმნის should კავშირით ლექსიკურ ერთეულებთან seen და mess გამოხატულია გმირი გოგონას უარყოფითი შინაარსის ჩატვრის ყველაფერზე, რასაც ცხოვრებაში იხილავს ხოლმე; იგი ხომ იჩველივ მხოლოდ და მხოლოდ სისუფთავეს ამჩნევს, ადამიანთა სულიერი სამყარო მისთვის მიუწვდომელია, რაც ახალგაზრდა ქალის არაპარმონიულ შინაგან სამყაროზე მივევითოთებს.

ემოციონალურად ასევე დატეირთულია პ. ბეიტსის მოთხრობის სათაური Go, Lovely Rose (7,119), რომელიც ალუზიას ლექსიდან, სადაც პოეტი შესთხოვს ვარდს მის შეყვარებულს ამცნოს. რომ იგი შშენიერი ვარდის დარია, პოეტისათვის ასევე მნიშვნელოვანია მისმა სატრაქომი იცოდეს, რომ ვარდი თვალის და სულის შშენებად მოავლინა ლმერითმა და, თუ იგი უდაბნოში თვალს მიეფარება, როგორც ამას მისი შეყვარებული სწავლის პოეტს რომ გაუჩიბის, იგი უმიზნოდ გაჭრება, დაიღუპება და მის სილამაზეს

ვერავინ იხილავს. მაში, რა ამათ ყოფილა ქეყნად მისი მოსელაშიცაა აღიარებს რა თავისი შეკვარებულს უდაბნოში მოსულ ვარდს, პოეტი სწერს, რომ მისი შეკვარებული დროს ფუჭად ფლანგავს. პოეტი მოუწოდებს გოგონას თავი დააღწიოს მორცხვობას და საშუალება მისცეს გამოხატოს თავისი სიკვარული და თავდავიწყება.

აი, ასეთი შინაარსისაა ე. ვოლერის ლექსი, საიდანაც ჰ. ბეიტ-სის მოთხრობის სათაური Go, Lovely Rose არის ნასესხები, როგორც აღუზიური ფორმა. ე. ვოლერის ლექსის შინაარსი ის სიგნალია, რომელმაც ჰ. ბეიტსის მოთხრობის სათაურის შესაბამის ტექსტთან მიმართებაში დიდი ემოციონალური მუხტი შესძინა.

ერთი შეხედვით, ნაკლებ ემოციონალურად გამოიყერება ე. შორერის მოთხრობის სათაური The dead dog (8,121). ამასთანავე აღნიშნავთ, რომ ზემომოტანილი სიტყვათშეთანხმება მყითხველი-სათვის გარკვეული იმპლიკატორია ნაწარმოების დედახზის წვდომის პროცესში, სათაური ხომ ტექსტში გარკვეული აქტენტების განაწილებას განაპირობებს; ცოტხალი ძალი მოხუცისათვის ოჯახური სიობოს გარიანტია იყო, ძალის სიკვდილი კი მისი უბე-დურების მომასწავებელია. ამჩინად, ერთი შეხედვით, ემოციონალურად შედარებით ნეიტრალური სათაური მხოლოდ ტექსტთან მიმართებაში იძენს ემოციონალურ მუხტს.

დ. ვოლერიძე სრულიად მართებულად აღნიშნავს (2,212), რომ სათაურის სინტაქსური კონსტრუქციები მრავალფროვანია და მათი ერთ სიბრტყეში მოქცევა სათაურს უკარგავს სპეციფიკურობას. ავტორის აზრით, სათაურის სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლა გარკვევს სათაურისა და წინადაღების მიმართების საკითხს, ასევე სათაურის, როგორც „წინადაღების ნამსხერევის“ ბუნებას.

თავისი სტრუქტურის მიხედვით, სათაური შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი და ორზემეტწევრიანი. სათაურის სინტაქსური თავისებურება მჭიდრო კავშირშია ნაწარმოების ტექსტთან: ერთი მხრივ, სწორედ ტექსტთან მიმართებაში ხდება სათაურის შინაარსის დეკოდირება, მეორე მხრივ კი, სათაური თა-

ვისი სტრუქტურული მაჩვენებლებით უფრო ხაზგასმით შევვა-  
 თთებს ნაწილმოების აუტორისეულ პოზიციაზე, გვეხმარება ტე-  
 ქსტის დედააზრის განსაზღვრაში.

სათაურის ჩვენ განვიხილავთ, როგორც ასახულ სტრუქტუ-  
 რულ და ინფორმაციულ ერთეულს, რომლის ორივე ეს მხარე  
 სრულად ტექსტთან მიმართებაში უნდა დადგინდეს. სწორედ ამი-  
 ტომ, სათაური თავისი ბუნებით აღლოს დგას ელიტურ წინადაღუ-  
 ბასთან, რომელთა სრული სტრუქტურული და ინფორმაციული  
 ლიტერატურება კონტექსტთან მიმართებაში დგინდება.

სათაურის სტრუქტურულ-ინფორმაციული შეჯება, ჩვენი  
 აზრით, უმეტესად უნდა მოხდეს განსაზღვრებითი დამოკიდებული  
 წინადაღებით. ასაკერძოებლია, რეკონსტრუქციის დროს შეიძლება  
 აღვილი ჰქონდეს სხვა სახის შეჯებასაც, ააც ინდივიდუალურ  
 გემოვნებაზე და ლიტერატურულ ალლოზეა დამოკიდებული. სა-  
 თაურის ელიტური ბუნების კონსტრუქციად განხილვისას, რო-  
 გორც ზემოთ აღნიშნეთ, საჭიროა სათაურისა და ტექსტის ურ-  
 თიერთმიმართების დადგენა და შესაბამისად, სათაურის განვი-  
 ყობა-ვაშლა. მაგალითად, 3. მონრის მოთხრობის სათაურის Tea  
 (9, 17) მიმართების დადგენა ტექსტთან საშუალებას გვაძლევს  
 სტრუქტურულად და შენარჩუნოვად მისი შემდეგნარი განვი-  
 ყობისათვის: Tea-time formalities in the afternoon that he could  
 not avoid by marrying Rhoda (ნაშუადღევის ჩაის მისი ატრიბუტები,  
 რომელთა გვერდის აღლა ვერ მოხერხდა როდაზე ქორწინებითაც).

რიგი ერთწევრია სათაურებისა საკუთარი სახელებითაა წარმო-  
 დგენილი. მაგალითად, ს. ფიტჭერალდის მოთხრობის სათაური  
 Gloria (10,87) მიუთითებს გმირზე, რომლის გარშემოც ნოველის  
 სიუჟეტური კვანძი იყვრება. როგორც ტექსტიდან ვიტყობთ, გლო-  
 რია თავის თავში შეევარებული ქალია; იგი არაფრიად დაგიდევთ  
 სხვის აზრს, თავისი მოქმედებით შეურაცხებყოფს ქმარს, და, რაც  
 მთავარია, სულაც არ გრძნობს თავის დანაშაულს. ს. ფიტჭერალდი  
 თითქოსდა სათაურით უსვამს ხაზს, რომ გლორიას თავხედობას,  
 უზნეობას არანორი სიტყვა არ ემორჩილება. მოთხრობის სათაუ-

რის განვირულბა-გაშლა ტექსტთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, შემ-  
 დევნილიად შეიძლება: Gloria who was unbearable towards everybody  
 she met, but especially unbearable she was to her husband (გლორია,  
 რომელიც საშინლად ეჭირდა ყველას, განსაკუთრებით კი, ქმარს).

სათაურის თავისებურებებს შორის აღსანიშნებია, რომ იგი აზ-  
 რის გარეკვეული კონდენსირებული ფორმაა. აზრის კონდენსაცი-  
 აზე მიუთითებს დ. გოცირიძე (4,236) თავის სტატიის დასაწყისში.  
 აზრის კონდენსაცია პარტიის პიალური კონსტრუქციების საშუ-  
 ალებით საონტერესოდ აქვს შესწავლილი მ. ყისას შეიღლს თავის  
 სტატიაში (5, 13). გარდა პარტიის პიალური ფორმებისა, აზრის  
 კონდენსაცია ასევე მიიღწევა ჩართული წინადაღებების, ფრჩხი-  
 ლებში მოცემული კონსტრუქციების მეშვეობითაც. როგორც ზემ-  
 ოთ აღვნიშნეთ, სათაურიც აზრის კონდენსაციის ერთ-ერთი მნიშვ-  
 ნელოვანი ფორმაა.

განსხვავებით პარტიის პიალური კონსტრუქციისაგან. სადაც  
 სილამისეული პროპოზიციები ეტაბლირიებად გამოიყოფა, სათა-  
 ური აზრის ისეთი კონდენსირებული ფორმაა, რომლის სილა-  
 მისეული ერთეულები ტექსტთან მიმართებაში დგინდება. მაგალი-  
 თად, მ. დიკენის მოთხოვბის სათაური I II have a job (11,23)  
 ტექსტთან მიმართებაში შემდეგნარიად გიშლება "I II have a job"  
 which for the girl turned out to be only a dream because she was good at  
 nothing („მუშაობას დავიწყებ”, რაც გოგონას ოცნებად დარჩა, მიტომ რომ არაფერი ეხერხებოდა).

კლიფსური წინადაღებებისაგან განსხვავებით, სათაურის კონ-  
 დენსირებული ფორმის ინფორმაციული ლიტებულება გარკვეულ  
 წილად დამოკიდებულია ტექსტის სუბიექტური ინტერპრეტაციის  
 ფაქტორზე. მეოთხეულის სუბიექტური ინტერპრეტაციისთან ერთად  
 ტექსტისადმი სათაურის მიმართების ობიექტური ფაქტორი მეტად  
 პიშენელოვანია.

სათაურის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება მდგომარეობს  
 იმაში, რომ მას გააჩნია ჭერექსტი, რომლის საშუალებითაც განვ-  
 საზღვრავთ აეტორის პოზიციის ტექსტში ჩეალიზებული ფაქტო-  
 ბიები ინფორმაციის მიმართ. ეს იმიტომა შესაძლებელი, რომ

„არჩევითობის პრინციპის“ საფუძველზე რეალიზებული სათაურით აეტორი ნაწარმოების რაოდელილად ერთ მხარეს წამოსწევს წინ, რაც ფაქტობრივ შინაარსში აქცენტირდება და იშლება ხოლმე. სათაურის ჰერესტრური ხსიათი სათაურისა და ტექსტის ურთიერთობაში იკვეთება, კონკრეტულება და დედააზრიად იქცევა. მარიგად, სათაური ნაწარმოების კონცეპტუალური ინფორმაციის ჰერესტრის კონცენტრირებული ფორმაა.

სათაურის ჰერესტრის არსებობის ნათელსაყოფად შევეცდებით განვიხილოთ პ. ბერტის ზემო დასახელებული მოთხრობის სათაურის “Go, Lovely Rose(7, 119) და ტექსტის ურთიერთობითობა-თების ხსიათი.

მოთხრობის აეტორი სათაურში რომ ზემომოტიანილ ალუზიურ ფორმას მიმართავს, გარეუცლად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ახალგაზრდა სუზანის მამის მიმართ, რომელმაც საოცრად განიცადა მისი ოცი წლის ქალიშვილის თაყვანისმცემელთან ერთად სასეირნოდ წასელა. იმის მაგივრად, რომ საღად შეხედოს თავისი შვილის გრძნობებს, იგი თავს იტანჯავს აუტანელი ფიქრებით და უნდებლივდ წარმოიდგენს შვილის არა ბედნიერებას, არამედ ფიქრობს მხოლოდ იმ საშიშროებებზე, რაც ვოგონს გზაში შეიძლება ელობებოდეს. იმ ფიქრებში წასული შშობელი მოედნ რიგ სასაცილო სიტუაციებში ვარდება: შვილის საქმენელად ღამით ფიქშიშვილი გადის სახლიდან და ალარ იცის როგორ დაფაროს თავისი უყიდურესი მღელვარება. კულაფერი კარგად მთავრდება, როცა იგი დაინახავს, თუ ერთი შეხედვით კუთილშვილმა ახალგაზრდამ როგორ ლამაზად მოაცილა სიუზანი სახლში. ვაემა ბოდიში მოუხადა ქალიშვილის მამას დაგვიანებისათვის, რამაც დადებითად განაწილო აღელვებული კაცი მოსულისადმი. შშობელმა იგრძნო, რომ სანერეიციულო არაფერი ჰქონდა. სათაურის და ტექსტის ურთიერთობითობაში იგრძნობა, რომ აეტორი არ თანაუგრძნობს შშობელს, რომელმაც უმიზეზოდ ამდენი ნერეიციულობა გადაიტანა.

მოთხრობის ავტორის მიერ ჩელიშებული ჭვერექსტის (რომ სილამაზე, ახალგაზრდობა ფუჭია, თუ მას თავისი მჭერეტელი არა ჰყავს) ლეიოდიტებაში გვეხმარება სათაურიც – Go, Lovely Rose: უარდიც ხომ მშვექნიური სილამაზისთვისა გაჩენილი და შესაბამისად, სხვათა ტუბობას უწდა ემსახურებოდეს.

საინტერესოდაა ჩელიშებული ჭვერექსტი მ. დოკენის მოთხრობის სათაურში – I. I have a job (11,23). სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართების ანალიზი გვეხმარება გიგიაზროვ მთავარი მოქმედი პირის – ახალგაზრდა ქალის გადაწყვეტილების სიტყვიც. რომ დაიწყოს მუშაობა და თავი აარიდოს მომაბეზრებელ უფარულ ცხოვრებას. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მან მიმართა სპეციალურ სააგენტოს, სადაც შეეცალა ისეთი გაუძედურებული ქალის მთაბეჭდილება დაეტყვებინა, რომ სიბრალულით აღესილმა სააგენტოს თანამშრომელმა მაშინვე გააგზავნა ერთ-ერთ ღვაწში სადღესასწაულო სუფრის გასამზადებლად. მზარეულად რომ არ გამოდგებოდა, ქალმა თვითონ იცოდა; ყველაფერი მას ხომ მხოლოდ წიგნებიდან ჰქონდა ნასწარლი; შეღეგმაც არ დააყოვნა – დიასხლისმა იგი ცივად მოიშრა თავიდან. აյ მოელო ბოლო ახალგაზრდა ქალის გადაწყვეტილებას, რომ სამუშაო ეშოვნა და უაზრო ცხოვრებისათვის თავი გაენებებინა. მისთვის ნათელი გახდა, რომ საკირო იყო პროფესიონალიზმი და ისევ პროფესიონალიზმი.

ამრიგად, მოცემული მოთხრობის სათაურისა და ფაქტობრივი შინაარსის ურთიერთმიმართებაში ვლინდება სათაურის ჭვერექსტი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მარტო გადაწყვეტილების მიღება საქმარისი არაა, საჭიროა ცოდნა, პროფესიონალიზმი. თუ არადა, არავის სცირცები.

ე. შორების მოთხრობის სათაური The dead dog (8, 121), თუ მას ტექსტთან მიმართებაში განვიხილავთ, ასევე გარევეული ჭვერექსტის მატარებელია. მოთხრობის ფაქტობრივი ინფორმაცია მდგომარეობს შემდეგში: მანქანა დაეჭახა ძაღლს, რომლის მოხუცი პატრონი სასოწარევეთილებაში ვარდება და ძლიერ უჭირს სახლში, რამალთან დაბრუნება.

შიუხედავად იმისა, რომ მოთხოვობის შინაარსობრივი ქარგა  
მეტად ბანალურია ერთი შეხედვით, მეოთხეულის ყურადღებას იპყ-  
რობს ის ფაქტი, რომ მოხუცი კაცი მკვდარ ძალას ყელსაბამს  
უჰეთებს, რაც ანცეიფრებს ამ მბის შემსწრე უცნობ მძლოლს. ტე-  
ქსტის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ ჩაძლი თურმე სულ აფრ-  
თხილებდა, ძალის ყელსაბამის გარეშე არ გაიყანო სასეირნოდო;  
მოხუცმა ეს პირობა დაარღვეოა, და, შედეგმაც არ დააყოვნა. ნათე-  
ლია, რომ ძალის სიკედილი, მისი უყურადღებობით გამოწვეული,  
უკანასკნელ პატრიონს დააკარგვინებდა, გააუბედურებდა; მოხუცი  
სასოწარევეთილია და, სწორედ ამიტომ იყო, რომ უბედურების  
თავიდან ასაცილებლად, მთელი ძალა მოიკრიბა და ის გააკეთა, რა-  
საც ჩაძლი, მისი ერთადერთი ჭირისუფალი სოხოვდა ძალია ყდ-  
საბამის გარეშე არ გაავდესო. აი, თურმე რატომ გაუკეთა მკედარ  
ძალის ყელსაბამი მოხუცმა. მოცემულ შინაარსთან – ფაქტობრივ  
ინფორმაციისთვის მიმართებაში სათაური The dead dog შემდეგი  
ქვეტექსტით ხასიათდება: The dead dog was the end of the old man's  
life – ძალის დაღუცვა მოხუცის ცხოვრების დასასრული იყო.  
თითქოს უცნაურია, რომ ძალის სიკედილს ასეთი რამ გამოეწვია,  
მაგრამ მოთხოვობის სათაურისა და მისი ფაქტობრივი შინაარსის  
ურთიერთმიმართება სწორედ სიტუაციის ასეთ მიზეზ-შედე-  
გობრივი ტრავიზმის გარდაუვალობაზე მიგვითითებს, რაც სათა-  
ურის ქვეტექსტისაც წარმოადგენს.

სათაურის განსაკუთრებულ როლზე, როგორც გარევეული  
ქვეტექსტის გამომსატევა ერთეულზე, მიგვითითებს ის ფაქტიც,  
რომ სათაური ზოგჯერ ნაწარმოების ლაიტმორტივიც ხდება.  
მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მ. სპარეის მოთხოვობის  
სათაური "You should have seen the mess" (6, 147), რომელიც ტე-  
ქსტში რამდენიმეგზერ მეორდება, როგორც მთავარი იდეის ქვეტე-  
ქსტის (რომ გარდა სისუფთავისა, ცხოვრებაში ასებობს სხვა  
ფასეულობანიც) ერთ-ერთი განსაზღვრული ფაქტორი.

ამრიგვად, მოთხოვობის სათაური ტექსტის კონფენსირებული  
ფორმაა „არჩევითობის“ პრინციპის საფუძველზე ავტორი განსაზ-

ლურჯეს ტექსტის უფრო წამყვან მხარეს და სათაურის მეშეეძინოთ  
მას მოთხოვბის ჭერექსტის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცევს. სა-  
თაური მოთხოვბის აეტორს ეხმარება ჭერექსტის უფრო მკაფიოდ  
ჩატარებული და ინფორმაციული აქცენტების სწორად გა-  
ნაწილებაში.

## ლიტერატურა

1. Лебедева Л. А.. Фразеологизмы в заголовках в английской технической литературе. Вопросы лингвистики текста, Грозный, 1979.
2. დ. გოლიაძე, სათაურის საკონსალიტო უსტაურ ენათმეცნიერებაში, ქა.  
ასკანგაზარდა მეცნიერ-ფილოლოგთა ჩემპიონატი კონფერენციის მასალები, თბილის,  
1980.
3. Гак В.Г., Высказывание и ситуация, в сб. Проблемы структурной  
лингвистики, 1972. М., 1973.
4. Гоцириձე დ.. К происхождению одной заголовочной конструкции ქა-  
ში ასლგაზრდა მეცნიერ-ფილოლოგთა ჩემპიონატი კონფერენციის მასალები,  
თბილის, 1980.
5. მ. კასა შვეიც. აზრის კონფერენციის საკონსალიტო პრემია წინადაღებაში,  
ერზ. „ესტონერ ენები სკოლაში“, 1981, 1.
6. Spark M.. You should have seen the mess ქა-ში A book of short stories by  
English authors. B. II. 1990.
7. Bates H.. Go, Lovely Rose ქა-ში A book of short stories by English Authors  
B. II. 1990.
8. Golovchinskaya L.. Speak Good English. Second year. Moscow, 1976.
9. Munro H.. Tea ქა-ში A book of short stories by English authors. B. II. 1990.
10. Golovchinskaya L.. Speak Good English. Third year. Moscow, 1977.
11. Dickens M.. I'll have a job. ქა-ში Twenty Lessons in Free Conversation.  
Ленинград, 1976.

Ц. САКАРУЛИ

## ЗАГЛАВИЕ И НЕКОТОРЫЕ ЕГО ПАРАМЕТРЫ

(на материале английской повести)

### РЕЗЮМЕ

Заглавие – это конденсированная форма повести. Его можно развернуть большей частью при помощи определительного предложения. Заглавие выражает то главное, что акцентировано автором данного произведения.

Заглавие имеет свой подтекст, который и определяет его выбор в данной функции. Подтекст заглавия выражает ту часть концептуальной информации, которая и является идеей данного произведения.

T. SAKARULI

## THE TITLE AND SOME OF ITS PARAMETERS

(short story as the object of discussion)

### SUMMARY

The title is the condensed form of the short story. It may be expanded with the help of the attributive clause. The expanded form of the title should show what is specially accentuated by the writer of the literary work.

The title has its subtext which defines its being in this function. The subtext of the title expresses that essential conceptual part of the information which is the idea of the short story.

ე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მრომები  
Труды Тбилисского государственного университета  
им. И. Джавахишвили

340, 2002

## რამაზ ჭილაძე

### ავტორისაერლი მის ღია ტერატორიულ გამონაბეჭდი

... ქრისტიანული კულტურის იდენტულობის და მიმდინარეობის სამყაროს შემოქმედება, თანამედროვე გაგებითაც, შემოქმედება ახლის აღმოჩენა, ახლის წევრობრივი აღმიანური ფასეულობათა ნებისმიერ სფეროში (მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური).

ი. ჭილაძე

პლატონისათვის ერთი დაუკუბელი სწრაფვაა სამყაროს შემცნებისაენ, ხოლო ამ დაუკუპებელი სწრაფვის ერთ-ერთი მომენტია შემოქმედება. თანამედროვე გაგებითაც, შემოქმედება ახლის აღმოჩენა, ახლის წევრობრივი აღმიანური ფასეულობათა ნებისმიერ სფეროში (მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური).

მხატვრული შემოქმედების ყოველი ნაწარმოები, უპირველეს ყოველისა, არის აღმიანების მოჩის სულიერი, ემოციური ურთიერთობის აქტი. მხატვრული ლიტერატურა მრავალმხრივაა და ავზირებული სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურასთან.

სიტყვის ხელოვნების განვითარება მკილრო კავშირშია აზროვნების პროგრესთან, მაგრამ მას არ ეტოლება. ამ უტოლობას ქმნის მწერალი, რომელიც სინამდვილეს აზოგადებს, ამთლიანებს ან შლის, ასახოვნებს, წარმოადგენს აწმყოში ან გადაპყავს წარსულსა თუ მომავალში, ობიექტურ რეალობას მოაქცევს სუბიექტურ ყაიდაზე, მოარგებს ნებისმიერ გეოგრაფიულ გარემოს, მოიქცევს ნებისმიერ სახელმწიფოში, ნებისმიერ ეროვნულ სამოსში გამოაწყობს. ჩაც მთვარისა, ყოველივე ამისათვის მომარტვებული აქტების დღიუნისეული ანბანი და საკუთარი ხელწერა, რომელიც ოპერირებს

სიტყვებით. ამ მხრივ საყურადღებოა გუსტავ შეეტის (XX საუკუნის I ნახევრის განთქმული ესთეტიკისი და ლიტერატურათშოდნე) მოსაზრება და მაშინაც კი, როდესაც სიტყვა კარგავს თავის პირების მნიშვნელობას და იქცევა სიმბოლოდ (მას ერთნაირად თიტაცებს მეცნიერებაცა და ხელოვნებაც), იგი მაინც ემსახურება ხელოვნების მოცუანას, რადგანაც სიმბოლო გრძნობადის შეპირისპირება მოაზრებასთან, იდეასთან, იდეალურთან, ასევე სინამდევილესთან (განცდასთან), მოაზროვნის გამოცდილებასთან... სიმბოლო ნიშანია სიტყვისა, რომელიც, თავის მხრით, ნიშანია სხვა სიტყვებისა (პირდაპირი ან მეტაფორული), რომლებიც საგანს (პროცესს, შედებას, თვისებას) აღნიშნავენ. ამდენად, სიტყვის ხელოვნური ბუნება არის ყოველი ხელოვნების პირველსახე. ხელოვნება სინამდევილის მოდუსია, სიტყვა კი არჭეტიპია ამ სინამდევილისა, არაანძლევილი სინამდევილისა...

იღიასეული ოთარაანთ ქრისტიანული სახე კეშარიტი გამართლება ქართული ეთნოფსიქოლოგიური ენობრივი ტრადიციისა: დედამიწი, დედამისი, დედანი, დედამიწა, დედაქალაქი, დედამილე, დედა-შეილი, დედაბოძი. დიახ. დედაბოძი მოთხრობისა, ამ ნაწარმოების სათაურის შემარჩეველი, წარმომჩენი და ხატი მწერალისეული წუხოლისა ბატონყმობის სოციალური უთანასწორობის შესახებ.

ლიტერატურის თეორიის პოზიციიდან მოთხრობის კომპოზიციისათვის, ბატონყმური ურთიერთობის უსამართლობისა და სიმწარის იდეის წარმოსაჩენად შეიძლებოდა სიუკეტური კვანძი შეკრულიყო სოციალური უთანასწორო გიორგისა და კესოს კალმხერივი სასიყვარულო თავვადებასავალით, რომელიც მოთხრობაში ტრაგიკულად გათავდებოდა იმ მომენტში, როდესაც თივის ზონზე შემდგარი გლეხი, გიორგი, მაინც კურ მისწვდებოდა თავის სატაფოს თავადის ქალს. მაგრამ ბატონყმობის სოციალური სურათის მხატვრული სრულყოფისათვის, ერთი მხრით, ცდისეული და მეორე მხრით კი, მისი ახლებური განათლებული გააზრებისათვის იღია ჭიდვა-გადასახე აფართოებს გმირთა წრეს და ლიტერატურული გმირების ახალ სახეობას წარმოაჩენს: ჩატეხილი ხილის ორთავ

მხარეს შეწყვილებული ლიტერატურული გმირებია. ჩა წყვილებია ეს? აქ კი ქართულ ეთნოფსიქოლოგიურ და ენობრივ ტრადიციას თავისი გააქვს და თითქოს ბუნებრივად კარნასობს მწერალს – ერთ მხარეს დედა-შეკლია, მეორე მხარეს – და-ძმა.

კინ დედა-შეკლი? დედა – ბატონიყმური ყოფის სომძიმის მზიდვული, დედაბიძი ოჯახისა, უსწოვლელი, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილებისა და გონიერების მქონე, კირთამთმენი, ამაყი, შეკლის უსაზღვრის მოყვარული, გუმანით მიმხვდრი ყველა „საჭირო ბოროტო და წყვილა-ურულვიანი საყითხავისა ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში”, იმდენად გამრჩე მშრომელი და შრომაში გამარჯვებული, რომ „გლოხა-მთხოვარის... უხეიროს, უნდილის” დანახვაზე მოწყალების გადებისას გაძეიცხვედა და გაქილედა მათ კიდევ... და აეტორისეული კალამი ქართულ ენობრივ სინამდვილეს უტოვებს „პილპილმოყრილი მაღლის” ხატოვან სიტყვაოქმას.

მეუღლის დანაბარების აღმსაჩულებელი, მისი სსოვნის პატივისმცემლი ქრისტის ცხოვრების წესი კიდევ უფრო ამათქრებს გარდაცვლილი მამის მოსაქლისებას (ფიზიკურ არარსებობას) მოზარდი ვაჟიშვილის გვერდით. ამასთან, ქართული ტრადიციებისა-მებრ, დედა თალხით იბურება: „,როცა დაქვრივდა და ერთი წლის შეილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შევი კაბა, თავზედ შევი მანილი მოიხევა და, ამ, ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუყარებია ტანზედ”. ოჯახში დაბუღებულმა მწუხარებამ ვანაბირობა ის, რომ გიორგი სახემომლიმარი და მომლენი არ არის, რასაც დედა გრძნობს და ამბობს კიდევ”: – ძალიან ხელგამომავალი ბიქიაო, – ამბობდა ხოლმე ამისი დედა, – დიდი გამრჯელი, მაგრამ ცხონებულსავით გულლია და გულმხიარული არ არისო. ის ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქოს ღრეობასა და ლხინშიოთ. ესეც იმასავით გულმოდვინეა, დაუზიარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძნელად თუ საღმე წარბს გახსნის და საქმეს შესცინებსო, –სულ პირდაღვრემილია და წარმშექრულიოთ”.

გიორგი – დაუღალავად მშრომელი, ცხოვრების ჭაპანის კაცურად შექიდებული, ოჯახის ტრადიციითა და აღზრდითაც სამართ-

ლიანობის მოყვარე, ტანადობითაცა და მიხერა მოხერითაც გამოიჩინა. ჩეულია („ბაზარში ჩომ გაივლიდა, იტურდნენ ხოლმე; ერთი ღოინ-გის შემოყრა-ლა აკლია, თორემ თავადი შეიღია და თავადი შეი-ლიო“).

გიორგის „წარბშეკრულობა“ დედისთვისაც და თანასოფლე-ლთათვისაც გაუვებარია, მაგრამ აეტორის მიერ წინასწარ არის განჩინებული და თანატოლებშიაც გამოიჩინეული ჰყავს იმგვარად, რომ თითქოს ამზადებს იმ ამაღლებული განცდისათვის, იმ უფრო მაღალი სოციალური ზღურბლისაცენ სწრაფვისათვის, რომელსაც შემდგომ სიუკურიურად დაახვედრებს მას.

ილია ვავევაძეს – დიდ საზოგადო მოღვაწეს, პროგრესულად მოაზროვნებ პიროვნებას, რაღა თქმა უნდა, შეეძლო პუბლიცისტუ-რად ემსილებინა სოციალური უთანაშროობის პრობლემა (კარ-თული პრესა ხომ ყოველ მის სიტყვას იტაცებდა), მაგრამ მწერ-ალმა-მოაზროვნებ არისა გზა ხელოვნებისა, რომელიც იტაცებს ადამიანთა გულებს, აღანთებს გრძნობებსა და უნათებს გზას გონი-ერებისაცენ („მინამ კეუა იტყვის, კეუა უჩინეს, გულმა იცის, რა კვრნას“). ამიტომ ქართველთა ცნობიერებაში ბატონყმური უთანა-სწორობის სიმბოლოა ილიასეული „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა.

დიდია ილია, როგორც მოაზროვნე და, როგორც ხელოვანი. მას გაცნობიერებული აქვს, რომ თუ მხატვრული ნაწარმოებით უნდა გამოისახოს მძიმე სოციალური მოვლენა, მაშინ ლიტერა-ტურული ნაწარმოების მხატვრული განვითარების ლოგიკა უნაკ-ლო უნდა იყოს; პრობლემის გამოყვეთისათვის აუცილებელია მხო-ლოდ მისეულად საჭირო ხატოვნება, მისეულად აწყობილი ლიტე-რატურულ გმირთა სამყარო. ალბათ ამიტომ არის, რომ ჭრივისა და მისი შეიღია გვერდით მამა მხოლოდ სულიერი ხატებაა და არა ფიზიკურად ასებული ძლიერი, გამრჩე მამაკაცი, მფარველი ცოლ-შეიღია, ვაკიშვილის დამცველი, მეგობარი და ამდენად, გამქა-რწყლებელიც მისი დარდისა. მოთხოვნაში მისი ფიზიკური არსე-ბობა არ გვეძლევა, ალბათ, იმიტომ, რომ ავტორისეული ლოგიკით ამ ვითარებას თვედორეს ფიზიკური არსებობა გადაასხვაფერებდა.

თავადი შეიღია და-ძმაც ეულადაა წარმოდგენილი: „არჩილი ახ-ლად გაღმოსაული იყო ჩუსეუთიდამ. სწავლა იქ შევსრულებინა. ველ-

არც დედას მოუსწრო, ულარც მაშას, ორივენი დაპხოცოფენისა, მარტო ერთი გასათხოვარი დაღა ჰყანდა”.

ილია ჭავჭავაძე მონაწილეა მამათა და შეილთა დაპირისპირებისა. სავარაუდოა, მწერალმა იცის, რომ უფროსი თაობა, შესაძლებელია, ურც კი გაუვებდა შეილებს; იუტორისეულ ჩანაფიქრს მათი სახეები არ სკირდება.

ასე რომ, ავტორის „ზიდის” ერთ მხარეს მოჰყავს ადამიანის მთავარი ფუნქციის მატარებელი – თავდადებული მშრომელი, ყველა ადამიანური სიკეთით შემცული დედა-შეილი, რომლებსაც არაფური არ აელიათ, გარდა სოციალურად მაღალი წარმოშობისა და განათლების; მეორე მხარეს კი – ახალგაზრდა და-ძმა, მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელნი, განათლებულნი. განსწავლულულნი და მით შრომა-გამოულილების დამფასებელნი, ყერიპულ ლიტერატურას გაცნობილნი – „ბევრი არა არის ჩემი პორტფილი, ამ ქვეყნიერებაში იმისთვის სოციუმშო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფიულსაო – ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას პამლეტის სიტყვებს”, პროგრესულად მოაზროვნენი და ცხოვრების ახლებური ყაიდის წარმომადგენელნი.

დაპირისპირება შედგა, სიუკეტური კვანძი – „უპაზური ნასკვიც შეიკრა” და ზიდიც ილიამიტერად არ გაიდება, რაღაც აეტორისათვის საზოგადოება კლასობრივია. ყოველმა თავისი კაპინი ლირსეულად უნდა ზიდოს. გლეხი-გლეხია, თავადი-თავადი და კესოსათვის გიორგი მაინც „ზიდგალმა დაწერილი წიგნია... სულ სხვა ასოებით დაწერილი”.

იმდენად მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობის განათლებული ხელვის ამოცანა, რომ მწერალი ზოგჯერ თმობს კიდეც მოთხრობის სტაუტურულ სიმწყობრეს: იჩლვევა სიუკეტური განვითარების ტემპი, და-ძმის ღიალოვი უფრო ძმის მონოლოგია. საღაც დის ეული რეპლიკები საჭირობორტო საეითხოა გამომზეურებისა და გულისნიდების გამოთქმის საშუალებაა უფრო, ვიდრე დიალოგისმიტერი პატინიორობა. მაგრამ ეს ყოველივე ლიტერატურის თეორიის მეაცრი პოზიციიდან, თორებ ხელოვანი ისეთი კუთილი გონიერებითა და გონიერული გულითადობითა განწყობილი,

რომ მოგადიობული მკითხველი ფეხდალებ შიპკვება მის ყოველ სიტყვას და მიღის ტრაგიულ დასკვნამდე: დიახ, უფსკრული დიდია და ხილი ცერ გაიდება.

მწერალი და მისი ნაწარმოები; მათგან ერთ-ერთის თხრობას, მწერალი იწყებს დამოძღვრით: „მოყვარეს პირში უძრავე, მტერს პირს უკანაო“ და წინ გვიდგინს ჭალოსნურ საჩექს, რომელშიც სინამდვილე იმდენად გაზიადებულია, რომ საჩეკიდან გიმზერს ნასკეთ რეალურისა და ფანტასტიკურის, ტრაგიულისა და კომიკურის. და ეს ყოველივე ქართველთა გამოსაფხილებლად – რანი ვიზებით ხეალ, თუ ჩვენ ყოფას ფუძეზალავრად შრომის არ დავუდებთ. ლუარსაბ თათქარიძე გამაფრთხილებელი ნიშანია იმისა, რომ „კაცია ადამიანი?“, კაცი-გროტესკი მემკვიდრეა ჩვენი. თუ დავკარგეთ უუნჯციური თვისება – შრომის უნარი.

სამართლიანად აღნიშვნავნ, რომ „კაცია-ადამიანი?“ არ გამოიჩინა მძალარი სიუკეტური სკლებით. მოთხრობაში მოცემულია მასტერი ყოფილი სურათები. თავად ავტორიც ამას აღნიშვნას ნაწარმოებში: „აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის კვლა...“. ამდენად, უნდა გამოიძებნოს ისეთი საშუალება, რომელიც დააინტერესებს მკითხველს, დააყმაყოფილებს მის მოთხოვნას. ი. ჭავჭავაძეს მთელი ყურადღება გადააქვს პერსონაჟებზე, ახდენს მათი სამყაროს დეტალიზაციას. დეტალებისადმი გამახვილებული ყურადღება გაპირობებულია რეალური ყოფით, ამ ნიშნით აინტერესებს იყო ავტორს. ხშირად არამყვირალა შტრიხი ღიღდ შინაარსულ დატვირთვას იძენს. და, მაინც, ყოველივე უშედეგო იქნება. ვუ დააინტერესებს მკითხველს, თუ არ შეიქმნა მყარი საძირკველი. რომელსაც დაეფუძნება მთელი ნაწარმოები. ესაა ტიპიზაციის ერთ-ერთი სახე – გროტესკი. ავტორი შეუცდომლად გრძნობს ამას (გროტესკი გულისხმობს კარიყატურულ გაზევადებას, ავტორისეული ფანტაზიით დეფორმირებულ სინამდვილეს), მოთხრობაში მასინჯია ყოველივე – ფიზიკურიცა და სულიერიც. მასინჯია თავად თათქარიძის სახლ-კარი: „სასიმინდე ერთი უბადრუები რამ და მგლოვიარე,... ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზე წამოღებული

და წამოხსრილი, თითქო გრილოში წამოწოლას პირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტურილებს უკურად ისე წამოხსრილი და დაღრეჭილი შეუკავებიათო... ლობე, რომელიც ზოგიერთგან გადაჭიული იყო და ეხლანდელ პატრიონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა... ლობე ერთგან თავდებოდა უშეულებელს ჭიის-კრებითა, რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ რჩი წელიწადია, — ისე საცოდვად დაღრეჭილ გადმომკიდებოდა ერთს ყუნწისა, ისე გგონია — ბოძს დაუჭირია საცემლადო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდან დაუსხლტესო... შიგ თითოონ ეზო უწმინდური იყო როგორც ძველი ჩინოვნიის გული... იატაკი აგურისა არის... აგურები შიგა და შიგ ამოციინულან... ოთახი მაინც ბნელია, იმიტომა არმ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიას ვონებას გაჭინილი ქალალდი გაუკრავს... ოთახში იდგა რჩი გრძელი ტახტი ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქტიზი ქრის და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა ქნეინა აღგებოდა, ყოველ მის ბრწყინვა-ლების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვუ გაძლებოდა...” და მისთ.

უმოწყალოა მწერალი, როდესაც თავად ლუარსაბ თათქარიძის გარევნობას გეითატავს: თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩისუქებული ძველი ქართველი, მრგვალი... როგორც კარგი ნასუქი კურატი... თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქოს იმის სიმძიმეს მორგვევით სჭილი յისერი მხეჩებში ჩაუძერენია; წითელი თურა-შაულ ვაშლივით ხაშხაშა ლოყუბი; სამკეცად ჩამოსული... ფაფუი ლაბაბი; დიდრიონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებული, თი-თქო ყლში თოკი წაუჭირიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გად-მოგდებული, დიალ პატივსაცემი და პატივცემული ლიპი... სხევილი ფეხები — ესე ყოველი ერთად და თითოეული ცალკე გახლდათ თა-ვად ლუარსაბის „ციო მონაბერის სულის“ ლირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ აჩსად „აჩა სჩანდა, თითქო ჩამკედარიყო“.

ლუარსაბს გვერდს უმშევნებს მისი ტოლი და დაჩი, „ამის ძე-რიფასი მეულლე ქნეინა დარეჭანი სწორედ თავის ქმრის მეორე

გვერდი გახლდათ და იუწნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“. როგორც  
ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე ჩატივგად: იგივე სიმრგვალე-  
ივე სიმსუსტე, იგივე მოცინარი პირი და თათქმის იგივე სისულე-  
ლე, ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი. საკ-  
ეირველად ტყბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მო-  
შორებული”.

ძველი ლათინების ცნობილი გამოთქმის პერიოდზეთ – თათ-  
ქარინის მახინჯ სხეულში დაბუდებულია მახინჯი სული: გაუნათლე-  
ბულობა: „დრო გამოიცვალა, – იტყოდა ხოლმე ამორხერით ლუ-  
რსაბი... რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონი.  
ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა... წიგნი რა ვაჟვაცის ხელო-  
ბა, – ეს ხომ ქალის საჭმეა. უმეტერება: „სულ რომ მაგონდებოდეს  
რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა: სოლომონ ბრძენი ვიწებოდი”.  
სიზარმაცე; ლუარსაბის, ეჭავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჭავრებო-  
და, რომ უნდა ამდგრარიყო და ტანთ ჩივცვა”, მშიშარობა, მტრითხა-  
ლობა: „არა გრატუნიან, მე დედაკაცა მგზავნი და შენ კი კუდი  
გეხურის და კაცი გერქვას? – რა ღრმას კაცობაა, რას ამბობს! სახ-  
ლში ჯალო არის“. კუთხა. ბაქიობა: „ჩემოდენის საქართველოში  
ორიც არ დაღეს, დიდი მამელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე.  
მოელის კახეთის ლვინო არ მომერვე“. ლორმუცელობა: „ერთი  
კარგი მსუბანი არტალა... ნივრით, – ერთ სახელმწიფოდა პლირს, მე  
და ჩემმა ღმერთმა“, შურიანობა: „განა შეიღი იმისათვის მინდა,  
რომ მართლა შეიღი მყავდეს? – შენც არ მამიკედე! დავითის გამო-  
გავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულ ზედ გავახარო“. და კიდევ  
ენ მოსოფლის, რამდენი უარყოფითი თეისებით იყო შემცული თა-  
ვადი ლუარსაბ თათქარიძე. საერთო სურათს აქვებს ლამაზისეული,  
სამოვრის მწმენდავი პატარა ბიჭიც კი, ხოლო დავით თათქარიძე.  
ლვიძლ ძმას პყიდის ათ თუმნად, მისი მეუღლე კი სიხარულს ვერ  
ფარიას მაზლს მახინჯი ქალი რომ შეაჩერეს. ყოვლად უსიამოა მო-  
ხუცი მაჭანკალი სუტენერია, რომელიც დისტულსაც კი აგირავებს.  
ოლონდ ფული იშოვოს.

საერთო ფიზიკური და სულიერი სიმახინჯის ფონზე უცრად დისონირებს ლუარსაბის, როგორც მოსიყურულე, ალერსიანი, პატივისმცემები და ალტაცებული შეულლის სახე. მართალია, ლუარსაბის ეს ალერსი მისთვის შესაძლო პირწყლიანობით გამოიხატება: „ჩემო სულის წიწმატო, ჩემო გულის ტარხუნავ...” და მისთ. მაგრამ დარეგანთან ურთიერთობაში ეს სითბოა-ალერსი მთელ მოთხოვბას თვალიდან ბოლომდე გამდევს. რომ, მწერლისეული ამოცანა ეს? იმის დასადასტურებლად, რომ ლუარსაბი მთლიად არ არის მოქლებული კუთილ თვისებებს და რომ არა ძირითადი ფუნქციური თვისებების (მრომის უნარი) უქონლობა, ის შეიძლება მშვენიერი პიროვნება ყოფილიყო. სამწერლი ამოცანა ეს თუ — ლუარსაბის ალერსიანი მეულლუობა, ცოლისაღმი პატივისცემა ილიასათვის, პიროვნულად, იმდენად ბუნებრივია, რომ სხვანაირად წარმოდგენა არც კი ძალუმს და ვერც ამჩნევს, როგორ გადაღის მისი ბუნება პერსონაჟზე.

მართალია, აეტორი მოთხოვბის დასაწყისში აცხადებს, რომ ცოლ-ქარი „ერთ სულ და ერთ ხორც“ არიან, მაგრამ მოგვიანებით გვეუბნება: — „გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზეჯე კი არა... კნეინა თვალს გააჭირდა, შავარდენივით გადმოიტინდნებოდა ტახტილამ...“ და იწყებოდა მუხლისაუხსელი შრომა, ზრუნვა ოჯახის კუთილდღეობაზე და „ამ ჩვენი კნეინას ტყუილ-უბრალოდ ფაცა-ფული“. ასეა თუ ისე, თათქარიძების ოჯახს დედაბობად ი. კავკაციელი დარეგანს (ქალს) უყვნებს. „მეცნიერულ კამათშიც“ (ზუზების თვლისას) დარეგანი (ქალი) იმარჩევებს. ოჯახის მთავარი წიგნიც — კარაბალინი მასკუ (ქალს) უპყრია ხელთ. ასე რომ, განათლებულობის მერთალი ნიშანწყალი დარეგანს (ქალს) აცხად მაინც. და, ეს ყოველივე საესებით ბუნებრივად ჩინს როგორც მწერლისა, ასევე ქართველი მეიოთხევლისათვის ეთნოფსიქოლოგიური ლოგიკა.

მწერლის კალამი ბასრად და ულმობლად აერიტივებს ლუარსაბასა და დარეგანს, მაგრამ იმავდროულად, შეიგრძნობ შენს საკუთარ სხეულსა და სულს. საკუთარს აღვილად ვუ თმობ, თუმც კი ყოველი გრძელა.

გავა დრო და ქისითველი შშრომელიც იქნება და განათლებული ლიც, ხოლო ლუარსაბისა და დაზევანის გასტრონომიული ინტერესების, მათი ურთიერთ სისტმა-ალერსის ილიასეული ფორმა კიდევ დიდ ხანს ლიმილით გაგვითბობს გულს.

Р. А. ЧИЛАЯ

## АВТОРСКОЕ В ЕГО ЛИТЕРАТУРНЫХ ГЕРОЯХ

### РЕЗЮМЕ

Проблемные вопросы социального бытия современного автору грузинского общества в творчестве И.Чавчавадзе наиболее отчетливо отразились в его произведениях. Автор нередко сам воплощается в литературного героя, путеводителя и комментатора в собственных же произведениях.

В художественном мире писателя отражены общечеловеческие идеалы, национальная самобытность и творческий талант писателя.

RAMAZ CHILAIA

## THE AUTHOR AS HE IS REFLECTED IN HIS CHARACTERS

### SUMMARY

In I. Chavchavadze's works, his novels give the cleanest reflection of the issues, bearing importance for the social life of Georgian society. It often happens that the author acts as a character or a guide of his own creations or just makes comments to them.

The writer's world mirrors universal ideals, national identity and individual creative potential.



თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
ენაგერძოდების  
მროვები  
Труды Тбилисского государственного университета  
им. И.В. Джавахишвили

340, 2002

## პარიქა რძელი

### მუსიკურის ცენტრებისა და უმომავალების მიმართებისათვის

ბიოგრაფიული ეანრი ანტიკურიბიდან იღებს სათავეს. ადამიანის ცხოვრების აღწერას, მით უფრო ექსტრაორდინალური პიროვნებისას, შეიძლება პჭონდეს როგორც შემეცნებითი, ასევე აღმზრდელობითი ფუნქცია. გარდა ამისა, ადამიანის ცხოვრების გარეული დეტალების გაცნობამ შესაძლოა ახსნადი გახდოს მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი.

ჩვენ მხარს ეუკერით იმ მოსაზრებას, რომელიც აუცილებლად მიიჩნევს მწერლის შემოქმედების შესასწავლად მისი ბიოგრაფიის გაცნობას. ფრანგმა კრიტიკოსმა პარის თვითსტენ სენტ-პეტრი 1836-1839 წლებში შემნა კრიტიკული უტიულები XVII-XVIII საუკუნეების ფრანგი მწერლების შესახებ. ნამრომში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მწერლის ცხოვრების გზას. სწორედ ამ „ლიტერატურულ-კრიტიკული პირტრეტებით“ დადო სათავე ბიოგრაფიულ მეთოდს. მოგვიანებით ეს მეთოდი თავისებურად გაიზიარეს და გამოიყენეს ფრანგმა მოღვაწემ იპოლიტ ალონი ტენმა და დანიელმა ლიტერატურამცოდნებმ გეორგ ბრანდესმა. სენტ-პეტრი ბიოგრაფიის ეპოქალურ პოლიტიკურ, სოციალურ, თუ კულტურულ მოვლენებთან აეავშირებდა. იპოლიტ ტენმის „გარემოს თეორიის“ მიხედვით ადამიანის ბიოგრაფია რასობრივ ნიშანს, გეოგრაფიულ გარემოს უკავშირდება. ბრანდესი კი ბიოგრაფიას საზოგადოებრივ მოძრაობას უკავშირებდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ბიოგრაფიულმა მეთოდმა მეტად შეზღუდული სახე მიიღო. ამ მეთოდის მიმდევრებმა გაწმინდეს იგი

ადრეული ელემენტებისგან და შეუდგნენ მწერლის „იდუმალი მე-ს“ გახსნას. მარტინისტული ლიტერატურასთმცოდნეობა ბიოგრა-ფიულ მეთოდს ძირითადად კვლევის დამხმარე ხერხად თელიდა.

ჩვენ მიგვაჩინია, რომ მწერლის შემოქმედების კვლევისა და მარ-თებულად შეფასებისათვის ერთ-ერთი განმაზლვრელი მნიშვნე-ლობა აქვს მისი ბიოგრაფიის შესწავლის. მწერალი თავისი ეპოქის ღიგძლი შეკლია, მისი განუყოფელი ნაწილია და საკსებით ბუნე-ბრივია, რომ მწერლის ცხოვრებაზე თავისებურად ირყელება ეპო-ქის მაჭისცემა.

„ცხოვრების და ბუნების გარეშე წარმოუდგენელია მწერალი, — წერდა ვაჟა ფშაველა, — როგორც ყო-  
ველი სულიერი და უსულო არსება; წარ-  
მოუდგენელია ნიკიერი მწერალი, გენიოსი, უიმისოდ,  
რომ იმას არ აწუხებდეს ტკიფილები აღაშიანთა  
ცხოვრებისა“ (I, 401).

ძალზე საინტერესოა ნიკიერი მწერლის თვალით დანახული სამყარო და ალბათ უფრო საინტერესოა მისი მხატვრული გადამუ-  
შავების შედეგი —

„რამ უნდა ააქციოს მისი ჩანგი, თუ ან ამბავი არ გაი-  
გონა, ან ლექსი, ან საჭმე, გარემოება ცხოვრებისა არა  
ნახა ამაღლვებელი, ან ბუნების მოვლენით მოაყრისა  
ყურით? აი ეს გარევანი ფაქტორებია, ხოლო შინაგანი  
გული გახლოვთ, რომელიც ამათ აითვისებს, ყალიბში  
ასხამს“ (I, 3954-395).

ასე რომ, მწერლის მოღვაწეობის ჭავუთხედს მისი თანადრო-  
ული ისტორიული პერიოდი, კულტურული და ფილოსოფიურ-  
ლიტერატურული აზროვნების დონე, მისი პირითი ცხოვრება და  
სინამდვილის მხატვრული გარდასახვის უნარი განსაზღვრავს. და  
საკსებით ბუნებრივია, რომ მწერლის შემოქმედების ლიტერატუ-  
რასთმცოდნეობის პოზიციიდან განხილვისას კალევის სხვა ლიტ-

ერატურათმცოდნეობით მეთოდებთან ერთად მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება ბიოგრაფიულ მეთოდს.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა გარეულ შემთხვევაში ორი სრულიად სხვადასხვა დროის, სხვადასხვა კვეყნის, სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულების, მწერლის შემოქმედებაში უკლევს მსგავსება-განსხვავებებს. შემოქმედებითი ნათესაობა, ნაწარმოებთა ერთვარი მსგავსება უპირატესად ლიტერატურული პროცესის ერთიანობითაა განპირობებული, მაგრამ თუ გადაკედებულ ლიტერატურის ისტორიას, დაენიხავთ, რომ მსჯელობა შეიძლება არა მხოლოდ თხზულებათა მსგავსებაზე, არამედ თეთო მწერალთა ცხოვრების მსგავსებაზეც. ჩაც სამყაროს ერთიანობიდან უნდა გამომდინარეობდეს და ალბათ ცხოვრების თანაბარი პირობები, ბიოგრაფიული მსგავსება შესაძლოა შემოქმედებითი მსგავსების ერთურთო მიზეზთაგანიც იყოს.

აქ ჩვენ გვინდა ძალიან ზოგადად, რამდენიმე წინადადებით დავახასიათოთ ორი დიდი მწერლის ცხოვრების გზა –

დაიბადა მთიანეთში და მთის სიკვარული მთელი ცხოვრების მანძილზე არ განელებია. ქალაქში დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ბარად ვერ ძლებდა. იგი წარმომავლობით გლეხი იყო, გლეხიაცის ცხოვრებით ცხოვრიბდა. მამა თვითონ აწავლი ჰყავდა. ღელა – პოეზიის მოყვარული. მრავალ შეიღიან თვალში იზრდებოდა. მშობლები ცდილობდნენ შეიღებისათვის კარგი განათლება მიეცათ. მან მატერიალური მდგრმარეობის გამო განათლების მიღება ვერ დაასრულა, მაგრამ ამას არათერი დაუყოლი მისი საზრივონო სისტემის ჩამოყალიბებაში. მის ნიჭის ძალიან დიდი დიაპაზონი ჰქონდა. ამასთანავე უაღრესად განსწავლული და განათლებული იყო. ზედმიწევნით იცოდა თავისი კვეყნის კულტურა, ფოლკლორი, ლიტერატურა, იცნობდა და ზუსტად აფასებდა მსოფლიო მწერლობას, ულობდა ფილოსოფიის. ოჯახიდან, ბავშობიდანვე დაჭვა და

მთელი ცხოვრება გამჟეა პატიოსნების გრძნობა. პა-  
ტიოსნება მან თავისი ცხოვრების წესიდ აქცია. იგი  
პოეტიც იყო და გურნის დედაც. უცვარდა თავისი ლე-  
ქსების დამღერება, ზოგჯერ ლექსის იქით მიუსაღავებდა  
ხოლმე მელოდიას. მთელი ცხოვრება შრომაში, ლუ-  
კა პურის მოენაში გაატარა. სიღარიბე მიწის მუშა  
პოეტის ცხოვრების თანამგზავრი გახდა. თეოთონაც  
მჩავალ შეილიანი ოფახის მამა იყო – ხუთი შეილი  
ჰყავდა. შემოქმედებით სარბიელზე ხელებოდა წი-  
ნააღმდეგობები, მაგრამ მისმა პოეტურმა გენიამ სი-  
კოცხლე შივჭ მოუტანა აღიარება. გარდაცვალების  
შემდეგ – უკდაჭება.

ასე განველეს ცხოვრება რობერტ ბერნისმა და ვაჟა ფშაველამ.  
ისინი სხვადასხვა საუკუნეში და სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვ-  
რობდნენ, მაგრამ მათ ცხოვრებამა და ნაღვაწს ბევრი მსგავსება  
აქვს, ცხადია, ბევრიც განსხვავდა. უმთავრესი კი ისაა, რომ კაცო-  
ბრიობის ისტორიაში ორივე ძალიან დიდ სიმაღლეზე დგას, ვინაი-  
დან თავიანთი ცხოვრებით მათ ზნეობის ნიმუში დაგვიტუვეს, მოლ-  
გაწეობით კი მარადიული პოეზია შექმნეს.

რობერტ ბერნისისა და ვაჟა ფშაველას შემოქმედებითი ნათე-  
საობის შესახებ ვახტანგ ჭელიძე წერს –

„ყველაზე არსებითი ის არის, რომ ორივე პოეტის  
შემოქმედებას ერთი წყარო კვებავდა და ორივეს ქარი-  
ერთსა და იმავე ორმას ემსახურებოდა“ და „შემდეგ  
აგრძელებს ბერნისის შესახებ – „ხალხი იყო რობერტ  
ბერნისის შთავონების წყარო, ხალხისგან ჰქონდა მას  
შესისხლხორცებული არა მარტო თავისი ლექსებისა  
და ბალადების რიტმი, მოტივები, მსუბუქი იუმორი,  
სილალე და უშუალობა, არამედ მთელი მსოფლმხედ-  
ვლობა, სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული.

პატიოსნება, კაცური კაცობა, ოპტიმიზმი და თა-  
ვის უფლებისათვის თავდადება. მსოფლიო ლიტერა-  
ტურაში იშვიათად დაასახელებო პოეტს, რომელსაც  
ბერნისის ოდენი მიეღოს ხალხისაგან და მისაებრუვე გა-  
ათყეცებული მიეზღოს მშობელი ხალხისათვის" (2,  
209-210).

ეფიქტობთ ეს სიტყვები ვაჟა ფშაველას შემოქმედებასაც მიე-  
სადაცება. აյე თვითონ ამბობს –

„თქენს უმორჩილეს მონაზე – ვაჟა ფშავე-  
ლაზედაც უნდა მოგახსენოთ, დიდი ზემოქმედება  
ძებს ხალხურ თქმულებათა. უმეტესი წემი პოემები  
ხალხში გაგონილ ორცამ სიტყვაზეა აშენებული“  
(1, 396).

ვაჟამაც ბევრი მიიღო და შეითვისა ხალხისაგან, თავისი დიდი  
ნიჭისა და განათლების შესაფერისად გადაამუშავა და ხალხსავე  
დაუბრუნა. გრიგოლ კინაძის შართებული შენიშვნისამებრ:

„ვაჟა ფშაველა დიდად იყო დაწილდოვებული გა-  
რემოსაგან შთაბეჭდილებათა მიღების უნარით,  
მაგრამ უფრო მძლავრი იყო მისი უნარი უან  
დაბრუნებისა, გაცემისა; ამიტომაა რომ ვინც ვა-  
ჟას ნაწარმოებით წიიკითხავს და გაიცნობს მის  
ბიოგრაფიას, გაოცდება, თუ ასე როგორ  
ამაღლდა იგი საკუთარი ცხოვრების პირობებზე“  
(3, 317-318).

იგივე აზრი გვიჩვდება რობერტ ბერნისის პოეზისა და მისი  
ცხოვრების პირობებზე ჩატიქტურებისას. მაგრამ მაშინვე ჭორჭ ბაი-  
რონის ნათქვამი გვაგონდება, ბერნისი არის ტოკრიატად რომ  
დაბადებულიყო, მის შემოქმედებას ის სიძლიერე არ ექნებოდა და  
ვერც უკუდავებას მოიპოვებოდა. ვინ იცის, შეიძლება ეს აზრიც  
მიესადავოს ვაჟასა და მის შემოქმედებას.

აქეთ გვინდა გავიხსენოთ მეტად ძვირფასი, საყვარელი ქალის დალუპვასთან დაკავშირებით დაწერილი ორი ლექსი. ერთის აერორია ჩოტერტ ბერნისი, მეორის – ვაჟა ფშაველა. რობერტ ბერნისმა ჯინ არმორითან ერთად ფარულად დაიწერა ჯვარი. ჯინის მამამ ნოტარიუსი ამუღა გეუმებინა ეს დოკუმენტი. ჯინს აღსაჩერა ათწევენა მღვდელის წინაშე და სხვა ქალაქში გაგზავნა ნათესავებთან. სასოწარკვეთილმა რობერტმა გადაწყიო სამუდამოდ დაეტრიუებინა შოტლანდია, წასულიყო იამაიკაზე და ჯარში ემსახურა. იმ დროს მან არ იციდა, რომ კულაფური ჯინის სურვილის წინააღმდეგ, ძალდატანებით მოხდა. პოეტისათვის ეს განშორება ძალაშე დიდი ტევილის მომტანი აღმოჩნდა. მას ლექსის წერაც გაუკირდა, სულიერმა ტრაუმაშ ერთიანად გაანადგურა. ბერნის უნდოდა გაქცეულდა შოტლანდიას, გაქცეულდა საკუთარი თავს. მან გამოსამშვიდობებელი სტაიტინებიც კი მიუძღვნა სამშობლის. რაც მეტი ღრივ გადოოდა, რობერტი მით მეტად აწმუნდებოდა, რომ ველარ შეხვდებოდა ჯინს და თავის თავს უმტკიცებდა, რომ კულა თავისაუფალი იყო. იმ აზრით შეყრიობილი პოეტი ერთხელ შემთხვევით შეხვდა ბერი კემპბელს, ცისფრითვალება, ჭრათმიან გოგონას და შეთანხმდნენ. რომ იამაიკაზე ერთად გაემგზავრებოდნენ, შემწილენ თავის და იქ დასახლდებოდნენ. ბერი შოტლანდიის მაღალ მთებში ცხოვრიობდა, იმისათვის. რომ ახალი ცხოვრებისათვის მომზადებულიყო და თავისი ბარგი შეეგრივებინა, სახლში წავიდა. რობერტი კელა მაჩტო დარჩია და მერის დაბრუნებას ელოდა. მაგრამ ისინი ველარ შეხვდნენ ერთმანეთს. მერი ტიფისაგან გარდაცვლილიყო. თავისი დიდი მწუხარება ბერნისმა არაერთ ლექსში გადმოსცა. ჩვენი ყურადღება მიიქცია ლექსშა „აფრონის წყალო“.

ვაჟა ფშაველას ლექსის „იას უთხარით ტურფასა“ შექმნის ისტორია კი ასეთია – ვაჟის პირველი ცოლი ეკატერინე ნებიერიძე მეტად ლამაზი, სათხო და მოსიყვარულე ქალი ყოფილი. მათ სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი შესქენიათ. კეკე ახალგაზრდა გამოსალმებია წუთისოფელს. მისი გარდაცვალება სრულიად მოუ-



ლოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა ვაესათვის. იგი მშ დროს კუარელში ყოფილი თავის და მართასთან. ფეხმძიმე კეცს მარტოს უხდებოდა ოჯახის მოვლა. თავის მძიმე ტეიტო მოუკიდებია ზურგზე, რაც საბოლოოდ მისი გარდაცეალების მიზეზი გამხდარა. ვიდრე ვაეს კუარელში გააგებინეს ეს მეტად სამწუხარო ამბავი და ვიდრე იგი დაბრუნდა ჩარგალში, ამას საქმია დრო დასკირდა. ბანანის თავისი ძმის ჩასვლამდე მიუბარებია მიწისათვის კეც. კეცს დაკარგეთ გამოწვეული მძიმე სევდა და თავისი ფიქრი გამოხატა ვაეამ ზემოალნიშულ ლექსში.

მოვიყანთ ორივე ლექსს:

### აყრელის წერლი

მშეოდად გამცეკი ნაპირებს,  
აყრენის წერლი წმინდა,  
მშეოდად იღინე, სომელურო  
შევეხისებულის შინდა.

ნერის მერის ძილში ჩაესმის  
შენი ბურძარები ტებილი  
მშეოდად იღინე, აყრენი,  
არ შეუშეფითო ძილი.

შერთხო, იქმიარე კივილი,  
ნე მიუაქეს კურთასიმერა,  
აბარდებში დაბუღებული  
შაშვო, შეწევირე სრენა.

გემედარებით სუკელას,  
კანკ ხინანობთ და მდერით,  
აყრენის პირას შინიარეს,  
ნე შეაშეფითებთ მერის...

შენი რაღალები, აყრენი,  
ბროლის ნანჩქრის დარად,  
მერის ხავანეს ლივლივით  
გარს კელებიან შარად...  
(თ. ერასთავის თარგმანი)

### იას უთხარით ტურქეთი

იას უთხარით ტურქეთი,  
შეუგა და შეგძამის ჭიათ,  
მაგრე მოხდენით ლასაზე,  
თავი რომ აგილოა!

შენ თუ გაღინია ხილოცხლე-  
სამოსახის კარი ლასო;  
ნე შეხვად მიწას უფერე,  
შეასვლაში არა ურთავ.  
ნე ჩიხვეს შევსა ინანებს,  
გარა სეულ მევდაშ შევა!  
მიწავ შენ გებარებოდებ  
ეს ნემი ტურქა იათ,  
შენ უპარერონე უმშეიძლებ-  
როვორაც შენი სხვაო.

ეს ორის დაახლოებით თანაბარ სულიერ მდგომარეობაში შეკვეთი ფი თური სხვადასხვა პოეტის, ასე ვთქვათ, „ლექსი-ველრება”. ორივე მათგანი მისითის ძეგლობაში გარდაცვლილი ქალის იმჭველისურ ყოფაზე ფიქრობს. ბერნისი წყალს, ვაჟა კი – მიწას შეავეღრებს თავისი სათაყიერებელი არსების მოვლა-პატრიონობას. რობერტ ბერნისი პრერიომანტიზმის პერიოდში მოღვაწეობდა, ვაჟა ფშაველა – პოსტრიომანტიზმის. მაგრამ რომანტიკული ხედვა ორივე ლექსისთვისაა დამახსინებელი. ბერნისის სათუთა დამოიღებულება თავისი საულის მიმართ მთლიანად რომანტიზმის საბურჯველშია. იგი გარე-მომცველ ბუნებას შესთხოვს არ შეაწეონ მისი მეტი. ხოლო ვაჟის რომანტიზმით სავსე სტრიქონებს ჩეალიზმი ენაცვლება. იგი თავის ტურფა ისა მიმართავს – „ნუ მოხვალ, მიწას ეფარე, მოსელაში არა ყრიაო” ... თუმცა დონალდ ჩეიფილდი ამ ჩეალიზმში შოპენპაუ-ერის ფილოსოფიურ ნააზრებს ხედავს. იგი წერს, რომ ამ შესანიშნავ პატრია ლირიკულ ქმნილებაში გერმანული რომანტიზმის ელე-მენტები შოპენპაუერის უკეთური ძალის ჩრდინებისთანა შეაწყ-მული (4, 210)... ჩეიფილდის მოსაზრება მით უფრო საყურადლე-ბოა, რომ თვითონ ვაჟა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატუ-რულ ზემოქმედებას და არ იზიარებდა ქართველ მოღვაწეთა დიდი ნაწილის აზრს გაელენათა შესახებ –

„ჩენში ძალიან სათავილიდ და კოორდ ნიჭის დამატცირე-ბლად მიაჩინათ მწერლის გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ. ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნა იმ კანონის ძალით. რომელსაც პერიან კანონი თანდათანობისა. ზემო-ქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უიმისოდ მწერალი ცარიელი. უმინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამსათნავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყო მთა-ბეჭდილებათა” (1, 394).

ვაჟას ლექსის აღრესატების ვინაობა მისი ქალიშვილის გულჭანის ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი – „გამიგონია, მამას დედაჩემის სიკედილზე დაუწერია ლექსი” – ,ისა უთხარით ტურფასა“ (5, 87). გარევალ შემოხვევაში შესაძლოა პოეტს არ პქონდეს სურვეილი

გაამხილოს ლექსის შექმნის მიზეზი. ერთხელ, ჩოლესაც გალავ-  
ტიონისათვის უკითხავთ – თქვენს დიდებულ ლექსში წარ-  
მოლენილი მერი მართლა გიყვარდათ, თუ... გალავტიონშია  
შეაწყვეტინა –

„დავუბრუნდეთ, უნდობარ სულს თითქოს კარი დარაზოდეს.  
შენ წე მეიოხავ მაინც წარსულს, არც მე გიკითხავ არასოდეს“  
(6.153).

ასეთ დროს პოეტის ნებას უნდა დაცემორჩილოთ.

ზემოთ ჩვენ საუბარი გვტონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა  
მწერლის ცხოვრებისეული მომენტების ცოდნაზე დამყენდებულია  
ლექსის სწორად გააზრება. თუმცა ზოგჯერ პირიქითაც ხდება.  
კონკრეტულ ამბავთან დაკავშირებით შექმნილი ლექსი ნათელს  
პოეტის პოეტის ამა თუ იმ ბიოგრაფიულ ფაქტს. რობერტ ბერნსს,  
ვიდრე ოჯახს მოყენდებოდა, შეეძინა შეიღი. ამ ბავშვის დაბადებამ  
პოეტის შეჩენების საბაბი მისცა ლეთისმსახურებს. მათ რობერტი  
აიძულეს ეკლესიაში მოენანიებინა ცოდვები, წინააღმდეგ შემთ-  
ხვევაში მას საცელესიო სასამართლო ციხეში ჩასმით ემუქრებოდა.  
ბერნსისათვის ამ მეტად დამამიტირებელ რიტუალს მოჰყავა მწვავე  
ანტიკლერიკალური ლექსები იმ ფანატიკოსების მიმართ, რომლებ-  
მაც ურ შეიგრძნეს, რომ პოეტს არ უნდოდა თავისი შეიღილის გაგ-  
ზავნა უდედმამო ბავშვთა სახლში. ამასთან დაკავშირებით ბერნსმა  
დაწერა ლექსი „ჩემს უკანონო შვილს“. მასში ის აზრია გატარე-  
ბული, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონები, არსებული შეხედულე-  
ბები უკვე მოძველებული, მეტად მკაცრი და უაზრო იყო. მისთვის  
მთავარი ის პატარა გოგონა გახლავთ, რომელიც არათრით არ  
შეიძლებოდა უფრო ნაელებ ყვარებოდა იმის გამო, რომ მისი დედა  
ბერნსთან განშორების შემდეგ სხვაზე გათხოვდა.

თუმცა მთათხავენ დიაცნი სოფლის.

მნათლეს სახელით ულიკის მშობლის, –

სოფლის ჭორები გაგებდან ცნობილს, –

დე, გვნესტრონ ეწით!

არა, შენ ხუდრი არ გელის ობლის,  
იზარდე ლენიოთ!...  
ეკი, ინათებ მშვენებით სარულით!  
და, თუმცა მღედლებში შეგრისხეს შერით,  
ეკიცხებ შენით და შენზე ზრუნვით—  
შენია, რაც მაჭეს.  
შენთან ერქნები სულით და გულით —  
გპირილები ამაგს.

(მ. ლებანიძის თარგმანი)

ამ ერთგვარი „ლექსიალისარებით“ პოეტმა სამარადეამოდ გა-  
ფანტა მის ირგველივ შექმნილი უსიამოვნო კორები და გამოხატა  
პიროვნული დამოყიდებულება როგორც ცხოვრების ერთი მეტად  
დრამატული ისტორიის, ასევე თავისი პირველი ქალიშვილის მი-  
მართ.

მდგრად მწერლის ბიოგრაფიის დეტალებს შეუძლია ასსნადი  
გახადოს თხზულება, ხოლო თავის მხრივ ნაწარმოებს შეუძლია  
განმარტოს მწერლის ცხოვრების ესა თუ ის პერიოდი. მწერლის  
შემოქმედება უმეტესწილად მისი ცხოვრებიდან გამომდინარეობს.  
დიდ მწერალს კი შესწევს უნარი საკუთარი მწუხარება თუ სიხ-  
არული ისე განაზოგადოს, რომ მსოფლიო კლასიკური ლიტერა-  
ტურის ღონებზე აიყვანოს.

### ლიტერატურა

1. ვაჟა ფშაველა, პეტლიცისტება, წიგნში: ვაჟა ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990
2. ვაჟა-გორგაძე, რობერტ ბერის, წიგნში: ვაჟა-გორგაძე, ბერის სილუ-  
ატი, თბ., 1989
3. გრიგორ ჯენაძე, ვაჟა ფშაველას მწმოქიდება, თბ., 1989
4. Donald Rayfield. The literature of Georgia. A History. Oxford, 1994
5. ე. აბაზიაშვილი, მამაქან ვაჟა ფშაველა, თბ., 1966
6. ფ. ნიშნავანძე, გალაციონის ცხოვრებილქ, თბ., 1964

М. ОДЗЕЛИ

О СООТНЕСЕНИИ ЖИЗНИ И ТВОРЧЕСТВА ПИСАТЕЛЯ  
РЕЗЮМЕ

Творчество писателя в основном отражает его жизнь. Великий писатель способен личную радость или горе обобщить таким образом, чтобы они были представлены на уровне мировой классической литературы.

M. ODZELI

TOWARDS THE RELATIONSHIP OF LIFE AND CREATIVE  
WORK OF A WRITER

SUMMARY

A creative work of a writer basically issues from his own life. A great writer is able to present his happiness or sorrow on the level of world importance events by generalization of these facts.

თ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მრთვები  
Труды Тбилисского государственного университета  
им. Ив. Джавахишвили

340, 2002

გრეგორი გაზიარევლის გრემიური კონცენტრაციები  
კრიმინალური ანტიული თარიღისა და მთხოვანი

ტექსტი გამოსულია მთავრებულ და წარმოქმნილ დაუზიან ჰერალდიკაში

IV საუკუნის ცნობილი ლეონისმეტყველის, ორატორისა და პო-  
ეტის გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიიდან ქართულად თარგმნილია  
გნომური ლექსები (რომლის ნაწილი გამოვაჭვებულ სათაურით  
„გრიგოლ ნაზიანზელის ლექსების ანონიმური ქართული თარგ-  
მანებიდან.“ თსუ შრომები, ტ. 285 (ლიტერატურათმცოდნეობა),  
1989, გვ. 153-174) და პიმინალსაჩებები (სტულად გამოვაჭვებულ  
სათაურით „გრიგოლ ნაზიანზელის პიმინების ანონიმური ქართუ-  
ლი თარგმანები“, თსუ შრომები, ტ. 323 (ლიტერატურათ-  
მცოდნეობა), 1997, გვ. 138-155). წინამდებარე პუბლიკაციაში  
ვაჭვებულ გრიგოლის გნომური პოეზიის გამოუსცესებელ ნაწილს  
— იმბური ტრიმეტრით გამართული გრიგოლის ოთხტავებიდის  
ანონიმის შეირ შესრულებულ იამბურ თარგმანს კომენტარებით  
(Гумანістична тетралогія. PG 37, carmen 1, 2, n. 33). ამით ვამთავრებთ  
გრიგოლის ლექსებისა და მათი კომენტარების ქართული თარგ-  
მანების პუბლიკაციას, რასაც წლების მანძილზე ნაწილზარილ  
ვახორციელებდით.

გრიგოლის ლექსების და მათი კომენტარების ქართული თარგ-  
მანი, აკად. კ. კეკელიძიდან მოყოლებული, რამდენჯერმე გახდა  
კელევის საგანი (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ის-  
ტორია, I, თბ., 1980, გვ. 268, 609, 612-615. მისივე, უცხო ვეტო-  
რები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები V, თბ., 1957, გვ. 38-  
39. ე. ნიკოლაძე, ეფრემ მცირე — მხატვრულ ნაწარმოებთა ბერ-

ძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, ქუთაისი, 1959), მაგრამ საბოლოოდ მისი ჩაობა, შედგენილობა, რედაქტირები დიდხანს იყო დაუდგენელი. ტრადიციის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ სწორი შეხედულების გამოქვეყნების შემდეგაც კი (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 3, გვ. 87-112) ძველი ცხრილები იძებელებოდა (თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988, გვ. 49-53. T. Bregadze, Repertoire des manuscrits de la version géorgienne des discours de Grégoire de Nazianze. Corpus Christianorum, 20, Tournhout – Brepols, 1988, p. 19-126); ანდა, საერთოდ, უკრიტიკულ, შეცვლა-მით ეფრემ მცირეს, როგორც თხიგინალურ ეტორს, მიეწერებოდა გრიგოლის ლექსთა სხვადასხვა ქართული თარგმანი და ის ნაწილიც, რომელიც გრიგოლისაც კი არ ყოფილა და იოანე სინქლის „კლემაქსი“ აღმოჩნდა (თ. კუცავა, ეფრემ მცირეს იამ-ბიკოები, თსუ გამომცემლობა, 1988).

გრიგოლის პოეზიის ქართული თარგმანი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. ეფთვიმე ათონელის მიერ თარგმნილი გრიგოლის ერთ-ტეპედი (PG 37, c. I, 2,30) და მისი ნიკიტა – დავით პაფლალონიელისეული კომენტარის პერიოდზე, წარმოდგენილი 100-შუბლიან თხზულებაში სათაურით „სწავლანი სულიერანი წმიდისა გრიგოლი ლმრთისმეტყველისანი“ (შუბლები 1-20, 23-26, 100). იგი მოთავსებულია გრიგოლის თხზულებათა ეფთვიმესეულ XI ს. კრებულებში (A1, A 80, S 383, S 1696 და სხვ.). ტექსტი გამოვაჲებული და გამოვიყელიეთ უიშვიათეს ბერძნულ გამოცემასთან (XVI ს.) შეპირისპირებით (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან (ეფთვიმე ათონელის „სწავლანი სულიერანი“), მრავალთავი XVI, თბ., 1991, გვ. 58-77).

2. ა) ეფრემ მცირეს მიერ გრიგოლის გნომური ლექსების საფუძველზე შედგენილი (c. I, 2, n. 32, 33; 19, 39, 40) ეწ. „საეული იამბიკო“ ან „მუკლები იამბიკო“ სასწავლო მასა წილ წარმართ-თავსა, რომლისაგან განაყენნა ჭიისტეანენი იულიანე განდგომილ-

მან". მოთავსებულია გრიგოლის თხზულებათა შემცველ ეფრემ მცირისეულ კრებულებში (Jer 43, XII-XIII ს.; A 109, XIII ს.) და აქედან არის გადასული მრავალ სხვა კრებულში, მათ შორის პიმ-ნოგრაფიულ კრებულებში (A 85, K 564 და სხვ.). გამოკვეყნებულია სელნ. A 109-ის მიხედვით ს. ყუბანევიშვილის მიერ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1947, გვ. 365-372). იგი ერთვიდა აგრეთვე ე. ნიკოლაძის სადისერტაციო ნაშრომს (ეფრემ მცირე როგორც მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი, თბ., 1956, გვ. 173-202), საღაც, გრადა დასახელებული ძირითადი ხელნაწერებისა (იერუსალიმური ხელნაწერები მაშინ უცნობი იყო), გამოყენებული იყო გვიანდელი ხელნაწერებიც. „ასეული იამბიკოს“ შედგენილობას პირველად შეეხებ კ. კეჩელიძე და ე. ნიკოლაძე. მისი შემადგენელი ლექსი და მუხლები უფრო დაზუსტებული იქნა ჩეცნს შრომაში (ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, საღისერტაციო ნაშრომი, თბ., 1989 გვ. 63-71. მისვე, „გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართული მწერლობაში“, „მაცნე“, ერს, 1986, № 3).

ბ) ეფრემს ეკუთვნის აგრეთვე გრიგოლის მორალური ლექსის „ქალწულისა მიმართ“ (PG37, c.1, 2, n.3) თარგმანი გრიგოლის არალიტურგიკულ საყითხავებთან (ე.წ. პორჩიტებთან) ერთად. იგი გამოვაკვეყნეთ ერთადერთი ხელნაწერის მიხედვით (A 292, 1800 წ.) და შევისწავლეთ, როგორც ბიზანტიური პოეზიის ადრეული ძეგლი (ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური ე. წ. რიტმული პოეზიის აღრეული ნიმუში (გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ“), გულანი, თბ., 1989, გვ. 72-115).

გ) გრიგოლის 16 ლიტურგიკული პომილის ეფრემისეულ კრებულში მოთავსებულია თხზულება, რომელიც წარმოადგენს გრიგოლის მიერ ბასილი კუსარიელისადმი მიძღვნილ ლექსით ეპიტაფიაზე (c. II, 2, 119) დართულ ნიკიტა პატლალნელისეულ პარაფრაზს. იგი, როგორც გამოიჩინა, გიორგი ათონელის თარგმანითაა (იხ. Ath. 49, ტექსტი აზლად გამოვლინდა გიორგის აშ-

ავტოგრაფულ ნუსხაში; A 55, Jer. 15, XI-XII სს. კრებულები) შესული ეფრემის კრებულებში. პარაფრაზი გამოქვეყნებული პქნდა ს. ყუბანეიშვილს (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1947, გვ. 372-373), ერთოდა ე. ნიკოლაძის სადისერტაციო ნაშრომშაც („ეფრემ მცირე ჩოგორუც მხატვრულ ნაწარმოებთა ბერძნულიდან ქართულ ენაზე მთარგმნელი“, 1956, გვ. 203-208), მაგრამ არც ერთ მათგანში არ იყო გამოყენებული იმ დროისათვის უცნობი იერუსალიმური ხელნაწერები. ტექსტი გამოვაჭეყნეთ ძირითადად ეფრემისეული კრებულების მიხედვით (Jer, 8, XII ს., Jer. 15, XII ს., A 1490, XII-XIII სს., Jer 43, XII-XIII სს., A 109, XIII ს., გვ. 9, XIII ს., A 292, XVIII ს. და გიორგი მთაწმინდელის კრებული A 55, XI-XII სს.) ბერძნულ დედანთან შეპირისპირებით. მოვიძეთ მისი ერთადერთი და მეტად იშევათი ბერძნული გამოცემა (XVI ს.), შევისწავლეთ და დავაზუსტეთ მისი გაურკვევლი რაობა (იხ. კ. კეკელიძის და ე. ნიკოლაძის დასახ. შრომები. შდრ. ქ. ბერძნაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ფრასიებიდან (ეფრემ მცირის თარგმანი), გულანი, 1989, გვ. 116-159; მისივე, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსიციონის საკითხები, ფილოლოგიური ძიებანი II, თბ., გვ. 289-344. მისივე, გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „ნიკიტას პარაფრაზი“ გრიგოლ ლვითისმეტყველის თხზულებათა ეფრემ მცირისეულ კრებულებში. კ. კეკელიძე. დაბადების 120 წლისთვისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1999, გვ. 19-39).

3. არსენ იყალთოელის მიერ „სჭულისანონთან“ ერთად თარგმნილი გრიგორის ერთი ლექსი „განზომილთაგან სიტყუათა მისთა“ (c. I, 1, 12, v. 6-39), რომელიც 14-ტიტლოვან ნომიკანონშია ჩატარული (A 124, XII-XIII სს. და სხვ. გამოქვეყნებულია: ღილა სჭულისანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. ღოლაჭიძის, გ. ნინუას გამოცემა, თბ., 1975, გვ. 521): აქედან გადავიდა სხვა ხელნაწერ კრებულებში, ზოგან სათაურით „მუკლელი აღრიცხვა წმიდათა წიგნთა“ (S 269, XVII ს., S 379, XIX ს. და სხვ.).

4. მცირე ონონიმური თარგმანი (XI-XIII სს.) ელინოფილური სკოლის უცნობი წარმომადგენლის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

ბული. აქ შედის მხოლოდ ორი ლექსი ( c.I. 20, 30, რომელიც აღრე ეფთვიმე ათონელს ჰქონდა თარგმნილი კომენტარით და c. II, 1, 62, რომელიც ვრცელ ანონიმურით თარგმანშიც მეორედება). ისინი მო-  
თავსებულია ორ ხელნაწერში (G:S 269, XVII ს., D:S 379, XIX ს.). ეს თარგმანები გამოვაჭვეყნეთ გრიგოლის პიმნების ერცელ ანონი-  
მურ თარგმანთან ერთად (იხ. ზემოთ დასახელებული „გრიგოლ  
ნაზიანზელის პიმნების ანონიმური ქართული თარგმანები”, თსუ  
შრომები, ტ. 323, 1997, გვ. 143-144).

5. ვრცელი ანონიმური თარგმანი გვიანელინოფილურ ეწ.-შე-  
ლათურ სკოლაში უნდა იყოს შესრულებული XII-XIII სს. მოთავ-  
სებულია გვიანდელ ხელნაწერებში (A:S 2568, XVIII ს., L:C 9  
1788წ., B:H 1737, XVIII ს., C:S 348, XVIII-XIX სს., D:S 379,  
XIX ს., E:S 3642, 1800წ., F:S 3731, 1809 წ., I:A 711, 1785 წ.), მა-  
გრამ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, ენობრივ-სტრილისტუ-  
რი ანალიზით და ისტორიულ-ფილოლოგიური აზგუმენტების მოშევრებით დავასკვნით, რომ თარგმანი ელინოფილის მიერ  
უნდა ყოფილიყო შესრულებული (იხ. ზემოთ დასახელებული სა-  
დისერტაციო ნაშრომი). ვრცელი ანონიმური თარგმანი შედგება  
შრავალი ნაწილისაგან და ყველაზე ჭრელ სურათს სწორედ ეს შენი-  
და. აქედან ერთი ნაწილი, რომელიც გრიგოლისეულად მიიჩნეოდა  
(კ. კველიძე), აღმოჩნდა რომ ითანე სინელის „კლემაქსის“ გალე-  
გილი ვრცისის ფრაგმენტია (გამოვაჭვეყნეთ ცალკე; ქ. ბეზარა-  
შვილი, ითანე სინელის „კლემაქსის“ უკნობი ქართული ვრცისია,  
„მაცნე“, ელს, 1987, №4, გვ. 129-154. მისივე, ითანე სინელის „კლემაქსის“ ახალგამოვლენილი ქართული ვრცისია, „მაცნე“ ელს,  
1989, №3, გვ. 142-163). ესეც ანონიმის მიერ გელათურ სკოლაში  
უნდა იყოს შესრულებული.

ვრცელი ანონიმური თარგმანის ნაწილი, როგორც ვთვით,  
წარმოადგენს გრიგოლის ლირიკულ პიმნალსაჩებებს და ნაწყვი-  
ტებს მორალური ლექსებიდან (იგი სევე ცალკე გამოვაჭვეყნეთ  
სრულად – იხ. ზემოთ დასახელებული „გრიგოლ ნაზიანზელის პი-  
მნების ანონიმური ქართული თარგმანები“, თსუ შრომები, 323,  
1997, 145-155). აქ მოთავსებულია შემდეგი ლექსები: PG 37, carmen

II, 1, 99; c. I, 2, 7; c. I, 2, 32, v. 47-50; c. I, 2, 40, v. 1-4; c. I, 2, 39; c. I, 2, 40, v. 5-8; c. I, 2, 32, vv. 141-142, 145-146; c. I, 2, 19; c. II, 1, 78; c. II, 1, 60, v. 1-7; c. II, 1, 62; c. II, 1, 79; c. II, 1, 63; c. II, 1, 58; c. II, 1, 60, v. 8-15; c. II, 1, 56; c. II, 1, 24; c. II, 1, 25; c. II, 1, 26; c. II, 1, 80; c. II, 1, 64; c. II, 1, 14; c. I, 1, 16; c. I, 1, 13.

ერცელი ანონიმური თარგმანის მეორე დიდი ნაწილი წარმოაღვეს ერცელ გნომურ ლექსებს, დიდაქტიკურ მორალურ სენტეკიებს და ა. შ. მათი ნაწილი გამოვაძვევნეთ (Гновицкая ධистихия – I, 2, 32, ქართული სახელწოდებით „სხეუანი ორმუხლედნი იამბიკონი“; Гновицкая ධистихия – I, 2, 31, სახელწოდებით „სწავლანი“; „Орион იაჯუმერეის – I, 2, 34, „საზღვარნი ზრქელკურმოობითი“ – იხ. „გრიგორ ნაზიანზელის ჰიმნების ანონიმური ქართული თარგმანები“, თსუ შრომები, 285, 1989, 153-174), ნაწილს კი წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოვადგენთ. ეს არის ასევე ერცელი გნომური ლექსი – ოთხტავპედი (Гновицкая тетрадь стихов – I, 2, 33). ოთხტავპედის ანონიმურ თარგმანს ახლავს ნიკოტა პაფლალონელის კომენტარების მიხედვით შედგენილი მოკლე განმარტებები (მის შესახებ დაწვრილებით იხ. ქ. ბეჭარაშვილი, გრიგორ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია, მრავალთავი, XVII, თბ., 1992, გვ. 93-106). ანონიმური თარგმანი გნომური ორმუხლედის (I, 2, 32) და გნომური ოთხტავპედის (I, 2, 33) ტექსტის მეორე თარგმანია. პირველი თარგმანი ეფრემ მცირის „ასეულ იამბიკოშია“ მოთავსებული. ამდენად, ოთხტავპედის ანონიმური თარგმანი ეფრემის თარგმანთან შეპირისპირების მიზნით ერთვიდა ე. ნიკოლაძის დასახელებულ დისერტაციას (გვ. 203-229), მაგრამ ტექსტი აქ ნაკლული სახით და უკომენტარებოდ იყო წარმოდგენილი მხოლოდ ორი არაძირითადი ხელნაწერის მიხედვით (S 348, S 379). ვაჟვენებთ ოთხტავპედისა და მისი კომენტარების სრულ ტექსტს ჩველა არსებული ხელნაწერის მიხედვით (ALBCD).

ამით ვამთავრებთ გრიგორის პოეზიის და მისი კომენტარების ნაწილ-ზაწილ პუბლიკაციას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ტექსტი ერთვიდა ჩვენს დასახელებულ სადისერტაციო ნაშრომსაც (იხ. ტექსტისათვის და დანართი).

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი ტექსტის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ეფიქტობთ, ოთხტავპერის თარგმანიც და მისი განმარტებებიც ერთი პოროვნების მიერ უნდა იყოს შესრულებული გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში. იმის შესახებ, თუ რატომ არის ლექსის ტექსტი ხელოვნური კალიგრაფის მეთოდით შექმნილი, ხოლო განმარტებები კი – უფრო ბუნებრივი ენით, ანდა რა პრინციპითაა შემოკლებული ბერძნული განმარტებები ქართველი მთარგმნელის მიერ სასწავლო-პრაქტიკული დანიშნულებისათვის და ა. შ., იხ. ჩვენი დასახ. სტატია: გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ანონიმური ქართული ვერსია (მრავალთავი, XVII, 1992).

გრიგოლის პოეზიის სალექსიურობო საყითხებისათვის იხ. ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსიურობის საყითხები (ფილოლოგიური ძებანი, II, თბ., 1995, გვ. 289-344), ხოლო იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის და ქართული მწერლობასთან ტიპოლოგიური კავშირისათვის იხ. ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული სამწერლობო ტრადიციები („მაცნე“, ელს, 1994, №1-4, გვ. 73-114. იხ. აქვე დასახელებული სხვა აღრიცხული შრომები).

ასეთმა ნაწილობრივმა პუბლიკაციებმა და გამოკვლეულმა აშკარად დაგვანახა ერთი ძირითადი მთლიანი პუბლიკაციის და გამოკვლეულის საჭიროება, რომელიც იქნებ ღდესმე განხორციელდეს.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი გრიგოლის ოთხტავპერისა და მისი კომენტარების ქრიტიკული ტექსტის დასადგენად გამოყენებულია ყველა არსებული ნუსხა, რომელიც გელათურ სკოლაში გადაწერილი აღრიცხული ნუსხიდან უნდა მომდინარეობდნენ: A:S 2568, XVIII ს., L:C 9, 1788 წ., B:H 1737, XVIII ს., C:S 348, XVIII-XIX სს., D: S 379, XIX ს.

ლექსის ტექსტი ყველა ხელნაწერში ძირითადად ერთნაირი შედგენილობითაა წარმოდგენილი. ქართულ ხელნაწერთა ვარიანტები მითითებულია სტრიქონთა იმ ნუმერაციით, რომელიც ტექსტის მარჯვენა მხარესაა წარმოდგენილი. ზოგი ტექსტობრივი დე-

უკეტი (კლება, გაღაადგილება და სხვ.) და ხელნაწერთა მინაწერები ან ბიბლიური წყაროები შესაბამის ადგილის ვარსკვლავებითა აღნიშნული და განმარტებული. ტექსტი შედარებულია ბერძნულ დაბანთან. ცვლილება ბერძნულ-ქართული ტექსტების შედგენილობაში – კლება (om.), მატება (add.), განსხვავებული და ვარიანტული წევითხვები ყველგან აღნიშნულია G.P. Migne-ს *Patrologia Graeca*-ს t. 37-ის მიხედვით (შემოკლებით აღნიშნავთ როგორც PG37). იგი სქრილიოში მითითებულია სტრიქონისა და ტაქტის ვარსკვლავიანი ნომრით (მაგ., \*3,4). ტექსტის ქართული ვრჩევის თავისებურებების აღსანიშნავად გამოყენებულია შემოკლება Iber. (-Versio iberica). კომენტარებიანი ტექსტისათვის გამოყენებულია G.P. Migne-ს გამოკერძანისათვის გამოყენებულია G.P. Migne-ს *Paraphrasis... cura E. Dronke, Gottingae, 1840* (შემოკლებით აღნიშნულია – E. Dronke). ვარიანტებისათვის გამოყენებულია იგრეთვე უძველესი ვნეციური გამოკერძანი – Venetiis 1563 (შემოკლებით Venet.) და სხვ. კომენტართა ტექსტის ბერძნულთან შედარების შედეგები, რამდენადაც იგი მეტად სხვაობს დედანისაგან, წარმოდგნილია ცალკე შრომაში (იხ. ზემოთ დასახელებული შრომა – მრავალთავი, XVII, 1992).

## გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კრიტიკული ანონიმური თარგმანიდან

ა.33 გრიგოლის შრომად ვარ თოხმუკლსა დამცველი,  
სიბრძნის საქენოდ სწავლათა სულიერთა

გრიგოლის შრომა ვარ, ხოლო თოხმუკლობით დავიცავ სწავ-  
ლათა შინა სულიერთა მოსაქენებელსა სიბრძნისასა.

1 საჭირო პატივული პირებულ, ვარჩე ხედვასა?  
ხედვა სარტყლთა საჭმე, ხოლო იფა – მრავალთა ა.  
მარჯვე ვორჩემე და საყუარებულ მრავალნივე,  
გარნა რომლისადმი ხარ შენ, ისრბე უმეტეს.

მრავალნივე ვიღრემე არიან თანად ხედვა  
და საჭმე – საბელნი და საყუარელნი, გარნა  
თითოეული რასაცა მიმართ მარჯვე იყოს, ამას  
შეუდეგინ.

2 მეითხედა ვანშე კოსხებსა ვარ სულისა.  
განწმელე თუ, – ვარქუ მას, გარნა ქრისტულებული.  
განწმელელ თუ, ხოლო ამ გილორს განწმელათა.  
მურო კურპელსა ბილწის ვარ უაწმუნების. 15

\* PG 37, carmen 1, 2, n. 33 (Γνωμολογία τετράστιχος). კამენტარისთვის ა. E. Dronke, p. 131-188. PG 38, col. 681-686.

1 გრიგოლის LBCD, ზრდა LBCD, ოსტოკეს B, ოსტეკეს C, ოსტეტელს D, დამ-  
ცველა LBD, 2 საქენოდ BC, სასინებად D, სოლენის B, 3 გრიგოლის LCD, ოსტეტელ-  
ბის D, 4 მოსაქენებელის B, მოსასინებელის CD, სიბრძნისას A, სიბრძნისათა CD, 5  
პირებს D, ხედვას LBCD, 6 ხედვა L, ხედვა BCD, საულის LBCD, მრავალთა LBCD, 7  
საყუარებულ LCD, მრავალნივე LB, 8 რამლის CD, 9 მრავალნივე BCD, ხედვა LBCD, 11  
რამალის LCD, გარვე C, 13. მეითხე LBCD, კოსხებსა LBCD, ვარ სულისა LBCD, 14  
გამწმელე B, გამწმელე CD, ქრისტულებული L, ქრისტულებება BCD, 15 გამწმელე B,  
განწმელე C, განწმელათ LBCD, 16 მურო BCD. ვერ ] add. ვერ D.

\* 2.3. სი ეკრანმცემ (გამწმელე თუ) [ გამწმელეს თუ ] Iber.

\* 2.4 მდრ. მო. 7, 18; 9, 17; მრკ. 2, 22; ღ. 5, 37.

მეითხა მე აღუბეჭდველთაგანმან ვინმე  
სულიერი, რომლისა მიმართ ვთქჲ; უკუეთუ  
ნათელილო; ვთქჲა, რამეთუ მუჭრონსა ვერ  
მეიწყნარებს ხენეში ჭურქელი<sup>1</sup>.

20

3 ნე პბრძავ ყოფელთა, ნუცა მისდევ სიტყუათა,  
გარდა რომელი უწყინი, ოდეს და ჩის.  
(ლიტერატურასა უშერძეს ესველ, ვაღრე უბრძანებდ.  
სიტყუასა ებრძევს სიტყუამ, ცხორქება[სა] ვინ?

25

Av

4 ნუცა ყოფელითურთ წინაგანმწყობ ხარ სი-  
ტყუათა, ნუცა კუალად ადეილად დაემორ-  
ჩილები მეტყუელთა, არამედ მათ შინა მხო-  
ლოდ, / რომელთა მტკიცედ უწყოდი ჭეშმა-  
რიტებად. და უფრომ მსლა წაღიერ იყავ ღმრთი-  
სა მიერ მართებასა, ვიღრე სხუათა ზედა  
მთავრობასა შენსა ბორიოტად, რამეთუ წი-  
ნააღმდეგომ მეტყუელსა სიტყუამ განეწყების,  
ხოლო წინაგანმწყობა წმიდისა ცხორქებისამ  
არა არს.

30

4

5 ანუ ნე სწავლი, გინა სწავლიდ სახითა,  
ნე ამით ზიღდე, იმით სლევნი კურითა.  
არად გილის თქმამ მეტქა, რომელთა ჯერაბის:  
მსატრარი სწავლის უშერძეს სახეთაგან.

35

17 აღუბეჭდველთაგანმან L, აღუბეჭდველთაგანმან B, აღუბეჭდველთაგანმან CD. 18 ქათქე  
LB, ქათქე CD. უფოთუ LBCD. 19 ნათელი-ილო B, ქათქე LB, ქათქე CD, პირობის L.  
პირობის BCD. 21 ყაულთა D. 22 ჩოსკა CD. 23 ლფალს ALB. 24 ებრძეს LCD. სიტყუა  
LBCD. ცხორქება A. ცხორქება LBCD. ვინა CD. 26 აღალად LCD. 27 შერცებლთა LCD. 28  
რომელთა om. L] რა B. კეშარიტება LBCD. 29 უფროისა LBCD. ლუოისა D. 30 ვაპა-  
იქასა B. 32 შერცებლს LCD. სიტყუა LBCD. განკურების L, განეწყობის CD. 33  
ცხორქების LBC, ცხორქებისა D. 36 პზილავ BCD. ზღვნი A. საღვნი CD. 37 ოშა LBCD.  
შეტქა C, შეტქა D. 38 მსატრარი LCD.

<sup>1</sup> 3, 4 იას (კუველი) om. Iber. \*ელიწყერებშია: ცხორქება, უნდა იყოს: ცხორქებისა (cf. Bls. 66  
etc.).

კეთილითა სახითა უადგილეს ესწავების  
სათნოებამ, რამეთუ მოქმედი წინააღმდეგომთავა  
మిమ్మొప్పొ, మ్యుఫోర్మెస్ బాస్టోప్పొసా, బోల్మ ష్ట్ర్యూవ్సామ  
లూ మిమ్మొప్పొ[ఎ] శ్సిర్పొప్పొతాప్రా ప్రోప్లోల్తా  
ష్టేప్లోబ్సిస్, ట్రాప్పోమ్స్ ట్రెచ్జ్ ష్ట్రోప్స్ లూ ల్యాప్-  
పొస్సా ప్రీలొసాసా, ఏస్ ఇగ్రి ఎస్ ల్యాపోజాల్సా, గ్రో- 645  
నొమెటోగ్ థెల్చుసామ్పొ ఎస్ ల్యాపోజిస్.

57 శెంక్రె ప్రాథ్మ్యి ప్రోప్లోబ్సిస్ భెఫోటాచ్,  
ప్రోహోట్ప్రో భెహో ప్రోప్లోబ్సిస్ ప్రాథ్మ్యిటాచ్.  
గాంచో భెంచో\* ఏప్పెం గ్రో మ్మొగ్గొసాఫ్ గాంచో:  
బోల్మ ల్యాపోహో ప్రోపొమ్ పెంచోవ్ వొమోసా. 650

పెంచోబొల్తాచ్ ష్టేప్లోబ్సిస్ సింబెంగ్మె - ప్రథ్మె-  
న్యూసా భెర్లసా లూ ప్రోప్లోబ్సా క్యాబ్సుసా; రామ్పోత్తు  
ప్రోబ్ పెంచోప్రోబ్బులొసామ వొఫ్ఫోర్మె సామాహామోసిప్పుడ  
గోంచోర్మెబో[ఎ], బోల్మ క్యాబ్సుసా - ల్యాపోర్మెబోమ  
డా పెంచోసెన్చోబోమ గాంచోహుల్వోతా గ్రేబాటాగాబ్. 655

58 మాంచామోసి క్యమోప్పొ శెంబొదా సాప్తోమ్మొబ్బొచ్చా,  
బోల్మ ప్రోప్లోబ్బొ గ్రామ్ ఎస్ గాం జీమ్స్ పాట్చొటాచ్.  
ప్రెక్స్ పొప్పొలూ లూ గాంసెల్వొసా జెపొస్ ప్రోపొ.  
గాంగ్మొసెడ్రోసిం ప్రోపొల్చి, ఎట్లొసి మ్మొపోగ్రి.

637 ప్రోపొ LCD, ల్యోప్పొ ల్యోప్పొ LCD, ల్యోప్పొల్చోబోమ AC. 641 గాంచో-ప్రోల్చో B. గాంచో-ప్రో-  
ప్రోల్చో B. గాంచో-ప్రోల్చో CD. ట్యు ప్రో LCD. 642 బాస్టోసెబోసాస్సొ CD ] om. B. ష్ట్రో ల్యోBCD.  
643 ప్రోల్చోల్తాప్రా D. 645 ఎస్ ] om. LB. ల్యోల్చోబోస్సొ LBCD. 646 గాంచోల్చో L. గాంచోగ్ బో  
CD. ల్యోల్చో LBCD. ల్యోల్చోబోస్సొ LB. 647 భెర్లసి LCD. 648 పెంచోర్మె BCD. ప్రోల్చోచో  
CD. పెంచోబో LBCD. 649 ఏప్పె C. ప్రోల్చోబో CD. 650 పెంచోబో D. 653 పెంచో D. పెంచో-  
ప్రోబో, LBC. 654 పెంచోబో LBCD. 655 పెంచోసెన్చోబో LBCD. గాంచోబో-బో D. 656  
సాప్తోమ్మొబోచ్చా LBD, సాప్తోమ్మొబోచ్చా C. 657 పెంచోబో LCD. గాంగ్మొ LCD. గాంగ్మొ B.  
సాప్తోమ్మొ LBCD. 658 ప్రెక్స్ ] భెర్లసి D. గాంచోబో B, గాంచోబోదా CD. 659 ప్రోల్చోబో CD.  
\*37, 3 పాఠాఖాస (ప్రోల్చో భెర్లసి, ప్రోల్చోబో)] భెర్లసి lber.

- მარადის დაიმარახენ საცხორებელი მცნე- 660  
 ბანი, ზოლო უფრო მასლა ეამსა სიბერიისა, ა49 ბაეძმს შემკუონებული თმამ განსლვასა წი-  
 ნამთვე გიერდა გეგმდეს, მბრძანებელი ყოველ-  
 თამ, რამთა მზა იქმნენ, ვითარ მახლობელად  
 ყოფასა მსჯავრისასა. 665
- 59 ბოლოვდ სიტუა- მჩინობლ უარის-შნამ ღმრთისა, სიტუა-  
 და საქმით. წუ შესკოები, იხილე  
 (მარად რკენითი იღებები ფარულად).  
 ნუადა გამდეს უანა მაკნელ განწმედა.  
 მწურათელობამ სიტუა- წინა-დაგიდებს 670  
 შენ უკოომელობასა, რამეთუ ვინამოთგან მა-  
 რადის იღებები წინააღმდეგომისა მიერ ფარუ-  
 ლთა რკენათა მიერ, გილირს, რამთა არა  
 მიიპარო არცა სიტუა- არცა საქმით; და  
 რამეთუ მჩინობლ კერძოვე შეგემოსუეის 675  
 უარის-შნამ ღმრთისა, გილირს უკუ შენ  
 მტკიცელ ცხორებამ და უკოომელად, რამთა  
 არა მოქენე იქმნე ცრემლთა მიერსა სალმო-  
 ბიერსა განწმედასა.
- შეწევნითა ღმრთისამთა დასასრული ოთ- 680  
 ხმუკლთა ღმრთისმეტყუელისათამ, ხოლო არს  
 ფრიად საჩვებლიანი თარგმანებამ სწავ-  
 ლანთა ოთხმუკლთა ღმრთისმეტყუელისა-  
 თამ ნიკიტა პატლალონელისამ .

- 660 საცხორებელი LBD, საცხორებელი C. მცნებანი D. 661 უფრო დ  
 LBCD. 662 შემკუონებული D. ამ LCD] თმა B. განსლუას B, განსლუას CD. წინააღ  
 LB, წინააღმ CD. 663 ბრძანებული D. კუკლას LD. 664 რათა LD] რათმ B. გათარი A.  
 665 მსჯავრისა CD. 666 ბოლოვდ სილო D. სიტუა- 661 უფრო დ  
 BC, ლუთისა D. 669 გამდეგ LBC. უკანასწერ LBCD. 670 მწურათელია LB. 671 კანადუან  
 L, კანათუან CD. 672 იღებების D. წინააღმდეგომისა D. ფარულად CD. რათა LD. 675 კერ-  
 ძოვი კუკლ BC, კუკლ D. შეგემოსუეის LBC, შეგემოსუეის D. უარის-შნა LBCD. 676  
 ლისა LBC, ლუთისა D. უკუ LBC. ცხოვრება LB, ცხოვრება CD. 677 რათა LBD. 678  
 ცრემლსა LB. 680 ლოსათა LBC, ლუთისათა D. ოთხმუკლისა D. არს ] ამ. D. 682 საჩვებლიანი CD.  
 თარგმანება LBCD. სწავლიანთა CD. 683 ოთხმუკლისა D. ლისმეტყუელისათა LC, ლის-  
 მეტყუელისათა B, ლუთისმეტყუელისათა D. 684 პატლალონელისათა LBCD.

© 2013 by the author

**АНОНИМНЫЙ ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД ГНОМИЧЕСКОЙ  
ПОЭЗИИ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА И КОММЕНТАРИЕВ К НЕЙ**  
(Издание подготовила и предисловием снабдила К. П. Безарашвили)

**РЕЗЮМЕ**

В настоящей работе впервые публикуется древнегрузинский анонимный перевод гномического стихотворения (четверостишия) известного богослова, оратора и поэта IV века Григория Назианзина (PG 37, с. 1, 2, п. 33) и комментариев к нему, составленных по образу комментариев Никиты Давида Пафлагонянина (X в.). Для установления критического текста использованы все существующие рукописи. Текст, который сопоставлен с греческим оригиналом, сопровождается полным списком вариантов.

Перевод выполнен неизвестным представителем т. н. эллинофильского направления грузинской литературы (а именно Гелатской теологической школы) в XII-XIII вв. и соответствует литературным требованиям и поэтическим традициям этой эпохи.

**ANONYMOUS GEORGIAN TRANSLATION OF THE GNOMIC POETRY  
OF GREGORY OF NAZIANZUS AND COMMENTARIES ON IT**

(Edition prepared and prefaced by K. Bezashvili)

**SUMMARY**

The paper presents the first publication of the anonymous Georgian translation of the gnomic poem (*tetrastichos*) of Gregory of Nazianzus – the famous theologian, orator and poet of the 4<sup>th</sup> century (PG 37, carmen 1, 2, n. 33) and commentaries on it, compiled according to the commentaries of Niceta David the Paphlagonian (the 10<sup>th</sup> century). The corrected text is based on the extant manuscripts of the above-mentioned literary monument. The text is compared with the Greek original. A full list of variants is appended.

The translation was made by an anonymous representative of the so-called Hellenophile trend of Georgian literature (namely, Gelati theological school) in the 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> centuries and meets the literary requirements and poetical traditions of that period.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მრომავი

Труды Тбилисского государственного университета  
им. Ив. Джавахишвили

340, 2002

## კიბენა ნადარები გადამიზნი

ერთოვანი ულარა და ვ. ვ. «ფენონის ტერი»  
ტელეციონი და გაცემა კულტურის ოპერატორის ქვეყნის  
გარეულ ღიატერატურაში

ძ. წ. VIII საუკუნიდან მოყოლებული საბერძნეთის ისტო-  
რიაში ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება, რომლის დროსაც  
არსებოთად იყვლებოდა საზოგადოების ხსიათი. მმართველობის  
არისტოკრატული სისტემა ნელ-ნელა გადადიოდა უფრო ეგალი-  
ტარული, ფემორატიული მმართველობის სისტემაზე, რომელიც  
ძველი წყობის წიაღში გამოიწვია — საშუალო მიწათმო-  
ქმედთა კლასს ეფუძნებოდა. ახალი კლასის გაჩენას თავის მხრივ  
უკავშირდება ახალი ტიპის ეწ. „ნუკლეარული ოფიცის“ — თიკოსის  
ამოტივტივება, რომელიც, როგორც ჩანს, ამ პერიოდისთვის ყვე-  
ლაზე მოსახერხებელი ფორმა აღმოჩნდა ამ კლასის მატერიალური  
დოკუმენტის შექმნასა და გადაცემაში. ახალი წყობის პირობებში ის  
ახალი სახელმწიფოს — პოლისის სოციალური ორგანიზაციის პირ-  
ობიდი უჩრედი გახდა და საზოგადოების პროცესების ერთეუ-  
ლად ჩამოყალიბდა. ახალი სახელმწიფო ახლა უკვე ამ თიკოსებს  
ემყარებოდა და მეტიც. თავად ამ თიკოსების ჯამში წარმოადგენდა.  
სწორედ ამიტომ ახალი ტიპის ოფიცია ახალი სახელმწიფოსთვის  
განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. პოლისის, როგორც  
მთელის კეთილდღეობა ძალზე დიდად გახდა დამოკიდებული  
თიკოსის, როგორც ნაწილის კეთილდღეობაზე.

თიკოსის ამ მზარდმა მნიშვნელობამ ქალის პოლის ცენტრება  
გამოიწვია. მას მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება დაკისრა

და შესაბამისად მისი, როგორც ცოლის და დედის როლი განუხელელად ამაღლდა. ჩათა ამ ტიპის თიკოსები სიცოცხლისუნარი-ანგები ყოფილიყვნენ, ქალს აუცილებლად უნდა გაეჩინა ოჯახისთვის კანონიერი მემკვიდრე, საკუთრება ერთი ოჯახიდან მეორესთვის უნდა გადაეცა და ამავდროულად პასუხისმგებელი ყოფილიყო თვალის მატერიალური დოკუმენტის შექმნასა და გაფურჩქნაზე. ამ-დენად, ქალზე მნიშვნელოვანწილად გახდა დამოკიდებული თიკოსის მოუშლელობა და ხელშეუხებლობა, ამ უკანასკნელის კეთილ-დღეობასთან კი განუხრელად იყო დაკავშირებული პოლისის წარ-მატებული ფუნქციონირება. შესაბამისად, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების მქონე სუბიექტი – ქალი – უკვე ძირეული ხდებოდა სახელმწიფოსთვის. ასეთი ძირეული მნიშვნელობის არსება კი გან-საკუთრებით დაცული და გაეონტროლებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო ეს ორი პირობა არ იყო საქმარისი. ქალი, ამა-თანავე, უნდა ყოფილიყო შეზღუდული და დაქვემდებარებული. ჩათა სახელმწიფოს საჭიროებისათვის მისი სამსახური ყოველთვის გარანტირებული ყოფილიყო.

და მართლაც, გააფორმა თუ არა სოლონის ჩეფორმაშ ქალის სოციალური სტატუსი, ამავე ჩეფორმით მაშინვე დაკანონდა ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობაც. ოჯახში უფროსი, წარ-მმართებელი ქმარი დარჩა. დემოკრატიულმა წყობამ, რომელაც თავის მოქალაქეებს ფართო უფლებები მიანიჭა, ქალს თითქმის მთლიანად დაუკეტა კარი საგარეო სივრცეში, წარათვა პოლიტი-კური უფლებები და ქცევის უმატესი მორალური ნორმები დაუ-წესა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ელასიკური პოლისის დემოკრატიულ თავისუფლებას ქალის ლეგალური და კულტურული დაქვემდებარება მოპყავა.

ბუნებრივია, ქალის ამგვარი დაქვემდებარებული მდგომარე-ობა მათთვის არც სასურველი და არც სახარბიელო არ გახლდათ. როგორც ბერძნული ლიტერატურის ცალკეული პასაკებილან ჩანს, გარკვეული პერიოდიდან მანც უკვე ქალებიც აღიქვამდნენ თავით მძიმე „არაშესაშუალებელი“ ხევდის. შესაბამისად, ქალის ამგვარ დაქვემდებარებულ სოციალურ სტატუსს სჭირდებოდა ახსნა, სა-

ზოგადოებაში მათ არავტონომიურ არსებობას კი გამართლება, ანუ საჭირო იყო იდეოლოგია, რომელიც ყველაფერს ახსნიდა და გაამართლებდა. და მართლაც, ნელ-ნელა ქალისადმი ღამიერებულებაში ჩნდება ახალი ტენდენცია, რომელიც ცდილობდა არსებულ პატრიარქალურ სოციალურ სტრუქტურაში ქალის მდგრადიერი მისი ბუნებრივი მახასიათებლებით ეხსნა. ეს ქალობოძულებით, ე.წ. „მისოგინური“ იდეოლოგია გახლდათ, იდეოლოგია, რომელიც ფაქტობრივად ქალის ნეგატიურ ხატს ეფუძნებოდა და რომელიც საზოგადოებაში ქალის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ამკვიდრებდა. მაგრამ გარდამავალი ეპოქა, განსაკუთრებით კი კლასიკური პერიოდის ბოლო ათწლეულები ძალიან სინტერესით, ურთესები კითხვებით აღსავს პერიოდი გახლდათ, ეტაპი კაცობრიობის აზროვნებაში, რომელიც ტრადიციულ მორალს, პოპულისტურ იდეებს ძალზე მეტი გამოცდის წინაშე აყენებდა, საზოგადოებას გაძედებდ და ერიტიულ კითხვებს უსვამდა. ბუნებრივია, ეს უაღრესად სინტერესი ღრმა გვირდს ვერ აუელიდა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიც იყო ქალისადმი დამოკიდებულების საკითხი. და მართლაც, კარილინალურ ცალილებათა ეპოქაშ ას სფეროშიც ახალი ტენდენციები შემოტარა, ტენდენციები, რომელიც გარკვეულ წილად საფუძვლებს ურჩავდა ფეხმოვიდებულ იდეოლოგიას. რამეთუ ორივე ეს მიმდინარეობა ძალზე საყურადღებო მსოფლმშედველობას წარმოადგენს, ჩვენ შევეცდებით მოკლედ მიმოვიზილოთ ორივე მათგანის უმთავრესი პოსტულატები. პირველად ქალობოძულებით დამოკიდებულებას შევეხმით, როგორც უმთავრეს გარდამავალი პერიოდისათვის, შემდეგ კი ახალ დამოკიდებულებას განვიხილავთ, რომელსაც ჩვენ პირობითად „ფემინისტურ“ ტენდენციას ვუწოდებთ.

როგორც აღვნიშვნეთ, მისოგინური იდეოლოგია პატრიარქალურ სტრუქტურაში ქალის სოციალურ სტატუსს, უპირველესად, ქალის ბუნებით, ქალის ფენომენით ხსნიდა, რომელიც თავის თავში საზოგადოებისთვის ნეგატიურ, უარყოფით დატვირთვის

ატარებდა. და მაინც რა იყო ამგვარი წარმოდგენის უმთავრესი მიზეზი?

ბერძნებს შტკიცელ სჭროლათ, რომ მათ მიერ შექმნილი ქალაქ-სახელმწიფო – პოლისი ცივილიზაციის უმაღლესი ფორმა გახდათ, თავად ცივილიზაცია კი ბუნებაზე მოპოვებული ურთიერთების გამარჯვება იყო. ეს ამაერთოულად წარმოადგნდა მამრი აეტორიტეტის გამარჯვებას, რომელმაც ბუნება/ქალი ხანგრძლივ, დამლუპველ, დაუნდობელ ბრძოლაში საბოლოოდ დაამარცხა. ქალის დაყავშირება ბუნებასთან საერთოდ ძვლი ხალხებისათვის და არა მარტო ბერძნებისთვის იყო დამახსიათებელი. შესაბამისიდ, მათ ცნობიერებაში სწორედ ქალი იყო დაყავშირებული იმ ირა-ციონალურ საწყისთანაც, რაც საზოგადოდ ბუნებას ახასიათებდა. ბერძნული მითების მთელ ცივის წითელ ხაზად გასდევს მითოპო-ეტური ხატები იმ ქალებისა, რომლებიც თავიანთი სიშმაგით, ჰე-ლურობით, ირაციონალური სულით კაცთა მოღვაწეს ღუპავენ. მაგრამ გარეული პერიოდიდან მოყოლებული კაცები ახერხებენ ამ მონსტრი, ბნელი, ბარბაროსი და იესიმომასწავებელი არსებების დამარცხებას. სწორედ ამ გამარჯვებებს აღულებენ პიმნებს და აფიქსირებენ ხელოვნების ნიმუშებზე. პართენონის ცნობილი ფრინზები – „გიგანტომაქია“ და „ამამონომაქია“ – სინათლის, ცივი-ლიზაციის, მმრჩის გამარჯვებას ეძღვნა ბნელზე, ირაციონალურზე, მდედრზე. ჰესიოდეს კოსმოგონური მითების წყება ზევსის საბო-ლოო გამარჯვებით მდედრის გენერაციული ძალებით მართული უწინდელი წყობის დამარცხებაზე მოვალეობრივს, პომეროსისე-ული პიმნი აპოლონის მიმართ ღმერთის მიერ მდედრისაგან შო-ბილ ურჩესულთა დამლევას უმღერის. სოფოკლე თავის ერთ-ერთ ცნობილ საგუნდო პარტიაში „პიმნი ადამიანს“, რომელიც ადამი-ანის გასაოცარ გამარჯვებათა შესახებ მოგვითხრობს, განსაკუთრე-ბით გამოპყოფს მამრის მიერ ბუნების სტიქიის – მიწის მოთვი-ნიერებას და ამ გმირობას ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს გამარ-ჯვებად, ბუნებასთან ბრძოლაში მამყაცის ერთ-ერთ უმნიშვნელო-ვანეს დამსახურებად მიიჩნევს:

„გეას ღმერთთაგან ყველაზე დიადს,

გარდაუვალს და მარად მოულლელს,

ფიტის, როდესაც თავისი გუთინით

შემუღლ ცხენებით წლითი-წლობით ხნავს ხოლმე მულმე”

(1, სტ. 338-341)

მაგრამ ბუნებაზე გამარჯვება მის მოსპობას არ გულისხმობდა. გამარჯვება გარეული ფორმით უნდა ყოფილიყო გამოხატული, რამეთუ ბუნება არ არის ის, როს გარეშეც აღამიანს შეუძლია იარ-სებოს. და ბერძნებმა სხვებთან ერთად ასეთი ფორმა ბუნების მო-შინაურებაში დაინახეს. თუ ბუნებას მოწესრიგებულ სახეს მისცემ, ამ შემთხვევაში იგი ასატიანი იქნება ცივილიზაციისათვის. ჭალის, როგორც ბუნების ერთეული იპოსტასის მოწესრიგება ბერძნებმა ჭორწინების ინსტიტუტს დააყისრეს. ის, რომ ჭორწინება ჭალის მოშინაურებას გულისხმობდა, განსაკუთრებით მეცნიერების იყით-ხება ასოციაციურ წყვილებში, რომლებშიც ბავშვის ჩასახვა (ჭორ-წინების მიზანი) იგივე მიწის მოხენაა, ჭალის გათხოვება კი მასზე უღლის დაღმას წარმოადგენს, ისეთოვე ულლის, როგორითაც კლუბ ცხოველებს ათვისიერებენ (2, 53). ჭორწინების შემდეგ გათხოვილი ჭალები უკვე მისაღები ხდებოლონენ ბერძნული პოლისი-სთვის. პოლისმა მხოლოდ ამ ჭალებს უბოძა თავისი უმაღლესი ძლიერი – მოჭალაქის სტატუსი პეტერების, ხარჭების და მეძავებისა-გან განსხვავებით, რომლებთაც ბერძნები პოლისის გარეთ მდგომე-ბად, ე. წ. „სხვებად“ მოიაზრებდნენ, რამეთუ ისინი თავისი უფალი, უღლდაუდგმელი ცხოვერების ნირს ეწეოდნენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებმა პოლისის სტრუქტურაში ჭალს ამგვარი სახით დაუმკერდის არსებობა, როგორც ჩანს, მათ მაინც ეშინო-დათ ჭალებისა – იყვნენ კი ისინი საიმედონი ასეთი მოშინაურების (ინკორპორაციის) შემდეგ? და მართლაც, დრო და დრო ბერძნულ ლიტერატურაში გამწარებული კაცების ხმა გაისმის, კაცებისა, რომლებიც გაცილებით ბედნიერნი იქნებოდნენ ჭალების გარეშე რომ ყოფილიყო შესაძლებელი არსებობა. გავიხსენოთ თუნდაც ერთეული ყველაზე ცნობილი მისოვინური ტირადა ჭალებზე. რომელიც ჭალთმოძღველე ჰიპოლიტოსს ეყუთვნის. დედინაცვლის შიერ სარეცლის შეთავაზებით შეურაცხოფილი ჰიპოლიტოსი სა-

სოწარკვეთილი მიმართავს ზექსს, ნუთუ ან შეიძლებოდა, რომ ადამიანების მოდგმა ქალთა გარეშე გაგრძელებულიყა, ნუთუ არა შესაძლებელი შეიღების ყოდვა, რათა ამით სახლში ცოლის კოლისაგან განთავისუფლებულიყავითო (ეპიტონი, პიპოლიტისი, სტ. 615-651). ანდა იასონის დასკვნა მედეასთან პირკველი შეხვედრის შემდეგ: „ნეტავი ბავშვები ჩადაც სხვა გზით იბატებოდნენ და ქალი სულაც ან ერიოს ამ საქმეში. აამდენ უბედურებას გადაუჩებოდა კაცთა მოლგმა“ – აცხადებს იასონი, რომელსაც წარმოლენა არა აქვს, რას დაატესს მის შეიღებს თავს ქალიდედა მომავალში (3. სტ. 547-576).

ბენებაზე ციკილიზაციის გამარჯვების ერთ-ერთი ფელაზე მკაფიო ლიტერატურულ გამოხატულებას ესტილეს ტრილოგია „ორესტეა“ წარმოადგენს. ეს არის ტრაგედია, რომელიც დასახელებული გამარჯვების გარდა, ყველა იმ დანარჩენ გამარჯვებათ უძლერის, რომელიც ამას სცენეს თან. ეს არის ახალი წყობის, ახალი სამართლის, მამრი აეტორიტეტის მიერ ძველი წყობის, ტომობრივი სამართლიანობის, დედის უფლებების დამატებება, რაც ორესტეს მიერ კლიტემნესტრამ მოკვლით და აჩერაბაზე ამ მევლელობის გამართლებითაა გამოხატული. ტრილოგია სრულიად ერთ-ვერ შექნელოვნად წარმოგვიდგენს ახალი საზოგადოების ჭრაუთხედ პრინციპს – ამგვარი ტიპის პოლისის ფუნქციონირება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ იგი ერთხელ და სამუდამოდ იტყვის უას თვალსაზრი, გვაროვნეულ, სისხლით ნათესაობითი კავშირების უპირატესობაზე და შესაბამისად, მდედრის უფლებების უპირატესობაზე, მდედრისა, რომელიც ამ ინსტიტუტებთან თავისი არსით მჭიდროდა დაკავშირებული. და ჩადგან მდედრის უფლებებს კველაზე მეტად ის განამტკიცებდა, რომ სწორედ დედა შობდა ბავშვს და აგრძელებდა სიცოცხლეს, მისი უფლებების დაკინება უპირატესად სწორედ ამ უპირატესობის ჩამორთმევას შეეძლო. და ესტილეც ბერძნულ ლიტერატურაში აღმათ ფელაზე გამოკვეთილად ბავშვის გაჩენაში ქალის მნიშვნელობას უკიდურესად ამტორებს და იქამდეც კი მიღის, რომ შთამომავლობის ჩასახვაში უმთავრეს როლს მამრის-შიმას აყისრებს.

„იგი, რომელსაც დედად ხმობენ, სულაც არ გახლავთ  
შეილის გამჩენი, მამრის თესლსა ღლვიერებს მხოლოდ,  
ნაყოფს წარმოქმნის კაცი, ხოლო ქალი, ვით მასპინძელი  
ინახავს სტუმრის მობოძებულ ძირითასს საჩუქარს“

(4, სტ. 658-661).

ის ერთადერთი ხმა, რომელიც ორესტეს გამარჯვებას მოაპოვებინეს, ქალღმერთი ათენის ხმაა. ათენა კი თავისი არსით დედის გარეშე შობილს განასახიერებს, რომელიც მამაკაცისადმი თავის თავანის ცემას დაუფარავად აცხადებს:

„დედის მუცლიდან არ ვშობილეარ და მამაკაცი  
ქალს მიჩრევნია, თუმცა არასდროს არ ჰულლები,  
მაიც მას ველტვი მამაღმერთის მთავანებელი“

(5, სტ. 736-738)

ჩენ ზემოთ უკეთ აღვნიშვნეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეიძინა ქალმა ოჯახში, რამდენად ღიდად იყო მასზე დამკიდებული ოკეანის წარმატება, რამდენადაც აუცილებელი იყო ოჯახის წინსელასა და კეთილდღეობისთვის ქალის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების პირნათლად შესრულება. მაგრამ ქალის ფუნქციის მნიშვნელობა ოჯახის მარტოოდენ მატერიალური სივრცით არ ამოიწურებოდა. ცოლი დიდ როლს თამაშობდა ქმრის „მამაკაცური ლირსების“ შენარჩუნებაში. „მამაკაცური ლირსების“ ცნება კი პატრიარქალური საზოგადოებისთვის ძალზე აჩსებითი, საგულისხმო ფუნქმენი გახლდათ. სწორედ ის, რომ ქალს ესოდენ მნიშვნელოვანი როლი პქნდა „მამაკაცური ლირსების“ შენარჩუნებაში, აძლევდა ქალს დაფარულ, ლატენტურ ძალაუფლებას, ზრდიდა მის გავლენას და მნიშვნელობას. ეს გარემოება ანიჭებდა ქალს ძალას არა მატო იმისთვის, რომ აჩსებითად ემოქმედა ოჯახის „მამაკაცურ ნაწილზე“, აჩსედ ფაქტიურად დაეღუპა ისინი. ბუნებრივია, აღნიშნული საშიშროება კიდევ უფრო ზრდიდა შემს ქალის ფაქტორის მიმართ. „ამიტომ ძალიან ადვილი გასაგებია, ქალის მოქმედებით თავმოყვარეობის შელახვის გამო განაწყენებული მამაკაცი, თუ რატომ ცდილობდა მოეგონებინა ქალთა სკესისათვის ხასიათის მანკიერი შტრიხები... ეს სწორედ ის თვისიე-

ბეჭია, რომლებიც თავისთავად ამართლებს ქალის სრულ განეკვებას პოლიტიკური ცხოვრების სფეროდან და რომლებიც გაძაგვებს ხდის კაცის ქალზე გაძარტონების აუცილებლობასაც” (6, 80).

ეფიქტობო, დასახულებული ფაქტორები – ექსიდ საშიშ-როება იმისა, რომ ქალს არ მიეტოვებინა ოჯახი და ამდენად, წარ-მატებით შეესრულებინა თავისი მოვალეობა, ისევე როგორც იმის საფრთხე, რომ ქალს „მამაკაცური ღირსებისთვის” შეუჩატოფა არ მიექნებინა, წარმოგვიდგენენ დამატებით მიზეზებს. თუ რამ გამოიწვია ქალთმომაულეობითი იდეოლოგიის წარმოშობა. ამავე დროს, ისინი აჩვენებენ იმ პრაქტიკულ საჭიროებასაც, რამაც ამ იდეოლოგიის ასეთი ფართო ფუნქციონირება განაპირობა.

უნდა ითქვას, რომ ბეჭიანებმა წარმატებით გაართეს თავი ქალის უარყოფითი ხატის შექმნის ამოცანას. და მართლაც, ჩამოაყ-ალიბეს იდეოლოგია, რომელიც ქალს მამაკაცთან შედარებით ყველა ასევეტში უფრო დაბალ საფეხურზე აყნებდა. მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ ქალი ინტელექტუალურიადაც და ფიზიკურადაც მამაკაცზე სუსტი იყო. ფიზიკური სისუსტე არ აძლევდა ქალს საშ-უალებას მონაწილეობა მიეღო საგარეო საქმიანობაში. არისტო-ფანეს ქალები შეძრჩუნებულნი არიან, როცა შეიტყობენ, რომ თურმე ქალაქის უსაფრთხოება მაზე ყოფილა დამოკიდებული (არისტოფანე, ქალები სახალხო კრებაზე, სტ. 109). ასევე ბანალუ-არი ქალთა ინტელექტუალური სისუსტის ხაზიანოთ გამოკვეთა. გასოცირი ის არის, როცა ქალი რაიმე კეკიანურს ამზობს, უფრო მეტიც, ბრძნულად მოქმედებს. ქენოფონტეს აზრით, ქალი მამა-კაცს აზროვნებით და სიძლიერით ჩამოუვარდება. მხოლოდ გარევიულ საზღვრამდე შეიძლება აათვისებინო ქალს იგივე, რაც მამაკაცს, მაგრამ ნურას უკაცრიავად, ამ საზღვრის ზევით (ქენო-ფონტი, სიმპოსიონი, 2, 9).

ფიზიკურად და ინტელექტუალურად სუსტი არსებები – ქა-ლები, ბუნებრივია, მორიალურად სრულყოფილნი ვერ იქნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ბეჭიანებს ასე მიაჩნდათ. ისინი ქალებს აღბათ ნიერიდ, ან უბრალოდ უგუნურ სულიერ არსებებად სახავდნენ, რადგანაც თვლილნენ, რომ ქალებმა, შეიძლება არც კი აგონ პასუხი



ჩადენილ დანაშაულზე, ამ მხრივ აღბათ ტიპურია ქალის შედარება კალის შეცვალებისათვის, კუნძულის ან ცხენთან, რომელიც ქსენოფონტეს მოჰყავს. ცხენს ან ცხვარს თუ რამე ხინჯი აქვს, ამას ხომ ჩვენ მეჭინიბეს ვაძრალებთ, შესაბამისად, მისი აზრით, თუ ქალს რამე ნაკლი ახასიათებს. შეიძლება დაცუშვათ მისი პასუხისმგებლობა, მაგრამ უმთავრესად პასუხისმგებლობა მისმა ზედამხედველმა მამაკაცმა უნდა იყის-როსო (ქსენოფონტი, ოიკონომიკოსი, 3, 11).

ბერძნები თველიდნენ, რომ ესოდენ არასრულყოფილ ქმნილებებს არსებობის შესანარჩუნებლად დასკირდებოდათ რაღაც თვისებები. ეს თვისებები კი აუცილებლად მანქიერნი იქნებოდნენ. ასე მაგალითად, მტრის დამარცხება, მათი აზრით, ქალს მხოლოდ მოტყუებით ან მოწამვლით თუ შეეძლო (არისტოფანე, ქალები სახალხო კრებაზე, 238). ქალებმა ათასგვარი ხრისის და ტყუილის მოგონება, ათასნაორი ხლართის დაგება იცოდნენ, რათა მიზნისთვის მიეღწიათ, ქალი საქმიალ კარგად ფლობდა მლიქენელობის ხელოვნებასაც. ბუნებით ეჭვიანი ქალი ხშირად ხდებოდა შურისმაიერებელი, და ა. შ. (ეგრიკიდე, ანდრიომაქე, სტ. 911 და შმდგ.).

და მანც, ქალების ამ მართლაც თვალისმომცრელ მანქიერ თვისებათა გალერეაში ბერძნები, როგორც ჩანს, ყველაზე დიდ მანქიერებად ქალის ზღვარგადაცილებულ სექსუალურობას თვლიდნენ, თვისებას, რომელიც ყველაზე საშიში გახლდათ, როგორც ოჯახის დანგრევისათვის, ასევე „მამაკაცური ლირისების“ ფუნმენისათვის. ეს შიში, აღბათ, ქალის ექსცესური სექსუალობის წარმოდგენას ჰქმნიდა. ამ თვალსაზრისის ერთურთ ყველაზე მეათიო გამოხატულებას ტირესიას შესახებ გადმოცემა წარმოადგენდა. მითის თანხმად, ზევსი და ჰერა ერთმანეთში დიდხანს დაეობენ, თუ რომელი სექსი იღებდა უფრო დიდ სიამოვნებას სექსუალური ურთიერთობიდან. და რადგან უკა შეთანხმდნენ, მათ მისან ტირესიას მიმართეს, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო კაციც და ქალიც. მაშინ ტირესიამ მათ უპასუხა, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით ათვერ მეტ სიამოვნებას იღებდა (პეտროდე, მელამპოდია, ფრ. 275). და რამეთუ ქალის წილ ამდენი სიამოვნება მოდიოდა, ბუნებრივად გამომდინარეობდა დასკუნაც – სექსუალურ სფეროში ქალს თავისი

შეკავებად ნაკლებად შეეძლო, განსაკუთრებით საშიში კი სწორედ ის ქალი შეიძლება გამხდარიყო, ეისაც საჩეცელში მეტოქობას გაუწევდნენ (ეკრიპილე, შედეა, სტ. 569-75). ასეთი შიში ქალის სექსუალობის მიმართ, ბუნებრივია, ქალის ასექსუალობას აიღიალებდა. ამიტომაც ალბათ ქალებზე სიმონიდეს სატირაში ყველაზე უკეთესია ის ქალი, რომელიც ფუტკარს ჰგავს. ქალი-ფუტკარი საცხოვოა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ფუტკარივით მოფუს-ფუსე, გამრჩე და მოუცლელია, არამედ იმიტომაც, რომ იგი ფუტ-კარივით ინდიფურნობის სექსუალური ურთიერთობის მიმართ (სიმონიდე, სატირა ქალებზე, 7, 90-91).

მისოვინური პოზიციის კენტრისენციას პანდორას შესახებ ჰესონდეს ცნობილი მითი წარმოადგენს. ზექსმა აღამიანების დასას-ჭელად ახალი უბედურება მოიგონა. მან უბრამანა ჰეცესტოს გამოეტრიწა მიწისაგან ქალი, შეამყო იგი ღმერთთა საუკეთესო თვისებებით, უწოდა მას პანდორა (პანდორა ნიშნავს ყველასაგან დასაჩუქრებულს), მისცა ქალს კურპელი, რომელშიც თავმოყ-რილი იყო ყველა შესაძლო უბედურება, ავადმყოფობა, კირი და ამ კურპლით და გარკვეული დარიგებებით გამოუშვა აღამიანებთან, როგორც „მშვინიერი ბოროტების“ ხატება. უგუნურმა ეპიმეოფე-სმა პანდორა ცოლად შეიჩინო. აი, მაშინ კი მოხადა პანდორამ თავი ზექსის მიერ გამოტანებულ კურპელს და ამოფრინდა იქიდან ყო-ველივე საზარელი, მხოლოდ იმედი დარჩა კურპლის ძირში, რად-გან პანდორამ სასწრაფოდ დახუფა კურპელი ზექსის გაფრითხილე-ბის შესაბამისად (ჰესიოდე, სამუშაონი და დღენი, სტ. 47-105). პანდორას შემდეგ წარმოიქმნა ქალთა დამლუპველი მოდგმა – ჩვენდა საუბედუროდ, ისინი ჩვენთან ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენი თანამგზავრნი მხოლოდ სიმღიდრეში არიან – ასევნის ჰესიოდე (ჰესიოდე, თეოგონია, სტ. 591 და შემდგ).

როგორც აღვნიშნეთ, მეხუთე საუკუნის ბოლო ათწლეულში ქალისაღმი დამოკიდებულების სფეროში ახალი, კარითინალური ცვლილებები იკვეთება. ეს უმნიშვნელოვანესი გარდატეხა უპირ-ველესად დიდი ბერძენი ტრაგიკოსის – სოფოკლეს სახელს უკავ-შირდება. სოფოკლე დაუკიტყარი და ლეგენდარული გმირი ქალე-

ბის სამყაროს ქმნის. მისი გმირები იდეალურები არიან – იდეალური ალურინი არიან მისი მამაკაცი პერსონალურებიც და ქალი გმირებიც. ეს კი ნიშანეს, რომ ღრამატურგი უკან გადასწიო სქესის ფაქტორი, ქალი მამაკაცს პიროვნულად გაუთანაბრა და ამით ქალი სოციალურად წინ წამოსწიო. მართლაც, სოფორულეს გმირი ქალები იმავე თვისებებით ხასიათდებიან, რითაც ღრამატურგის მამაკაცი პერსონალურები. ქალებს – ანტიგონეს და ელემიტრის მამაკაცთა მსგავსად გამძაფრებულად აქვთ შეგნებული მოვალეობა მშობლების და ნათელსაცების მიმართ, მოვალეობა ღმერთების მიმართ. ამავე ღროს, მათ პიროვნებებშიც გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი სიჩუქვილის გრძნობა. იდეალური თვისებებით შემკულ ქალებს სოფორულეს მამაკაცი პერსონალურების მსგავსად აკლიათ „სოფოროსუნე“ (ზომიერების ბერძნული იდეალი). ისინი არიან თავდაჭრებული, ბობოქარი, მტკიცე ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ დაუფიქრებლად, რამეთუ სოფორულეს გმირები იდეალურობის მიუხედვად მაინც ადამიანები არიან. ტრაგედიებში სოფორულეს ქალები უპირისპირდებიან მამაკაცებს და სონტერესოა ის, რომ ამ დაპირისპირებაში მორალური უპირატესობა სწორედ ქალების მხარესაა. მაგრამ, ამავე ღროს, არც ანტიგონე და არც ელემიტრია არ არიან ტრადიციული „ქალური ქალები“, მეტიც, თავიანთი საქციელით ისინი ქალის ბერძნულ იდეალს მკვეთრად უპირისპირდებიან. ცხადია, მათი ამგვარი საქციელი არ იწენდოდა ადგილი მისაღები ტრადიციული ათენელი მაყურებლისათვის. მაგრამ სოფორულეს ქალები ანგარიშს არ უწევენ ისეთ პირობითობას, როგორიცაა საზოგადოების მიერ სქესთათვის დადგენილი ნორმები, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი უფრო მაღალ ღირებულებათ ემსახურებიან. ტრაგედია „ანტიგონეს“ ფინალში ნათლად ჩანს დიდი ღრამატურგის მრწამსი – როცა საქმე ღმერთებს ეხება, სქესთა შორის არ შეიძლება იყოს განსხვავება.

სოფორულებმ, როგორც ჩანს, ქალისაღმი დამოკიდებულების ძველ პოზიციას, ტრადიციულ მორალს სუსტი წერტილი უპოვა, ჩაავლო ხელი ამ იდეოლოგიის საფუძვლებს და შეარყია. ფაქტი ერთია, დიდი ღრამატურგი ამგვარი პოზიციით აშკარად უსწრე-



ბდა წინ თავის დროს. თუმცა საინტერესოა ის, რომ ამგვარი ქალი პერსონაჟების შემქნელ დრამატურგის – სოფოკლეს მაინც არ გაა-მოუწვევია საზოგადოების გალიზიანება. ბერძნელი საზოგადოება ალბათ ინტეიტურად გრძნობდა იმას, რომ სოფოკლეს ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ქალის მხარე არ ეჭირა.

ამ, ევრიპიდემ – სოფოკლეს უმცროსში თანამედროვემ კი ათე-ნური საზოგადოება ძალიან გააღიზიანა, შესაძლებელია იმიტომ, რომ ფიქტობრნენ – ევრიპიდე ქალის პოზიციიდან ლაპარაკობსო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ერთსა და იმავე მწერალს ქალებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით – ტრადიციამ და თანამე-დროვეობამ განსხვავებული შეფასება მისცა. პირველმა იგი „ქალთ-მოძულედ“, მეორემ – პირველ ფემინისტად მონათლა. მიზეზი ალ-ბათ ის იყო, რომ მოვლენებისადმი ევრიპიდეს დამოკიდებულება თითქმის არასოდეს განისაზღვრებოდა ერთმნიშვნელოვნად.

და მაინც, რა იყო საყურადღებო ევრიპიდესთან ქალებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით? უპირველესად ის, რომ ევრი-პიდეს აინტერესებდა ქალთა სქესი, როგორც დამოუკიდებელი ფე-ნომენი, მას აინტერესებდა მათი სპეციფიკური მახასიათებლები, ამა თუ იმ საქციელის მიღმა მათი მოტივები. კულაზე უკეთ მისი ეს ინტერესი სქესთა ურთიერთობის წარმოჩენისას გამოიხატა. თა-ვისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე, მწერალი ისევ და ისევ სქესთა ურთიერთობის თემას უბრუნდება. სწორედ ევრიპიდემ შემოიტანა ტრაგიკული ფანტასიების სრულიად უცხო თემა – სიყ-ვარულის თემა და ამით ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა კიდევ თანამედროვე ლიტერატურას. ათენელი ტრადიციული მაყურებ-ლისათვის ევრიპიდეს მიერ შექმნილი ქალი პერსონაჟების უმე-ტესობის მიღება მართლაც ძალზე ძნელი ოღონინდა. მისი ქალე-ბიდან ზოგიერთი ხომ არად დაგიდევს ტრადიციულ მორალს. ალ-ბათ გაუგებარი იყო მათოვის მედების პოზიცია, რომელიც ას იღე-ბდა ქარწინებაში მამაკაცის და დედაკაცისთვის დადგენილ ნორ-მას, და რომელიც თავს მამაკაცის თანასწორ პარტნიორად მიიჩ-ნებდა. ევრიპიდე თვლიდა, რომ მის თანამედროვე საქორწინო იდე-ალს აშეარად გადახედვა ესაჭიროებოდა. ეფიქტობთ, სქესთა ურ-

თიურთობაში მწერლის იდეალს ჰარმონიული ცოლ-ქრისტიანი წარმოადგენდა, რომელიც მეუღლების სრულ ურთიერთგანვითარებაშე უნდა ყოფილიყო დამყარებული. იყო კი ამგვარი რამ სრულიად ახალი ბერძნული ცნობიერებისთვის? – რასაეცირკელია, არა, თუ გაეიხსნებოთ პომერანის, რომელმაც ევრიპიდემდე დიდი ხილი აღრე, „ოდისეაში“ ქართველების ბერძნული იდეალი ოდისევისის და პენელოპეს ურთიერთობით გამოხატა.

მაგრამ ევრიპიდეს ეპოქაში ეს მიერწყებული კეშმარიტება ხელახლა აღმოსაზრის გახდა – ფონი ხომ ის მისოვენური იდეოლოგია იყო, რომელმაც პანდორას მითი, ქალებზე სიმონიდეს და ფოიილიდეს მწარე სატირები წარმოქმნა.

თუმცა გენდერულ სფეროში ევრიპიდეს ნოვატორობა ოჯახში ოჩივე სქესის ღირებულებათა აუცილებლობის ჩვენებით არ შემოიფარგლა. მან ოჩივე სქესის ფასეულობათა აუცილებელი ფუნქციონირება უფრო მაღალ საზოგადოებრივ ლონეზე დააყენა. ხომ არ დადგა დრო, გვლიანებინა, რომ საზოგადოებას მამაკაცური ღირებულებები მდედრობითის დაორგუნვის ხარჯზე აქვს გადაციანებით შეფასებული? ევრიპიდე ისევ უბრუნდება ბუნება/კულტურის დაპირისპირების ძველ თემას, მაგრამ იგი სრულიად რევოლუციურ განაცხადს აკეთებს – არის კი სწორი მკეთრად დავაპირისპიროთ ისინი ერთმანეთთან? მაგრამ მთავარი კითხვა, რომლის გარშემოც ისევ და ისევ ტრიიალებს ათენელი დრამატურგი ეფუქტობთ, მანც შემდეგში მდგომარეობს – მოიპოვა კი ადამიანმა საბოლოოდ ბუნებაზე ის გამარჯვება, რომლის შესახებაც მან ასე ამაყად გამოაცხადა?

ამ კითხებს კი მოჰყვა მართლაცდა გენიალური ტრაგედია, ეს „ბაქტი ქალები“ გამდათ. მიუხედავად იმისა, რომ პიესაში ძველი და ნაცნობი თემები თამაშდება, თავად დასკვნა სრულიად ნოვატორულია. თუმცა აქ გამარჯვებული არც ერთი მხარე არაა, მამრობითი საწყისის განადგურება მაინც ძალზე შოამბეჭდვია – ნადგურდება პენთესი, მეფე და ქალაქი. მოელენათა ამგვარი წარმოქენით ევრიპიდე, შესაძლოა, პასუხობდა კიდეც ზემოთ დასმულ შეკითხვას. პასუხი კი ასეთი იყო, – როგორც ჩას, ადამიანმა მაინც

კერ გაიმარჯვა საბოლოოდ ბუნებაზე. ალბათ ბუნებაზე გამარჯვება შეუძლებელია, შესაბამისად დადგა დრო, რომ საზოგადოებაში გარეული ფორმით ირაციონალურის მიღების აუცილებლობა აღიაროს.

და ბოლოს, ვფიქრობთ ამ ახალი დამოკიდებულების – პირობითად „ფეშინისტური პოზიციის“ დაგეირგვინებად შეიძლება ჩაითვალოს პლატონისეული, უფრო სწორედ სოკრატე-პლატონისეული ღოვტრინა. ქალთა ახლებური ცხოვრების მოდელს თავის იდეალურ სახელმწიფოში პლატონი ორ ნაწარმოებში „სახელმწიფოსა“ და „უანონებში“ გვთავაზობს. ფილოსოფოსის პირველი და უმთავრესი კითხვა ძველ, ნაცნობ პრიობლემის ქება – არის ქალი უკვე თავისი ბუნებრივი მონაცემების გამო დაქვემდებარებული არსება, თუ ქალისთვის დამახასიათებელი თვისებები, მისი შესაძლებლობანი, შეიძლება სოციალური გარემოთი ეჭისნათ – გარემოთი, რომელიც უზრალოდ არ აძლევს ქალს სხვანარი განვითარების შესაძლებლობას? სოკრატეს აზრით, ქალსა და კაცს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც თმიან და უთმო კაცს შორის. აღამიანები ხომ არ განსხვავებთ ძალებს სქესთა მიხედვით? თუ მდედრ ძალას მამრივით გაეწვრითნით, ისიც ხომ შეასრულებს თავის მოვალეობას – ინადირებს ანდა სახლს უდარაჯებს. გაუწყრითნელი კი არც ერთი სქესისა არ გამოაღება აღამიანს. სოკრატე აჩავად არ მშობს, რომ ქალები და კაცები არიან თანაბარნი, მაგრამ იგი უშვებს მათი სითანაბრის შესაძლებლობას. ბუნებრივია, ასკვნის სოკრატე, ჩვენ არ შეეგიძლია ვიწინასწარმეტველოთ, თუ როგორი იქნებიან ქალები სწორი აღზრდის შემთხვევაში. მაგრამ ის, რომ ქალები არ იღებენ იმავე განათლებას, რასაც მამაკაცები, ნამდვილად არ არის მოსაწონი. ამიტომ იდეალურ სახელმწიფოში ბიჭებმა და გოგონებმა ერთნაირი აღზრდა-განათლება უნდა მიიღონ – ისწავლონ მუსიკა, ხელი მიჰყონ გიმნასტიკას, შეისწავლონ სამხედრო საქმე. იმ ქალებს კი, რომლებიც წარმატებით გაიკვლიან შეჯიბრებას და გადარჩევის პროცესს, შეეძლებათ მამაკაცების თანასწორ სახელმწიფოს დამცველნი – დარაჯნი განდნენ. და რადგან საშუალო მონაცემების ქალი ცუდ მამაკაცს აშ-

კარად სწობს, ამიტომ სახელმწიფომ ქალის სამსახური არ უნდა უგულვებელყოს. იდეალური სახელმწიფო საშუალებას მისცემს ქალს ყველა ფარული ნიჭი და შესაძლებლობანი სრულად გამოავლინოს. შეტიც, მას მმართველიც კი შეუძლია გახდეს.

სახელმწიფო ასპარეზზე ქალის ამგვარი მასშტაბით გამოყვანა, ბუნებრივია, ოჯახის ასეუცული ტიპის შეცვლას გამოიწვევდა, რაღაც ქალები საოჯახო საქმეებიდან და ბავშვის აღზრდის მოვალეობიდან უნდა გამონთავისუფლებულიყვნენ. ამიტომ უმაღლესდარაჯო კლასში ფილოსოფიუსმა ახალი ტიპის შეცვლება შემოტანა. ეს ახალი ტიპის ქორწინება ევგვივისტური პრინციპებიდან გამომდინარეობდა – საუკუთხესო სახელმწიფოსთვის აუცილებელი იყო საუკუთხესო შოთამომავლობის, უმაღლესი ჩასის შექმნა, ჩისთვისაც ერთმანეთს ორივე სქესის საუკუთხესო წარმომადგენლები უნდა შეცვლებოდნენ. ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში – ასეთი გახლდათ პლატონისული იდეალური სახელმწიფოს ბაზისური პოსტულატი მაგრამ ამგვარი შეცვლება ჩვეულებრივი ქორწინება არ იყო, რაღაც თავიანთ შვილებს „საუკუთხესონი“ თავად როდი ზრდიდნენ. ბავშვები დაბადებისთანავე თანამდებობის პირთა ხელში გადადიოდნენ, რომლებიც მათ აღზრდას ხელმძღვანელობდნენ. შესაბამისად იშლებოდა ოჯახის არსებული ტიპი, ფაქტობრივად ოჯახი, როგორც ასეთი, ირლეოდა მშობელთა და შვილთა ურთიერთობა, მშობლებს საერთოდ არ უნდა სცოდნოდათ თავისი შვილები. იმისთვის, რათა დაძმებს შორის ინციდენტი თავიდან აგვერიდებინა, პლატონის აზრით, ერთი ასაკის ბავშვები ერთმანეთის დაძმებად უნდა ჩაგვეთვალა და მათ შორის სექსუალური ურთიერთობა აგვერიდალა. პლატონის მიხედვით, ყოველივე მის შემდეგ თავად სახელმწიფო ერთი ოჯახი გახდებოდა (პლატონი, სახელმწიფო, V).

მოგვეინებით პლატონმა იდეალური სახელმწიფოს ამ მოდელში არსებითი ცვლილებები შეიტანა. ფილოსოფიუსმა „ქანონებში“ შეცვალა თავისი მოსაზრებები ოჯახთან დაყავშირებით, უფრო ზესტად რომ ვთქვათ, მან „კანონებში“ ოჯახი აღადგინა. მასთან, მან დააწესა უმეაცრესი კანონები პირად ცხოვრებაზე და

სქესობრივი ურთიერთობის მაქსიმალური შეზღუდვა მოითხოვა, თუ ეს უკანასკნელი შთამომავლობის გაგრძელებას არ ისახედა მიზნად (პლატონი, კანონები, VI-VII).

უთუოდ სისწმიერებოთ, რომ პლატონისეული მოდელი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მის ცალკეულ კომპონენტებს მრავლად ვხვდებით სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში.

ოჯახის და სახელმწიფოს ურთიერთობის პლატონისეული მოდელი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქალის როლის ცვლილება ყოველთვის სახელმწიფოს მთლიანი ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენდა. ხშირად ქალის და მამაკაცის თანაბრობის პლატონისეული პოსტულატი ლიბერალური აზროვნების მაგალითად მოჰყავთ. მაგრამ ამასთან ერთად, არ უნდა დაგვაეციციდეს, გვაფრთხოების მ. არტური, რომ ბერძნები ოჯახში სქესთა როლების ცვლილებას ყოველთვის აუცილებელ, მაგრამ მეორებისაისხვან პრინციპები მიიჩნევდნენ. უმთავრესი მათთვის ყოველთვის სახელმწიფოს მოწყობის საკითხი იყო (7, 81-82).

ელასიკურის შემდგომ ეპოქაში – ელინისტურ პერიოდში შეიცვალა ქალის მიმართ დამოკიდებულება და ქალის ფაქტობრივი მდგრმარეობაც. ის მუდმივი პრინციპია, თუ რომელი უსწრებდა ღროში – ქალის მდგრმარეობის შეცვლა, თუ მისადმი დამოკიდებულების ცვლილება აღმართდება დარჩება. მაგრამ ერთი ფაქტია, მხატვრულ აზროვნებაში მომხდარმა ცვლილებებმა ძველ კლიშეებს, ძველ სტრუქტურიკებს მნიშვნელოვნად შეურყია საფუძვლი. ტრადიციულის გვერდით მძლავრად მოიკიდა ფეხი ახალმა კულტურულმა იდეალებმა. ელინისტურ ეპოქაში ჩვენ უკი ვხვდებით ქალებს, რომლებიც მნიშვნელოვან საკუთრებას განკარგავნ, ქალებს, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ ნაგებობებს აშენებენ და ასევე ქალებს, რომლებიც უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებსაც კი იყავებენ. ყოველივე ეს ელასიკური პერიოდის ქალებისთვის სრულიად გამორიცხული იყო.

1. ବ୍ୟାକୁଲ, ଏନ୍ଦ୍ରପାଣୀ; ବ୍ୟାକୁଲ, ରୂପଜୀବ ପ୍ରମାଣିତ୍ୟବ୍ୟାକୁଲ, ଶ୍ଵେତା ଶ୍ରୀମତ୍ତ୍ବକୁଳାଧିକ ପାଠ୍ୟ-  
୩୬, ବିନିଷ୍ଟିକ୍ରୂପାଳ୍ମୁଦ୍ରା ରୁପରୀତିରୁକ୍ତି ପ୍ରାଚୀନତା ଗ୍ରନ୍ଥମର୍ଗୀମ, ଅମ୍ବାରୀ, ମୁଦ୍ରଣ, 1988
2. Gould J., "Law, Custom and Myth: Aspects of the Social Position of Women in Classical Athens". JHS 100, 1980, 38-59
3. ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ, ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ ଶ୍ଵେତାକୁଳାଧିକ ପାଠ୍ୟମିଳା ଡ. ପର୍ଯ୍ୟାପାତ୍ର, ବିନିଷ୍ଟିକ୍ରୂପାଳ୍ମୁଦ୍ରା ରୁପରୀତିରୁକ୍ତି ପ୍ରାଚୀନତା ଗ୍ରନ୍ଥମର୍ଗୀମ, ଅମ୍ବାରୀ, ମୁଦ୍ରଣ, 1996
4. ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ, ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ; ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ, ରାମପାତ୍ର, ଶ୍ଵେତା ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣାଧିକ ପାଠ୍ୟମିଳା ଗ. ପାରିପାତ୍ରମିଳା, ଅମ୍ବାରୀ, ମୁଦ୍ରଣ, 1974
5. ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ, ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ; ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣ, ରାମପାତ୍ର, ଶ୍ଵେତା ଶ୍ରୀରାମକୃଷ୍ଣାଧିକ ପାଠ୍ୟମିଳା ଗ. ପାରିପାତ୍ରମିଳା, ଅମ୍ବାରୀ, ମୁଦ୍ରଣ, 1974
6. Pitt Rivers. The fate of Shechem or the Politics of Sex. Essays in the Anthropology of the Mediterranean. Cambridge, 1977
7. Arthur M., "From Medusa to Cleopatra: Women in the Ancient World" in (ed) R. Bridgeman and C. Koontz. Becoming Visible: Women in European History. Boston, 1977.

К. НАДАРЕИШВИЛИ

ЖЕННОНЕНАВИСТНИЧЕСКИЕ И «ФЕМИНИСТИЧЕСКИЕ»  
ТЕНДЕНЦИИ И ОППОЗИЦИЯ КУЛЬТУРА /ПРИРОДА  
В ДРЕВНЕГРЕЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены две т.н. мисогинические и феминистические тенденции по отношению к женщине. Первая из них связана со становлением нового государства – греческого полиса и прослеживается уже в поэмах Гесиода. Вторую можно наблюдать в последние десятилетия 5 в. до н.э. и эта тенденция прежде всего связана с именем Софокла.

В статье представлена попытка объяснения причин зарождения женоненавистнической идеологии. Это было обусловлено прежде всего тем, как греки того периода рассматривали отношение между природой и культурой. Они представляли, что природа и культура находятся в строгой оппозиции друг с другом, природа считалась врагом цивилизации и по этой причине должна была быть побежденной.

Патриархальный полис олицетворял эту самую победу культуры над природой, победу порядка над беспорядком, триумф мужского авторитета над женской иррациональностью. Поражение женщины породило её низкий социальный статус и соответственно способствовало появлению негативной концепции женщины, которая в свою очередь объясняла её субординацию в обществе.

В течение последних десятилетий 5в. до н. э. традиционные представления стали под вопросом. Изменение коснулось и идеологии по отношению к женщине. Новые тенденции персонально и морально уравняли женщину с мужчиной, они признали обязательную дуальность обоих полов как в семье, так и на общественном уровне. Вместе с тем они старались подорвать основы утвержденной оппозиции между природой и культурой. В это время появляется и модель идеального государства Платона, в которой в ином свете представляется как природа женщины, так и её место в государстве.

KETEVEN NADAREISHVILI

## THE MISOGYNISTIC AND "FEMINISTIC" TENDENCIES AND THE CULTURE/NATURE OPPOSITION IN ANCIENT GREEK LITERATURE

### (SUMMARY)

The article aims at discussing two tendencies of the attitude of Greeks toward woman – the misogynistic and so-called feminist tendencies. The former is connected with the foundation of the new state-Greek polis, first manifesting itself in Hesiod's poems. The second sentiment arose during the last decades of the 5<sup>th</sup> century B.C. and is linked primarily with the tragedies of Sophocles.

The article represents an attempt to explain the reasons of the emergence of the misogynistic ideology. First and foremost it was caused by the vision of the Greeks, how they realized the relation between nature and culture in a certain period. Nature and culture were considered to be in strict opposition to each other, nature was viewed as the enemy of civilization and was to be defeated for this reason.

Thus the patriarchal polis exemplified this very victory of culture over nature, victory of order over disorder, triumph of male authority over female irrationality. The victory over woman entailed her low social status and correspondingly, negative conception of women explaining her subordination.

During the last decades of the 5<sup>th</sup> Century B.C traditional values were called into question. Reevaluation of attitudes took place in the existing ideology toward women. The new tendencies equalized woman to man on the personal and moral levels, it recognized the necessity of both sexes in the family and in the state and tried to demolish the basic points of the established opposition between nature and culture. The model of the ideal state, formed by Plato, appeared together with these sentiments. This model implied basic transformation of woman's nature as well as her place in society.

Чумбуридзе Л. А. И. Джавахишвили и вопросы истории грузинской музыки (резюме).....	123
Сакарули Ц. М. Заглавие и некоторые его параметры (на материале английской повести) (резюме).....	133
Чилая Р. А. Авторское в его литературных героях (резюме).....	143
Одзели М. В. О соотнесении жизни и творчества писателя (резюме).....	154
Анонимный грузинский перевод гномической поэзии Григория Назианзина. и комментариев к ней (издание подготовила и предисловием снабдила К. П. Безарашвили).....	194
Надарешвили К. Женоненавистнические и «феминистические» тенденции и оппозиция культура / природа в древнегреческой литературе (резюме).....	212

## CONTENTS

Vakhtang Imnaishvili, Once more about "Khanmet Lektionary" (Summary).....	19
Elguja Khintibidze, Towards the Interpretation of the Ethnonym Berzen (Summary).....	30
Natalya Orlovskaya, The Caucasus and Georgia in the Novel of a 19 <sup>th</sup> century American Author (Summary).....	39
Lali Dzotsenidze, The Georgian Redaction of the Apophthegmata (Summary).....	52
Liana Shatberashvili, Jado's Guests by Mikheil Javakhishvili and The Otaraant Widow by Ilia Chavchavadze (Summary).....	59
Giorgi Alibegashvili, Some Theological Terms from Old-Georgian Literary- theoretical thought (Summary).....	75
Oleg Goliadze, Tariel-The Knight in the Panther's Skin (Summary).....	86
Natela Imedadze, Peculiarities of Creative Works and Epistolary Heritage of Grigol Orbeliiani (Summary).....	111
Luiza Chumburidze, I. Javakhishvili and Questions of the History of Georgian Music (Summary).....	123
Tsiala Sakaruli, The Title and Some of its Parameters (short story as the object of discussion) (Summary).....	133
Ramaz Chilaia, The Author as He is Reflected in his Characters (Summary).....	143
Marika Odzeli, Towards the Relationship of life and Creative Work of a Writer (Summary).....	154
Anonymous Georgian Translations of the Gnomic poetry of Gregory of Nazianzus and commentaries to it (Edition prepared and prefaced by K. Bezbarashvili) (Summary).....	194
Ketevan Nadareishvili, The Misogynistic and "Feministic" Tendencies and the Culture /Nature Opposition in Ancient Greek Literature (Summary) ...	213

**გამოშეცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე  
ტექნიკური და სამუშაო მუნიციპალიტეტი  
კორექტორი ქ. გამიერილაძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.VII.02 საბეჭდი ქალალი 60X84 1/16.  
პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 13,5; სააღრ. საგამომც. თაბაზი 11,01.  
შეკვეთის № 5 ტიჩავი 130

**ფასი სახელშეკრულებო**

თბილისის უნივერსიტეტის გამოშეცემლობა,  
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.  
თბილისის უნივერსიტეტის სარედაქციო-სადუბლიკაციო  
კომპიუტერული სამსახური  
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.

